ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ძამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 10 ნოემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 260 (2303)

დღიური

- გადადგა პორტუგალიის მთავრობა.
- მთავრობის კრიზისი ლატვიაში.
- ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მოწოდება.
- ლვოვში გრძელდება პოლონელ ფაშისტების თავდასხმა უკრაინელებზე.
- მუნიციპალური არჩევნების შედეგები ინგლისში.
- საპრეზიდენტო არჩევნები ნიკარაგუაში.
- გარდაიცვალა რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარის მოადგილე ამხ. სოლოვიოვი.

დღეს, 10 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ალმასკომის დარბაზში შესდგება

თბილისის კომიტეტის პლენუმის გაგრძელება

თბილისის კომიტეტის წევრებისა და კანდიდატების, კომკავშირის თბილისის კომიტეტის წევრთა და რაიკომების წევრთა დასწრება სავალდებულოა

თბ. კომ. პრეზიდიუმი.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკასთან არსებულ

სასოფლო თათბირის პირველი პლენუმი

გადადებულია

პლენუმი შესდგება პროფსაბჭოს მცირე დარბაზში

აწ. 12 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე

ჩამოსულ დელეგატებს სთხოვენ დაესწრონ საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებასთან გამართულ თათბირს, სასახლის წითელ დარბაზში.

პუანკარეს გადადგომის გამო

რადიკალ-მინისტრების გამოსვლა პუანკარეს მთავრობიდან, რასაც უკანასკნელის გადადგომა მოყვა, რამოდენიმედ მოულოდნელი ამბავია, ფართო საზოგადოებისათვის მაინც. თუმცა მთავრობის კრიზისი საფრანგეთში თითქო მწიფდებოდა, მაგრამ ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ის ასე დამთავრდებოდა.

რამ გამოიწვია ეს კრიზისი? ჩვენ არ ვიცით, თუ რას ემყარება ინგლისის ლიბერალური პრესა, როცა პუანკარეს დაცემას „ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების პირდაპირ შედეგად" („დეილი ნიუს") თვლის, ან როცა აცხადებს, რომ პუანკარეს გადადგომა ამ შეთანხმებისათვის „სასიკვდილო ლახვარის ჩაცემა იქნება"-ო („მანჩესტერ გარდიენ"). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მოსაზრებები უფრო ნაკარნახევია ლიბერალების პოლიტიკური მანევრებით, ვიდრე მდგომარეობის სწორი შეფასებით: მათი მიზანია საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გამოყენება კონსერვატორების წინააღმდეგ, რათა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ერთგვარ წარმატებას მიაღწიონ და ამასთან ხელი შეუწყონ ინგლის-ამერიკის ანტაგონიზმის შენელებას.

უფრო მიუღებელია „დეილი ნიუს"-ის მტკიცება, რომ „პუანკარემ რომც კვლავ შეადგინოს მთავრობა, მისი გადადგომა მშვიდობიანი საქმის გამარჯვებას ნიშნავს ევროპაში"-ო. ეს დებულება არამც თუ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, ის ამავე დროს მავნე პაციფისტურ ილიუზიას ქმნის. აშკარაა, რომ საფრანგეთის მთავრობის ეხლანდელ კრიზისს არაფერი აქვს საერთო „მშვიდობიანობის საქმის გამარჯვებასთან" და რომ ამით წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის და ომის საფრთხე ოდნავაც არ შესუსტდება.

მართალია მხოლოდ შემდეგი, სახელდობრ საეკლესიო კანონ-პროექტს, რომელიც გახდა პუანკარეს დაცემის მიზეზი, უეჭველად აქვს დამოკიდებულება საფრანგეთის საგარეო პოლიტიკასთან. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სწორედ საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა წამოაყენა ეს კანონპროექტი, რომელიც კათოლიკურ ეკლესიას მნიშვნელოვან უფლებებს ანიჭებს. ესაა დათმობა ვატიკანისადმი, რომელიც ამ საკითხზე ხანგრძლივ მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთთან. რომის პაპის და იტალიის მთავრობის ურთიერთობა რამდენიმედ გართულებულია ბოლო დროს: ფაშისტური ხელისუფლება ცდილობს ვატიკანი თავის გავლენას დაუმორჩილოს, კერძოდ ის ეპატრონება სკოლებს, რომლებზედაც პაპი თავის პრეტენზიებს აცხადებს. ამ ნიადაგზე მათ შორის უკმაყოფილებას აქვს ადგილი. ამავე დროს ვიცით, რომ დამოკიდებულება იტალიასა და საფრანგეთ შორის ძალზე გამწვავებულია, განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შემდეგ. საფრანგეთის მთავრობა ზურგს უმაგრებს ვატიკანს, რომ გაიადვილოს ბრძოლა მუსოლინის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ კანონპროექტის მიზანი ამით როდი ამოიწურება. რომ საქმის ვითარება უფრო ნათელი გახდეს, საჭიროდ მიგვაჩნია აქ მისი მოყვანა. ეს კანონპროექტი ორი მუხლის (70 და 71) სახით დართული აქვს საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც ახლო მომავალში უნდა განიხილოს დეპუტატთა პალატამ. ბიუჯეტთან მას არავითარი ორგანიული კავშირი არა აქვს; მთავრობა ფიქრობ. და ბიუჯეტთან ერთად მის კონტრაბანდად გატარებას. ბიუჯეტის 70 მუხლი შემდეგს ამბობს: „მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც ოდესღაც სარწმუნოებრივ დაწესებულებებს ეკუთვნოდა და რომლის ლიკვიდაცია გამოცხადებული იყო სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის კანონის თანახმად, კვლავ უნდა დაუბრუნდეს სარწმუნოებრივ საზოგადოებებს, რამდენადაც ის (ქონება) ჯერ კიდევ არ არის გადაცემული საზოგადოებრივი სარგებლობისათვის". მე-71 მუხლში კი ვკითხულობთ: „სამისიონერო კონგრეგაციებს შეუძლიათ 1930 წ. 1 იანვრამდე იშუამდგომლონ, რომ მათ მიეცეთ ნებართვა გახსნან და შეინახონ დაწესებულებები (სკოლები) მისიონერებისათვის. მთავრობას შეუძლია დროებით მიანდოს ამ კონგრეგაციებს იმ ქონების გამგებლობა (ანუ მით სარგებლობა), რომელიც ეკუთვნის დაშლილ კონგრეგაციების სალიკვიდაციო ფონდს".

ეს მუხლები ჩვენ მთლიანად მოვიყვანეთ, რამდენადაც ისინი უაღრესად დამახასიათებელია საფრანგეთის ბურჟუაზიის მიდრეკილებებისა და პოლიტიკისათვის. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ საეკლესიო კანონ-პროექტს ნაწილობრივ დამოკიდებულება აქვს საფრანგეთ - იტალიის ურთიერთობასთან. მაგრამ ეს ცოტაა. კონგრეგაციების (სარწმუნოებრივ საზოგადოებების) უფლებების აღდგენა და მათი გაძლიერება საფრანგეთის ბურჟუაზიას, ესაჭიროება თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის. ცნობილია, რომ ფრანგი მისიონერები საფრანგეთის გავლენის საუკეთესო აგიტატორები და განმამტკიცებელი არიან კოლონიალურ და სხვა ჩამორჩენილ ხალხთა შორის. ეს მისიონერები და მათი ორგანიზაციები საფრანგეთის მტაცებელთ დახმარებას უწევენ ამ ხალხების დამონებაში. საგულისხმოა, რომ პალატის საფინანსო კომისია, რომელმაც ხსენებული კანონპროექტი მიიღო, საკითხს სწორედ ამ თვალსაზრისით მიუდგა: ამ კომისიამ კანონპროექტის საჭიროება პირდაპირ იმით დაასაბუთა, რომ კონგრეგაციების უფლებების აღდგენა გააძლიერებს საფრანგეთის გავლენას უცხოეთში და განამტკიცებს მის მდგომარეობას კოლონიებში.

კანონპროექტის განხორციელებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის ბურჟუაზიის შინაური პოლიტიკისათვის. როდესაც ეს ბურჟუაზია გაძლიერების გზას ადგა და მუშათა კლასი მის ბატონობას არ ემუქრებოდა, მას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ ეკლესიის უფლებები შეეკვეცა, ის სახელმწიფოსაგან ჩამოეშორებია. მით უმეტეს, რომ ეკლესია თვითონ აცხადებდა პრეტენზიას ძალაუფლების მისთვის გაზიარებაზე და ფეოდალური არისტოკრატიის ნაშთებს და მემამულეებს უჭერდა მხარს. ეხლა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ბურჟუაზია თანდათან ქვეითდება. კომუნისტური მოძრაობა იზრდება. ბურჟუაზიას რეფორმისტებთან ერთად ესაჭიროება სხვა დამხმარე ძალაც,— ესაა ეკლესია, რომელიც ეხლა მას იარაღად გამოადგება მასების იდეური დამონებისათვის. ამ მიზნით ბურჟუაზია ცდილობს მას მიანიჭოს უფლება ორგანიზაციული დარაზმვისათვის და გაამაგროს იმ მატერიალურად.

აღსანიშნავია, რომ თუმცა 1901 წ. გამოიცა კანონი კონგრეგაციების დაშლის და მათთვის ქონების ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ ეს ქონება ბევრგან დღემდეც არ გადაუციათ საზოგადოებრივი სარგებლობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, როგორც ეს კანონით იყო გათვალისწინებული. ცხადია, ამ მხრივ გავლენას ახდენენ სამღვდელოება და რეაქციონური ბურჟუაზია. ეხლა უკანასკნელი ამ კანონს აბათილებს და ნაბიჯს სდგამს ეკლესიისა და სახელმწიფოს ძველი კავშირის აღდგენისაკენ და ემზადება გააუქმოს 1905 წლის კანონი სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების შესახებ, კანონი, რომელსაც თვით ბურჟუაზია თავის დროზე უდიდეს პროგრესიულ აქტად თვლიდა.

საფრანგეთის რადიკალებს, რომელნიც მეთაურობდენ ამ ბრძოლას ეკლესიის წინააღმდეგ, დღემდე მოაქვთ ამით თავი. საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზია თითქმის ყველაფერში პუანკარეს, მსხვილ კაპიტალს მისჩანჩალებს კუდში. თავის „რადიკალიზმის" საბუთად მას უმთავრესად შერჩა „შეურიგებლობა" კათოლიკურ სამღვდელოების მიმართ და „თავისუფალ აზროვნების" მოხმარება. ამას ის კიდეც იყენებს მუშურ წრეების მოსატყუებლად. ეხლა საფრანგეთის რეაქციამ პირდაპირ დასვა საკითხი ეკლესიის რესტავრაციის შესახებ. ამ საკითხში პირდაპირ კაპიტულაციით რადიკალები საბოლოოთ გაიშიშვლებდენ თავს „დემოკრატიის" წინაშე და მათ გავლენას ნიადაგი გამოეცლებოდა. ამიტომ რადიკალებმა აეჯობინეს „ბრძოლის" გამართვა პუანკარესათვის.

მაგრამ რამდენად მტკიცე და ხანგრძლივი იქნება მათი „სიმამაცე?" უნდა ვიცოდეთ, რომ რადიკალების პარტია სრულებით არ განირჩევა შეხედულების და მისწრაფებათა მთლიანობით. მისი უდიდესი უმრავლესობა სულ უფრო გადადის მემარჯვენეთა ბანაკში. კერძოდ ცნობილია, რომ რადიკალი - მინისტრი სარო მხარს უჭერს საეკლესიო კანონპროექტს. პალატის საფინანსო კომისიაში რადიკალმა მალვიმ ხელი შეუწყო მის მიღებას. მიუხედავად ამისა, რადიკალების ყრილობაზე ანჟერში ბოლოს და ბოლოს გარეგნულად გაიმარჯვა იმ თვალსაზრისმა, რომ რადიკალი მინისტრები უნდა გამოვიდნენ მთავრობიდან საეკლესიო კანონპროექტთან დაკავშირებით. პარტიული დისციპლინის ძალით გადადგნენ ის რადიკალი - მინისტრებიც (მაგ., სარო), რომელნიც ეკლესიის რესტავრაციის საკითხში პუანკარე-ბრიანს ემხრობიან.

რა მდგომარეობა შეიქმნება ამის შემდეგ? პუანკარეს რადიკალების გარეშეც ყავს პალატაში უმრავლესობა და უნდა ვიფიქროთ, რომ ის კვლავ ჩაუდგება მთავრობას სათავეში, თუ გინდ რადიკალები გაიბუტონ. შემდეგ: ჩვენ ვსთქვით, რომ რადიკალების პარტიაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. პუანკარე, რა თქმა უნდა, სავსებით გამოიყენებს ამ უთანხმოებას რადიკალების პარტიის დასაშლელად და მათ თავის მხარეზე გადასაყვანად. ისიც შესაძლებელია, რომ საეკლესიო კანონპროექტი გამოყოფილ იქნას ბიუჯეტის პროექტიდან და მისი განხილვა გადაიდოს უფრო ხელსაყრელ მომენტისათვის. ამა თუ იმ სახით იგი ადრე თუ გვიან, ცხადია, მიღებული იქნება. რადიკალების კაპიტულაცია ამ საკითხში აუცილებელია. წვრილ ბურჟუაზიას არ გააჩნია თავისი საკუთარი მტკიცე ხაზი, ის მსხვილი კაპიტალის ნებისყოფის იარაღს წარმოადგენს, და ეს ერთხელ კიდევ დადასტურდება საეკლესიო კანონპროექტის მაგალითზე. უდავოა ისიც, რომ სოციალისტები ბურჟუაზიულ და კათოლიკურ რეაქციის ძალების გაერთიანების დროს არსებითად ბურჟუაზიის მხარეზე იქნებიან. მუშათა კლასის მტრების ამ მთლიან ფრონტის საპასუხოდ კომპარტიის მეთაურობით უფრო შემჭიდროებს თავის რევოლიუციონურ რიგებს.

პუანკარეს მთავრობის გადადგომის შემდეგ

პუანკარე თანახმაა შეადგინოს ახალი მთავრობა

ამერიკის პრეზიდენტად არჩეულია რესპუბლიკანელი გუვერი

დაიხურა პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პუანკარე თანახმაა შეადგინოს მთავრობა

პარიზი, 9 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება: „პუანკარემ პრინციპიალური თანხმობა განაცხადა ახალი მთავრობის შედგენაზე". (ადს).

პარიზი, 8 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„7 ნოემბერს პრეზიდენტმა **დუმერგმა** მიიღო რადიკალური ჯგუფების ბელადები და აგრეთვე რადიკალ-სოციალისტების საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე **კაზალსი**.

კაზალსმა განაცხადა, რომ **ერიო** და მისი მომხრეები სრულებით არ არიან პასუხისმგებელნი მთავრობის კრიზისათვის, ვინაიდან ერიომ მიიღო ყოველივე შესაძლო ღონისძიება, რომ თავიდან აეცილებინა ეს კრიზისი.

კაზალსის აზრით, საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა შესდგეს მთავრობა, რომელიც გაატარებს ბიუჯეტს 31 დეკემბრამდე. კაზალსმა დასძინა, რომ პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს მხოლოდ პუანკარეს.

პარლამენტის ზომიერი ჯგუფების წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა: განაგრძოს პოლიტიკა, რომელსაც ეს ჯგუფები იცავდენ უკანასკნელ დრომდე. **ფიქრობენ, რომ რადიკალების მთავრობას უმრავლესობა არ ეყოლება იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მათ მხარს დაუჭერენ სოციალისტები.** საერთო აზრით, დუმერგი მთავრობის შედგენას მიანდობს პუანკარეს, რადგან პარლამენტი აუცილებლად სთვლის ბიუჯეტის მიღებას წლის ბოლომდე და რადგან მომავალ მოლაპარაკებას რეპარაციებისა და ვალების შესახებ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საპარლამენტო წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ პუანკარეს მხარს დაუჭერენ თვით რადიკალ-სოციალისტები". (ადს).

რადიკალები გადადგნენ

პარიზი, 8 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ოთხ მინისტრს (რადიკალ-სოციალისტური პარტიის წევრები) **ერიოს, საროს, კეილს და პერიეს** საუბარი ჰქონდათ პუანკარესთან, რომელსაც ჩააბარეს განცხადება გადადგომის შესახებ. მინისტრები გადადგნენ იმ რეზოლიუციის გამო, რომელიც მიღებულ იქნა რადიკალური პარტიის ყრილობაზე".

როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, მთავრობამ განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ. (ადს).

ინგლისის პრესის კომენტარიები

ლონდონი, 8 ნოემბერი. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ"-ი კომენტარიებს უკეთებს მთავრობის კრიზისს საფრანგეთში და მიესალმება რადიკალების ანჟერის ყრილობის დადგენილებებს.

„პუანკარეს მთავრობის დაცემა,— სწერს გაზეთი, — **მეორე ლახვარია ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისათვის. პირველი ლახვარი მას ჩასცეს შეერთებულ შტატებიდან, ხოლო უკანასკნელს ჩასცემს ინგლისის საზოგადოებრივი აზრი. ეს ლახვარი მომაკვდინებელი იქნება შეთანხმებისათვის. ხელახლაც რომ შეადგინოს პუანკარემ მთავრობა, მისი ეხლანდელი გადადგომა მაინც მოასწავებს მშვიდობიანობის გამარჯვებას ევროპაში".**

ლიბერალური „დეილი ნიუს"-ი ფიქრობს, რომ პუანკარეს კაბინეტის დაცემა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების პირდაპირი შედეგია (ადს).

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები

შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში ახალ პრეზიდენტად ხმის დიდი უმრავლესობით არჩეულ იქნა რესპუბლიკანური პარტიის კანდიდატი **გუვერი**. წინასწარი ცნობებით, გუვერმა უმრავლესობა მიიღო ყველა შტატში, გარდა რვა შტატისა. როგორც ეტყობა, რესპუბლიკანური პარტიის კანდიდატმა დიდი უმრავლესობა მიიღო სამხრეთ შტატებშიაც, რომლებიც წინად დემოკრატებს აძლევდენ თავიანთ ხმებს. საპრეზიდენტო არჩევნებში მიცემული ხმების რაოდენობა ალბად 35 მილიონს აღემატება.

შეერთებული შტატების პრეზიდიუმის და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები ორსაფეხურიანია. 6 ნოემბერს მოხდა სახალხო კენჭის ყრა, რომლის დროსაც ხმას აძლევენ პარტიების მიერ დანიშნულ კანდიდატებს. კენჭის ყრა ხდება ყველა შტატებში ცალკე. ამა თუ იმ შტატში გამარჯვებულ პარტიას უფლება აქვს დანიშნოს ამომრჩევლები, რომელთა რიცხვიც უნდა უდრიდეს ამ შტატის სენატორ-დეპუტატთა საერთო რიცხვს. ამომრჩევლები მთელ სახელმწიფოდან იკრიბებიან შემდგომი წლის იანვარში და ხდება კენჭის ყრა. კონგრესი ხმებს დაითვლის თებერვალში. ვინაიდან შემოღებული პრაქტიკის თანახმად, ამომრჩევლები ვალდებულნი არიან კენჭი უყარონ სათანადო პოლიტიკური პარტიების მიერ წინდაწინვე დანიშნულ კანდიდატებს, ამიტომ საპრეზიდენტო არჩევნების ბედს სწყვეტს ნოემბრის კენჭის ყრა. ახლად არჩეული პრეზიდენტი მოვალეობის ასრულებას შეუდგება 4 ნოემბერს (ადს).

გუვერი

რესპუბლიკანელების გამარჯვება

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. არჩევნების შედეგად შეერთებულ შტატებში რესპუბლიკანელები მიიღებენ მტკიცე უმრავლესობას. არა სრულის ცნობით, ახალი სენატი შესდგება 53 რესპუბლიკანელისა, 40 დემოკრატისა და ფერმერების მუშათა პარტიის ერთი წარმომადგენლისაგან.

წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკანური უმრავლესობა დიდათ არ მოიმატებს. ჩიკაგოში რესპუბლიკანელებისაგან გავიდა ზანგი დეპრისტი. **ზანგის არჩევა პირველი შემთხვევაა 25 წლის განმავლობაში. არსებული ცნობებით, სოციალისტებმა მიიღეს ნაკლები ხმები, ვიდრე 1924 წლის არჩევნებში.** უკანასკნელ კონგრესის ერთად-ერთი სოციალისტი ბერგერი ვერ გავიდა, უორკერს პარტიის ცნობით, კომუნისტების მიერ მიღებული ხმების რიცხვი საგრძნობლად აღემატება წინანდელი არჩევნების დროს მიღებული ხმების რიცხვს (ადს).

პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია დაიხურა

კენიგსბერგი, 8 ნოემბერი. პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის დახურვის წინ, ზალესკის უკანასკნელი სიტყვის საპასუხოდ, ვოლდემარასმა აღნიშნა: „შეცდომაა ზალესკის აზრი, თითქოს კონფერენციამ ხაზოლომ მარცხი განიცადა". ვოლდემარასის აზრით, თუნდაც მარტო ერთი საკითხის მოგვარება, სადემარკაციო ხაზით ადგილობრივი მიმოსვლის საკითხის მოგვარება, დიდი შემსუბუქებაა მოსაზღვრე რაიონის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის.

შემდეგ ვოლდემარასი შეჩერდა იმაზე, თუ რამდენად სწორია ზალესკის სიტყვები პოლონეთის კეთილი განზრახვებისა და მის მშვიდობიან განწყობილებათა შესახებ, და მოიგონა პილსუდსკის შარშანდელი ინტერვიუ, როცა პილსუდსკიმ, პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ მან უძილო ღამე გაატარა იმის გადაწყვეტაში მოახდინოს თუ არა პოლონეთის ჯარის მობილიზაცია.

შემდეგ ვოლდემარასმა აღნიშნა ისტორიული კავშირი ლიტვისა ვილნოსთან. დასასრულ, ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ლიტვას ამ შემთხვევაში მოლაპარაკება მიაჩნია არა დასრულებულად, არამედ მხოლოდ შეწყვეტილად. ვოლდემარასის სიტყვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა (ადს).

ბერლინი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს შესდგა პოლონეთ - ლიტვის კონფერენციის უკანასკნელი პლენარული სხდომა. ვოლდემარასის დიდი სიტყვისა (სიტყვა შეეხებოდა პოლონეთ-ლიტვის დავის განვითარების ისტორიას) და ზალესკის საპასუხო სიტყვის შემდეგ, ზალესკიმ შეიტანა განცხადება, რომელშიაც აღნიშნა, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი ნიშნავს არა მარტო მუდმივ საფრთხეს ორივე სახელმწიფოს განვითარებისათვის, არამედ იგი სერიოზულ ზიანსაც აყენებს მესამე სახელმწიფოთა ეკონომიურ ინტერესებს — მიუხედავად პოლონეთის მთავრობის განუწყვეტელი ცდისა, კონფერენციას არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია, გარდა კონვენციისა საზღვარზე მიმოსვლის შესახებ, რომლის მნიშვნელობაც მეტისმეტად განსაზღვრულია. თუ ლიტვის მთავრობა განაცხადებს სურვილს განახლოს პოლონეთთან მოლაპარაკება ისეთ საფუძველზე, რომელიც იმედს მოგვცემს, რომ მიღწეული იქნება დადებითი შედეგი, პოლონეთის მთავრობა მზად არის კვლავ შეეცადოს ორი ქვეყნის შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.

7 ნოემბერს პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია დაიხურა (ადს).

პოლონეთის მარცხი

კენიგსბერგი, 8 ნოემბერი. პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის ქვე-კომისიის მოლაპარაკების დროს პოლონეთის წარმომადგენელნი ყოველის ძალღონით ცდილობდნენ ხაზი გაესვათ იმისათვის, რომ კენიგსბერგის კონფერენცია უშედეგოა და ამიტომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი განსახილველად ერთა ლიგას უნდა გადაეცეს. მაგრამ პოლონეთის ცდა შესუსტებულ იქნა იმით, რომ ვოლდემარასმა მიაღწია შეთანხმებას იმის შესახებ, რომ გაიმართოს მოლაპარაკება საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხის გამო და მოლაპარაკება უნდა მოხდეს ყოველგვარი პოლიტიკური საკითხების გარეშე. (ადს).

ვოლდემარასის ოპტიმიზმი.

კენიგსბერგი, 8 ნოემბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ვოლდემარასმა განაცხადა: კენიგსბერგის კონფერენციას მთლად უნაყოფოდ ვერ ჩავთვლით, რადგან დადებულია შეთანხმება ადგილობრივი მიმოსვლის შესახებ სადემარკაციო ხაზის გზით. შემდეგ მოლაპარაკება გაგრძელდება დიპლომატიური საშუალებით. ბოლოს, გათვალისწინებულია მოლაპარაკება საქონლის აღებ-მიცემობის შესახებ. ვოლდემარასმა აღნიშნა: შარშანდელთან შედარებით, მსოფლიოს პოლიტიკური ატმოსფერის თვალსაჩინო შემსუბუქება უდავოა კელოგის პაქტის დადების წყალობით, ეს გარემოება დაეტყო აგრეთვე მოლაპარაკების შემარიგებელ ხასიათს. ყოველივე ეს,—სთქვა ვოლდემარასმა,— პესიმიზმის საბუთს არ გვაძლევს, თუნდაც დიდი სიფრთხილე გამოიჩინოთ მდგომარეობის შეფასების დროსო. (ადს).

პორტუგალიის მთავრობის გადადგომა

პარიზი, 8 ნოემბერი. როგორც ჰავასის სააგენტო ლისაბონიდან იუწყება, პორტუგალიის მთავრობა გადამდგარა (ადს).

ლვოვში ქარიშხალი არ დამცხრალა

ვარშავა, 8 ნოემბერი. ორშაბათსა და სამშაბათს ლვოვში კიდევ ჰქონდა ადგილი ცალკე შეტაკებებს უკრაინელებსა და პოლონელებს შორის. განსაკუთრებით ცხარე შეტაკებები მოხდა უნივერსიტეტებში. რადგან პოლონელ სტუდენტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, არ შეეშვათ უკრაინელი სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლის შენობებში. მოხდა უკრაინელი სტუდენტების მასიური დაპატიმრება—დააპატიმრეს 80 სტუდენტი. გაზეთ „დილო"-ს თანამშრომელი ქალი, რომელიც პოლონელმა სტუდენტებმა მეორე სართულიდან გადმოაგდეს და რომელსაც ძვლები დაელეწა, გარდაიცვალა. ლვოვის ვოევოდამ განაცხადა, რომ ყველაფერში დამნაშავენი თვით უკრაინელები არიან. უკრაინელები ვოევოდას განცხადებამ ძალზე აღაშფოთა, რადგან ამ განცხადებას დამრბევთა გამართლებად სთვლიან. უკრაინელმა დეპუტატებმა სეიმში შეკითხვა შეიტანეს ლვოვის ამბების გამო. შეკითხვა მოითხოვს სეიმის სპეციალური საგამომძიებლო კომისიის დანიშვნას, ვოევოდის გადაყენებას და ფულადი ზარალის ანაზღაურებას. შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს შინაგან საქმეთა მინისტრმა სლადკოვსკიმ განაცხადა, რომ ლვოვის ამბებში პასუხისმგებლობა ეკისრებათ უკრაინულ წრეებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან უკრაინელთა და პოლონელთ შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას. სლადკოვსკიმ დაუმატა, რომ მთავრობას საკმაო ძალა მოეპოვება, ძირშივე ჩაჰკლას ყოველგვარი უწესოება და რომ პოლიცია ლვოვში მეტის მეტად ლმობიერად იქცეოდა. სლადკოვსკის სიტყვის შემდეგ უკრაინელი დეპუტატები წამოდგნენ ადგილებიდან და იმღერეს უკრაინის ნაციონალური ჰიმნი. პოლიტიკურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უკრაინის დღემ სეიმში მკრთალად ჩაიარა (ადს).

გერმანიის მელითონეების ბრძოლა

ბერლინი, 8 ნოემბერი. რეინ-ვესტფალიის ლითონის მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნების პატრონთა ტაქტიკა აშკარად იქითკენაა მიმართული, რომ მუშები შიმშილში ჩააგდონ და შემდეგ აიძულონ დათმობა. პროფკავშირები არაფერს არ აკეთებენ მუშების დასახმარებლად. მათ არ გადაუდგამთ ის ნაბიჯებიც კი, რის გადადგმასაც წინად ჰპირდებოდნენ მუშებს. თავდაპირველად ისინი აცხადებდნენ, რომ რადგან მრეწველებმა დაარღვიეს სამედიატორო სასამართლოს მიერ სავალდებულოდ გამოცხადებული გადაწყვეტილება ამიტომ მთავრობა მრეწველებს „გადაახდევინებთო". მაგრამ პროფკავშირებს დღემდე არა აქვთ გადაწყვეტილი, წარადგენენ თუ არა ისინი ახალი ხასიათის სარჩელს. მრეწველებმა კი უკვე მიმართეს სასამართლოს თხოვნით, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება გაბათილებულად იქნას ცნობილი. ამ თხოვნას 16 ნოემბერს გაარჩევენ. (ადს).

კომუნისტების ხელმძღვანელობით

ბერლინი, 8 ნოემბერი. კომპარტიის საგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობის წყალობით რეინ-ვესტფალიის ოლქის ლოკაუტ-გამოცხადებულ მელითონეთა ბრძოლა თანდათან უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს.

„როტე ფანე"-ს ცნობით, იმ ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშათა რიცხვი, რომელთაც დამოუკიდებელი საგაფიცვო კომიტეტები აირჩიეს, 50,000-ს აღწევს. იმას, რომ მუშები საბრძოლველად არიან განწყობილნი, სხვათა შორის, ადასტურებს ისიც, რომ რეფორმისტულ პროფკავშირთა გაერთიანების ბოხუმის განყოფილების მიერ მოწვეულმა კრებამ, რომელსაც 5,000 ლოკაუტ-გამოცხადებული მუშა დაესწრო, დაჰგმო რეფორმისტების ტაქტიკა. პროტესტის ნიშნად, კრების რეფორმისტულმა პრეზიდიუმმა დარბაზი დასტოვა. კრებამ აირჩია ახალი პრეზიდიუმი მემარცხენე უმცირესობისაგან და შეადგინა საგაფიცვო კომიტეტი, რომელშიაც შედიან ოთხი უპარტიო და ორი კომუნისტი. ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშათა კრებამ ჰამბურგში უნდობლობა გამოუცხადა პროფკავშირული ბიუროკრატების მიერ შედგენილს საგაფიცვო კომიტეტს. დუისბურგში ლოკაუტ-გამოცხადებულმა მუშებმა აირჩიეს საგაფიცვო კომიტეტი, რომელშიაც უმრავლესობას მემარცხენე უმცირესობის წარმომადგენლები შეადგენენ. რეინ-ვესტფალიის ოლქის მელითონეთა კავშირებმა 6 ნოემბერს სარჩელი შეიტანა შრომის სასამართლოში მრეწველთა კავშირზე. იგი ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. (ადს).

მდგომარეობა რეინ-ვესტფალიის ოლქში

ბერლინი, 8 ნოემბერი. რეინ-ვესტფალიის ოლქში მდგომარეობა მწვავდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ იქ თავი მოუყარეს პოლიციის საგრძნობ ძალებს.

პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის სოციალ-დემოკრატ გრჟეზინსკის განკარგულებით, ესენი გადაიქცა იმ ცენტრად, საიდანაც საჭიროების დროზე ზომები იქნება მიღებული „წესრიგის აღსადგენად". სამხედრო პოლიციაც მზად არის სამოქმედოდ.

დიუსელდორფში მოხდა მელითონეთა დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო კომპარტიამ. პოლიციამ დემონსტრანტებს გზა გადაუჭრა რატუშისაკენ, რამაც შეტაკება გამოიწვია. მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, მუშებმა ბოლომდე მიიყვანეს დემონსტრაცია, რომელიც ჩატარდა კომუნისტური ლოზუნგებით.

ბითუმად მოვაჭრეთა კავშირმა რეინ-ვესტფალიის ოლქში წინადადება მისცა ცალობით მოვაჭრეებს, შესწყვიტონ ლოკაუტ გამოცხადებულ მუშებისათვის საქონლის გაცემა.

— საიდუმლო მოლაპარაკება —

ბერლინი, 8 ნოემბ. „როტე ფანე"-ს ცნობით, პროფკავშირების წარმომადგენლებსა და ქარხნების პატრონებს შორის დაიწყო მოლაპარაკება. კაპიტალისტები მოითხოვენ იმ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას (ვადა თავდება 3 დეკემბერს), რომლის მიხედვითაც სამუშაო დღე გრძელდება 10 საათიდან 12 საათამდე. სამაგიეროდ კაპიტალისტები თანახმანი არიან სამუშაო ხელფასის უმნიშვნელო გადიდებაზე. ოფიციალურ შუამავლათ მხარეებს შორის, ალბად დანიშნული იქნება პრუსიის ვაჭრობის მინისტრი დემოკრატი შრეიდერი. (ადს).

ლოკაუტის შედეგები.

ბერლინი, 8 ნოემბერი. ლითონის მრეწველობაში გამოცხადებული ლოკაუტის შედეგები თანდათან უფრო ძლიერ იჩენს თავს. უნდა შესწყდეს მუშაობა იმ წარმოებებში, სადაც კირს ამზადებენ. ნახშირის მრეწველობასთან ერთად მეტად დაზარალდა ტრანსპორტიც. მდინარეთა ნავთსადგურებში, იმ ადგილებში, რომლებიც ახლოსაა ლოკაუტის რაიონებთან, განსაკუთრებით დორტმუნდის ნახშირისა და მადნების ნავთსადგურებში, ბევრ მუშას დათხოვნა მოელის. (ადს).

მოწოდება მთლიანი რევოლიუციონური ფრონტისაკენ.

ბერლინი, 8 ნოემბერი. კომუნისტური პარტიის სრულიად გერმანიის კონფერენციამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც პარტიის ყველა ორგანიზაციასა და პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობას წინადადებას აძლევს, შეუდგნენ ფართო მასების მობილიზაციას, ეკონომიურ ბრძოლისათვის მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. კომპარტია წინადადებას იძლევა მათ, აწარმოვონ ეკონომიური ბრძოლა რეფორმისტების ნება-სურვილის წინააღმდეგაც, და მოაწყონ საგაფიცვო კომიტეტები; ამ კომიტეტში შევლენ იმ მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც კონფლიქტში მონაწილეობას იღებენ; იმ წარმოებებში, სადაც მუშაობა შეწყვეტილია, მოაწყონ დემონსტრაციები მებრძოლთათვის თანაგრძობის გამოსაცხადებლად, მიტინგები, მანიფესტაციები და ფულის შეკრება, ამასთან ერთად აწარმოონ მეტად ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია. (ადს).

პრუსიის მთავრობა უარს ამბობს ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშების დახმარებაზე.

ბერლინი, 8 ნოემბერი. კამათი ლოკაუტის შესახებ, რომელიც 7 ნოემბერს სწარმოებდა პრუსიის ლანდტაგში, დასრულდა პრუსიის მთავრობის (მასში სოციალ-დემოკრატებიც შედიან) განცხადებით, რომ მას არ შეუძლია გამოეხმაუროს კომუნისტებისა, სოციალ-დემოკრატებისა და ცენტრის პარტიის მიერ შემოტანილ წინადადებას ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. წინადადებები ლოკაუტ-გამოცხადებული მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ ყველა ხმის უმრავლესობით, კომუნისტების ხმების წინააღმდეგ, გადაეცა ლანდტაგის სავაჭრო-სამრეწველო კომისიას.

„კრასინ"-ელების პატივსაცემად

ბერლინი, 8 ნოემბერი. 6 ნოემბერს ბერლინის ყველაზე დიდ დარბაზში მუშებმა საზეიმო შეხვედრა გაუმართეს ბერლინში მყოფ „კრასინ"-ის ექსპედიციის მონაწილეებს.

საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელმა **ზიბერტმა** და წითელ - ფრონტელთა კავშირის თავმჯდომარემ **ლეოვმა** თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს „კრასინ"-ის და კრასინელების გმირობა. მათი სიტყვები მრავალჯერ იქნა შეწყვეტილი მქუხარე ტაშით.

სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა „კრასინ"-ის მიერ გადარჩენილი გემის „მონტე-სერვანტესი"-ს ერთ-ერთმა მგზავრმა.

კრებამ, რომელსაც დაესწრნენ მეტ ნაწილად უპარტიონი, მიიღო საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ თანაგრძნობის გამომხატველი დიდი მანიფესტაციის ხასიათი (ადს).

ოქტომბრის უქმეების შედეგები

უცხოეთში

გერმანია.

ბერლინი, 8 ნოემბერი. გერმანიის კომუნისტური გაზეთები ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავს უძღვნიან მრავალ წერილს, რომლებშიაც აღნიშნავენ სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგში. „როტე ფანე" სწერს:

„ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში გამოცდა იყო ბოლშევიკებისათვის, გამოცდა რომელსაც მსოფლიო — ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ასეთივე გამოცდა რეფორმიზმისათვის იყო ნოემბრის რევოლიუცია გერმანიაში. ბოლშევიზმმა მუშათა კლასი მიიყვანა გამარჯვებამდე; მან ბოლო მოუღო ექსპლოატატორებს. რეფორმიზმმა გამარჯვება მოუპოვა ექსპლოატატორებს და სილატაკე და მონობა შესძლენა მშრომელ კლასებს".

ბერლინი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე და გერმანიის მონარქიის დამხობის ათი წლის თავზე, მთელ გერმანიაში გაიმართა რევოლიუციონური დემონსტრაციები. დემონსტრაციები კომპარტიამ მოაწყო. (ადს)

ბერლინი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავზე საბჭოთა კავშირის საელჩოში გამართულ მიღებას დაესწრო, პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების და ხელოვნების რამდენიმე ასეული თვალსაჩინო წარმომადგენელი, აგრეთვე არმიისა და ფლოტის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები. დიპლომატიური კორპუსის მხრით დაესწრნენ საფრანგეთისა, იტალიისა, იაპონიისა და თურქეთის ელჩები.

საფრანგეთი.

პარიზი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის 11 წლის თავზე საბჭოთა კავშირის საელჩოში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ: საგარეო საქმეთ სამინისტროს და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მათ შორის გერმანიის და თურქეთის ელჩები, აგრეთვე საზოგადოებრივობის, ვაჭრობის და მრეწველობის წარმომადგენლები, მეცნიერების და ხელოვნების მოღვაწენი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბრიანის სახელით დოვგალევსკის მილოცვა გადასცა.

პარიზი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის 11 წლის თავის გამო საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ გამართა ზეიმი, რომელსაც დაესწრო 10,000 კაცამდე. ორატორების სიტყვებს და რომენ როლანის მისასალმებელ წერილს დამსწრე საზოგადოება შეხვდა მქუხარე ოვაციით და ძახილით „გაუმარჯოს საბჭოებს" (ადს).

იტალია.

რომი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა მიღება, რომელსაც დაესწრნენ იტალიის მთავრობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საზოგადო მოღვაწეები, აგრეთვე იტალიისა და უცხოეთის ჟურნალისტები. (ადს).

ავსტრია.

ვენა, 8 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ოქტომბრის 11 წლის თავის აღსანიშნავად მოხდა მიღება, რომელსაც დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის, ავსტრიის მთავრობის მრავალი წარმომადგენელი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სავაჭრო-სამრეწველო წრეების, ბანკების და ავსტრიაში მყოფ უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, სულ სამასამდე კაცი (ადს).

ლატვიაში.

რიგა, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს რიგასა და ლატვიის სხვა ქალაქებში მოხდა ნაწილობრივი გაფიცვები. გაფანტეს მრავალი მოწოდება და გამოჰკიდეს ბევრი წითელი დროშა რევოლიუციონური ლოზუნგებით. წითელი დროშები ფრიალებდნენ ისეთ ადგილებში, სადაც პოლიციას უძნელდებოდა ასვლა, მაგალითად, საზღვაო სკოლის სასწავლებლის თავზე, 80 მეტრის სიმაღლეზე, და ქარხანა „პროვოდნიკის" 70 მეტრის სიმაღლის საკვამლე მილზე (ადს).

ლიტვა.

კოვნო, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავის გამო, ლიტვაში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს მრავალი პირი, რომლებსაც კომუნისტობა ბრალდებათ (ადს).

იაპონია.

ტოკიო, 8 ნოემბერი. იაპონიის პრემიერმა ტანაკამ, მთავრობის ყველა წევრებმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა და თანამდებობის მრავალმა პირმა, აგრეთვე საქმიანი წრეების, ლიტერატურის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგების წარმომადგენლებმა მიულოცეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ოქტომბრის 11 წლის თავის გამო (ადს).

თურქეთი.

ანგორა, 8 ნოემბერი. ანგორაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მოხდა საზეიმო მიღება ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავის გამო. მიღებას დაესწრნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, სხვა მინისტრები და დიპლომატიური კორპუსი (ადს).

ამერიკა.

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, ოქტომბრის მე-11 წლის თავის დღესასწაული მოწყობილ იქნა მექსიკის კომპარტიის, კომკავშირის, გლეხთა ნაციონალური ლიგის, მუშათა თავდაცვის ორგანიზაციისა და იმპერიალიზმთან და კოლონიალურ ჩაგვრასთან მებრძოლ ლიგის მიერ. საბჭოთა მოქალაქეების კლუბში, მექსიკაში, გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მექსიკაში და სხვ. სხდომის შემდეგ დამსწრეთ აჩვენეს „სოვკინო"-ს სურათი „ოქტომბერი".

დღესასწაულის გამო, სრულუფლებიან წარმომადგენლობაში იყვნენ მუშათა ორგანიზაციის, გლეხთა ნაციონალური ლიგის და სხვ. დელეგაციები.

მექსიკის კომპარტიამ გამოუშვა პარტიის ორგანოს სპეციალური ნომერი, ოქტომბრის მე-11 წლისთავისთვის მიძღვნილი. მე-11 წლის თავის პატივსაცემად გერმანიის, ჩინეთის, იტალიის, შვეციის, გონდურასის, სალვადორის, პარაგვაის, ესტონეთის, ურუგვაის და ეკვადორის მისიების შენობებზე დროშები აღმართეს.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გამართულ მიღებაზე, სხვათა შორის, იყვნენ ამერიკის ისეთი ქვეყნების წარმომადგენელნიც, რომელთაც საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვთ.

ოქტომბრის მე-11 წლის თავი იდღესასწაულეს აგრეთვე მექსიკის მრავალ ქალაქში.

სპარსეთი.

თეირანი, ოქტომბრის თერთმეტი წლის თავის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მოხდა დიდი მიღება, დაესწრნენ თეირანში მყოფი მთავრობის წევრები. პრემიერის მეთაურობით, დეპუტატები, ჟურნალისტები, ვაჭრები, დიპლომატიური კორპუსი და სხვანი.

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც შახთან ერთად იმყოფება შირაზში, სრულუფლებიან წარმომადგენელს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა.

7 ნოემბერს, საღამოთი, საბჭოთა კლუბში შესდგა საზეიმო კრება, რომლის შემდეგ დაიდგა პიესა „რღვევა".

8 ნოემბერს, დღისით, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პარკში გაიმართა სეირნობა და ფიზკულტუროსნების გამოსვლა.

სპარსეთის ყველა ქალაქის საბჭოთა კავშირის საკონსულოებში მოხდა მიღება, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივი ხელისუფლება, ვაჭრები და საბჭოთა კოლონიების წარმომადგენლები.

გაზეთებმა „სეტარეე ირან"-მა, „ტუფან"-მა, „ეტტალა"-მ და სხვებმა მოათავსეს მეთაური წერილები, რომლებიც ეხებიან ოქტომბრის ისტორიას და მიღწევებს და რომლებიც ხაზს უსვამდნენ ოქტომბრის რევოლიუციის დამსახურებას აღმოსავლეთის ხალხების განთავისუფლების საქმეში, იმ ხალხების, რომლებიც დაჩაგრულნი იყვნენ მეფის რეჟიმის მიერ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის და სპარსეთის მეგობრობა ყოველ წლიურად მტკიცდება, მიესალმებიან საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ზრდას, რომელიც ხელს უწყობს აღმოსავლეთის ქვეყნების განვითარებას.

ახლად დაარსებულმა კინო-კამპანიამ „ანტიკადიფ"-მა გადაიღო დღესასწაულის ცალკე მომენტები (ადს).

ჩინეთი.

პეკინი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე საბჭოთა კავშირის პეკინის გენერალურმა საკონსულომ მიიღო მილოცვა გერმანიის საელჩოსაგან, ნორვეგიის საქმეთა რწმუნებულისაგან და ნანკინის მთავრობის რწმუნებულისაგან.

შანხაი, 8 ნოემბერი. როგორც „ნორტ ჩაინა დეილი ნიუზ"-ი იუწყება, 7 ნოემბერს ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავზე ჩინელმა კომუნისტებმა შანხაიში რამდენიმე მიტინგი გამართეს. გაზეთის სიტყვით, კომუნისტებმა ქალაქში გაფანტეს მრავალი პროკლამაცია, რომელშიაც მოუწოდებდნენ ხალხს —შექმნან საბჭოთა მთავრობა, ებრძოლონ გომინდანის მთავრობას, აღადგინონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ებრძოლონ ახალი ომის საფრთხეს. ქალაქის სხვა და სხვა ადგილას სააგიტაციო პლაკატებიც იყო გამოკრული. (ადს)

მონღოლეთი.

ულან-ბატორი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავის დღესასწაული დაიწყო 6 ნოემბერს საზეიმო სხდომით, რომელსაც დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო პარტიის მეშვიდე ყრილობის დელეგატები და მთავრობის, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, 7 ნოემბერს გაიმართა მონღოლეთის სახალხო არმიის ნაწილების აღლუმი და ორგანიზაციების მსვლელობა. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„იზვესტია" ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შესახებ

მოსკოვი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავზე გაზეთი „იზვესტია" სხვა მიღწევათა შორის აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს ეროვნულ პოლიტიკის დარგში. გაზეთი ცალკე ეხება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დღევანდელ მდგომარეობას და სწერს: განვლილ წლებმა ცხადჰყო, რომ საბჭოთა რესპუბლიკები ცხოველმყოფელ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ცალკე ეროვნული რესპუბლიკები მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად სწრაფი ნაბიჯით მიდიან წინ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბიუჯეტი ყოველ წლიურად იზრდება. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბიუჯეტიდან სახალხო მეურნეობასა და განათლებას მეტი და მეტი თანხები ხმარდება. მოსახლეობის კულტურულად დაწინაურების მხრივ აქ დიდ მიღწევებს აქვს ადგილი.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ ეროვნებათა საბჭოში გააკეთა საანგარიშო მოხსენება, საიდანაც ცხადათ სჩანს, რომ სასკოლო მშენებლობა ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში წარმატებით მიდის წინ. დიდი მიღწევებია აგრეთვე სახელმწიფო აპარატში ადგილობრივ მოსახლეობის რიცხვის გადიდების მხრივ, რაიც ამიერ-კავკასიის კულტურულად ჩამორჩენილ კუთხეებში მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს.

საფეიქრო ფაბრიკა—გიგანტი

მოსკოვი, 9 ნოემბერი. გუშინ ამხ. რიკოვის, კუიბიშევის და მთავრობის სხვა წევრების თანდასწრებით გაიხსნა ამხ. მ. კალინინის სახელობის საფეიქრო ფაბრიკა 28.000 თითისტარით. მთელი ქარხანა ელექტროფიკაცია-ქმნილია. მუშაობა იწარმოებს 7 საათს თითო ცვლისათვის. ახალი ფაბრიკა მოგვცემს საშუალებას აღარ შემოვიტანოთ 5 მილიონი მანეთის მანუფაქტურა, იმ მანუფაქტურიდან, რომელიც დღემდე უცხოეთიდან მოდის.

ჩერნიშევსკის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო.

მოსკოვი, 9 ნოემბერი. მოსკოვის კულტურული ორგანიზაციები და დაწესებულებები გაცხოველებით ემზადებიან ჩერნიშევსკის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად. რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობა იუბილესათვის გამოუშვებს რამოდენიმე წიგნს ჩერნიშევსკის შესახებ და თვით ჩერნიშევსკის თხზულებებს.

განათლების სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ საბჭოთა ყველა სათანადო ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ შეუდგეს სამზადისს იუბილესათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის უქმეების შედეგები

საბჭოთა კავშირში

მოსკოვში

საკავშირო პროფსაბჭოს მოწოდება

მოსკოვი, 9 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის გამო, საკავშირო პროფსაბჭომ მოწოდებით მიმართა პროფკავშირთა ორგანიზაციებს, მუშებს და მუშაქალებს. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ოქტომბრის რევოლუციის დიადი დღე ამავე დროს არის საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის შედეგების ჩატარების დღე, ჩვენი მიღწევების შემოწმების დღე. მაგრდება და იზრდება სოციალისტური მშენებლობა, დღითი-დღე ძლიერდება მისი ხელმძღვანელი როლი სახალხო მეურნეობაში, ნელ-ნელა, მაგრამ სწორი გზით ვითარდებიან და მტკიცდებიან სოციალისტური მეურნეობის ელემენტები სოფლად, განუწყვეტლივ უმჯობესდება მუშათა მასების ნივთიერი მდგომარეობა, იზრდება მათი კულტურული დონე. მაგრამ პროლეტარიატმა და მისმა პროფკავშირებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიაფუჩეჩონ და შეამცირონ და არც უნდა გააზვიადონ მის გზაზე მდგომი სიძნელენი, ვინაიდან სიძნელეთა შემცირება ანელებს მუშათა კლასის სიფხიზლეს, ხოლო გაზვიადება ჰქმნის პანიკას. როგორც პირველი, ისე მეორე ასუსტებს პროლეტარიატის წინააღმდეგობას წვრილბურჟუაზიული სტიქიის შეტევისადმი. ბრძოლა პროლეტარიატის მიმართ მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალების წინააღმდეგ, მთელი ენერგიის დაჭიმვა სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადასალახავად, სისტემატიური მუშაობის წარმოება, რათა მუშებს სავსებით განემარტოთ პარტიის კურსი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე,—ასეთია პროფკავშირებისა და მათში გაერთიანებული მუშების მთავარი მორიგი ამოცანები. პროფესიონალურმა კავშირებმა ნათლად უნდა განუმარტონ მუშებს, მუშა-ქალებს და მოჯამაგირეებს, რომ აუცილებელია მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება გლეხობის ძირითად მასებთან და გლეხების ჩაბმა სოციალიზმის აქტიური მშენებლობის საქმეში. ამ ამოცანას საუკეთესოდ უზრუნველჰყოფს მტკიცედ დაყრდნობა ღარიბ გლეხობაზე და მათთვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა, მოჯამაგირეთა შეკავშირება, ფხიზელი მოპყრობა საშუალო გლეხთა მოთხოვნილებებისადმი და გადამჭრელი ბრძოლა კულაკებთან. ამ პოლიტიკის გატარების დროს პროფკავშირები უნდა გახდნენ საბჭოთა ხელისუფლების იმ ძირითად ღონისძიებათა პროპაგანდისტებად სოფლად, რომლებიც ხელს უწყობენ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ამაღლებას, მისი კოოპერაციაში შეკავშირებას, კოლექტივიზაციას და საბჭოთა მეურნეობის—სახალხო მეურნეობის ამ ახალი ტექნიკური ბაზის და ყველა იმის მოწყობას, რასაც მიზნად აქვს სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალ სოციალისტურ საფუძველზე (ადს).

მოსკოვი, 9 ნოემბერი. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან იტყობინებიან, რომ გაიმართა მასიური დემონსტრაციები ოქტომბრის რევოლუციის მეთერთმეტე წლის თავის გამო.

დონის როსტოვში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100,000 კაცმა. ომსკის ოლქში დღესასწაული აღინიშნა ქოხ-სამკითხველოების გახსნით, მოსავლის დღის ჩატარებით და სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობით. ტუკალინსკში გაიხსნა გლეხის სახლი. ჩერეპოვეცში მოხდა მექანიზაციაქმნილი პურის ქარხნის საზეიმო გახსნა. კაზაკსტანში და კარსაკპაიში მუშებისა, მთავრობისა და პარტიის წარმომადგენელთა თანდასწრებით ამუშავებულ იქნა თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა. ხიმდარის ოლქში მოქმედება დაიწყო სატელეფონო ხაზმა 300 კილომეტრის მანძილზე, რომელიც საოლქო ცენტრს აკავშირებს მთელ რიგ აულებთან და ყიშლაღებთან. იჟევსკში დამთავრდა 8 სამსართულიანი ქვის სახლის აგება, რომლებშიაც ჩასახლებულ იქნებიან მუშები. სევასტოპოლში საძირკველი ჩაუყარეს ლენინის ძეგლს და გახსნეს სატუბერკულიოზო დისპანსერი. იაკუტსკში ზეიმით გახსნეს ლენინის ძეგლი და სხ. (ადს).

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს ურიცკის სასახლეში გაიმართა ლენინგრადის საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავისათვის. მოხსენებით სოციალისტური მშენებლობის შესახებ გამოვიდა საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კიროვი, რომელსაც ოვაციებით შეხვდნენ.

ამხ. კიროვმა თავისი მოხსენება დაამთავრა შემდეგი სიტყვებით:

„თვითონ ჩვენზე არის დამოკიდებული, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ სავსებით მიაღწიოს იმ საზეიმო დღეს, როცა საბოლოოდ იქნება დამარხული კაპიტალისტური სისტემა და დაიწყება სასიხარულო კომუნისტური ცხოვრება". ეს სიტყვები დაფარა ხანგრძლივმა ტაშმა და „ინტერნაციონალის" სიმღერამ. (ადს).

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. 4 ნოემბერს სამხედრო ნავთსადგურში თავდაცვა-ავიაქიმმა ბალტიის ფლოტს გადასცა ოქტომბრის საჩუქარი—რამდენიმე პატარა გემი, რომლებიც აგებულ იქნენ ლენინგრადის მეთევზეთა და ჩრდილო-კავკასიის მუშათა შორის შეგროვილი თანხით. გემები შეველენ ბალტიის ფლოტის შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში. (ადს).

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს ვოლოდარსკის რაიონში გაიხსნა ფეიქართა კულტურის სახლი.

სახლს აქვს დიდი დარბაზი (რომელშიაც დაეტევა 11.000 კაცი), ტანვარჯიშობის დარბაზი და აგრეთვე მრავალი კაბინეტი წრეების მეცადინეობისათვის. (ადს).

დნეპროპეტროვსკი, 9 ნოემბერი. მუშების შესვლამ პარტიაში ოქტომბრის რევოლუციის მეთერთმეტე წლის თავზე ფართო ხასიათი მიიღო. სულ ოქტომბრის დღესასწაულის განმავლობაში პარტიაში შევიდა 1.000 დაზგის მუშა. (ადს).

ოქტომბერი უცხოეთში

ამიერ-კავკასიაში

ა.-კ. სავეტერინარო ინსტიტუტის საზეიმო გახსნა

ერევანი, 9 ნოემბერი. 8 ნოემბერს ერევანში მოხდა ამ.-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტის საზეიმო გახსნა. დილით ამიერ-კავკასიისა და სომხეთის მთავრობათა წევრებმა ამ.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. კასიანის და ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. რუბენის მეთაურობით დაათვალიერეს ახლად მოწყობილი სავეტერინარო და სავეტერინარო ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტები. საღამოთი ფიზკულტურის დიდს სახლში ამ.-კავკასიის საბეითლო ინსტიტუტის გახსნის გამო მოხდა საზეიმო სხდომა. სხდომაზე ინსტიტუტის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ერზიკიანმა, გამოაცხადა, რომ ინსტიტუტს მიეკუთვნა „ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახელობის ამ.-კავკასიის საბეითლო ინსტიტუტის" სახელწოდება, რასაც მოჰყვა დამსწრეთა მქუხარე ტაში. შემდეგ ინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომელიც შეჩერდა ინსტიტუტის ორგანიზაციის ისტორიაზე.

ამჟამად ინსტიტუტი უკვე გახსნილია, და მის პირველ კურსზე მიღებულია 100 სტუდენტი—რუსი, სომეხი, ქართველი და თურქი. წელს ინსტიტუტის ბიუჯეტი, ამ.-კავკასიის ცაკის მიერ დამტკიცებული უდრის 1.300.000 მანეთს. აქედან 480.000 მანეთი მოხმარდება ანატომიკუმისა და ერთის კლინიკის აგებას, ინსტიტუტი დროებით მოთავსებულია სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის შენობაში.

საინფორმაციო მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამ.-კავკასიის ცაკისა და ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. კასიანი, სომხეთის კომპარტიის სახელით—ამხ. ხაჯიანი, სომხეთის მთავრობის სახელით ამხ. მრავიანი, ამ.-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სახელით—ამხ. ლისოვსკი და სხვა., რომელთაც აღნიშნეს კულტურულ-სამეურნეო ფრონტზე ამ ახალი გამარჯვების დიდი მნიშვნელობა. მისალოცი დეპეშის წაკითხვის შემდეგ, სხდომამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები დაუგზავნოს საბჭოთა კავშირისა და ამ.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოებს და ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტს (ადს).

თბილისში

ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავი თბილისში აღნიშნული იქნა პროლეტარიატის გრანდიოზული დემონსტრაციით.

ქალაქის ქუჩები ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს. უამრავი დროშები, პლაკატები, წითლად მორთული ავტომობილები და ორკესტრების გამუდმებული გუგუნი აძლიერებდა სადღესასწაულო განწყობილებას.

ქვაფენილები დილიდანვე გაივსო მოზეიმე ხალხით. 12 საათისათვის უკვე მთავარ ქუჩებზე გავლა შეუძლებელი იყო.

სასახლის წინ ქუჩაზე დადგმულია ოთხი საბარგო ავტომობილი, რომელზედაც მოწყობილია სახელდახელო ტრიბუნა. ტრიბუნაზე არიან ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობების წევრები და უმაღლეს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის ამხ. **მიხა ცხაკაია, რუბენი, ივანოვ-კავკასკი, მგალობლიშვილი, იაკუბოვი, ვარძიელი** და სხვები.

აქვეა აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელთა დელეგაციები, რომლებიც დღესასწაულზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ თბილისში.

სასახლის წინ არიან აგრეთვე უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები.

ამხ. მიხა ცხაკაია აზერბეიჯანის და სომხეთის დელეგატებს შორის

12 საათიდან იწყება დემონსტრანტების მსვლელობა ტრიბუნის წინ. მხიარული სახეებით და სიმღერით მოაბიჯებენ თბილისის მშრომელები განიერ ქუჩაზე და მათ წინ მოუძღვის ალისფრად მოელვარე წითელი დროშები. კოლონა კოლონას მოსდევს, რაზმი რაზმს და ყველა ერთად ქმნის ერთ ფოლადისებურ ლაშქარს, რომელიც ძლიერია თავისი კლასიური ინტერესების შეგნებით და ბრძოლისათვის მზადყოფნით.

— გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავს, გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატს! — ისმის ტრიბუნიდან მისალმება, რომელსაც მქუხარე „ვაშა"-თი უპასუხებს მშრომელთა მრავალრიცხოვანი არმია.

აზერბეიჯანის და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა სახელით დემონსტრანტებს ტრიბუნიდან ესალმებიან დღესასწაულზე საგანგებოდ ჩამოსული დელეგატები და ყოველი მათი შეძახილი მხურვალე ოვაციას იწვევს მათ წარმომგზავნ პროლეტარების მიმართ.

ტრიბუნა გარშემორტყმულია დემონსტრანტებით. მსვლელობა გრძელდება ორივე მხარეზე. ისმის განუწყვეტელი „ვაშა" და ორკესტრების გრიალი.

აი გამოჩნდა დიდი პლაკატი: „ავტო-გზა" მოდის. მოდიან წითელი ლენტებით და ყვავილებით მორთული მოტოციკლები და ავტომობილები. ერთ-ერთ ავტომობილზე გადაკრულია ფართო წითელი არშია წარწერით: „ავტომობილი ფუფუნება კი არ არის, არამედ მოხმარების საჭირო საგანია".

პირველ საათზე იწყება საკავშირო რადიომიტინგი. ტრიბუნაზე დადგმულია სპეციალური აპარატები, რომლის საშუალებით თბილისის პროლეტარიატის ზეიმი და სადღესასწაულო სიტყვები გადაცემული იქნება ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, მინსკში და ბაქოში. იქვე ახლო ბოძზე მიკრული ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები კი გადასცემენ თბილისის მშრომელთ აღნიშნული ქალაქების პროლეტარიატის მისალმებას.

გადამცემ აპარატთან დგება ამხ. **მიხა ცხაკაია**.

— საქართველოს პროლეტარიატის სალამი ოქტომბრის რევოლუციის კერის — ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის და მინსკის პროლეტარიატს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის მეთერთმეტე წლის თავზე,— ისმის ამხ. მიხას ხმა, რომელსაც მქუხარე „ვაშა" და „ინტერნაციონალი" ფარავს.

— ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი, რომელიც განთავისუფლდა მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების უღლისაგან, აღფრთოვანებული ეგებება დიდი ოქტომბრის

ტრიბუნაზე

მეთერთმეტე წლის თავს და სხვა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ასწიოს სოციალისტური მეურნეობა და ხელი შეუწყოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

ჩვენი მხურვალე სალამი საბჭოთა რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის დედა-ქალაქების მშრომელთ, „ვაშა"!

მოხუც მიხას ბანს აძლევენ მრავალი ათასი ახალგაზრდა ხმები და ნიავი შორს იტაცებს აღტაცებულ ხალხის გულწრფელ მისალმებას.

კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა დემონსტრანტების მსვლელობა, დიდხანს არ მიწყნარებულა მხიარული ჟრიამული და ყიჟინა.

საერთო სიხარული და ზეიმი გრძელდებოდა საღამოსაც. როდესაც უთვალავ ფერად შუქებში ჩამჯდარი ქალაქი ზღაპრული მიმზიდველობით გამოიყურებოდა ყველა კუთხიდან.

შ—ა.

თავდაცვა-ავიაქიმის აქტივის სხდომა

ამხ. ზარზარის მოხსენება

8 ნოემბერს წითელი არმიის სახლში შესდგა თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის აქტივის სხდომა, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავისადმი.

სხდომაზე მოსმენილ იქნა არმიის პოლიტ. სამმართველოს უფროსის ამხ. **ვასილიევის** მოხსენება ოქტომბრის წლისთავის მნიშვნელობის და თავდაცვა-ავიაქიმის როლის შესახებ.

ფიზკულტუროსნების რაზმი დემონსტრაციაზე

ვრცელი მოხსენებით საბჭოთა ავიაციის შესახებ გამოვიდა საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის ინსპექტორი და საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის გენერალური მდივნის მოადგილე ამხ. ზარზარი.

შეეხო რა საბჭოთა ავიაციის მშენებლობის წარმატებას, ამხ. ზარზარმა ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ სამი წლის განმავლობაში საბჭოთა საჰაერო ხაზებზე არც ერთ უბედურ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი.

ცენტრში,—სთქვა ამხ. ზარზარმა, — დიდ ყურადღებას აქცევენ ახალ საჰაერო ხაზს, რომელიც შეაერთებს თბილისსა და ბაქოს მოსკოვთან— სოჭა-სოხუმზე გავლით. ამ ხაზის გამოკვლევა უკვე დამთავრებულია და იგი გაიხსნება ახლო მომავალში.

თავდაცვა-ავიაქიმის აქტივი უნდა დაეხმაროს სამოქალაქო ავიაციას ამ ხაზის გაყვანაში.

ამხ. ზარზარმა აღნიშნა ამიერ-კავკასიის საავიაციო მშენებლობის მნიშვნელობა თავდაცვის საქმეში. მან, მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ინგლისი თავს უყრის ხმელთაშუა-ზღვაზე თავის საავიაციო ძალებს, რომელთა მიზანია თავდასხმა საბჭოთა კავშირის განაპირა ქვეყნებზე. მოხსენების დასასრულს ამხ. ზარზარმა მოუწოდა თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის აქტივს მიიღოს უახლოესი მონაწილეობა თავდაცვის საქმეში და კერძოდ საავიაციო მშენებლობაში.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ამიერ-კავკასიის რკინისგზების მთავარ სახელოსნოებზე მუშების წარმომადგენელი, რომელმაც სახელოსნოების მუშების სახელით მოუწოდა დამსწრეთ—მტკიცედ იდგნენ საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე.

ადგილებზე

სოხუმი, 9 ნოემბერი. ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავის აღსანიშნავად მოხდა აფხაზური სკოლის ახალი შენობის გახსნა. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ლაკობამ და ამასმა. წაკითხულ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილი, მახარაძის, ქართველიშვილის და ადიგეი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მისასალმებელი დეპეშა. (ადს)

ფოთი, 8 ოქტომბერი. 6 ნოემბერს საღამოს ოქტომბრის რევოლუციის მე-11 წლის თავის აღსანიშნავად სახელმწიფო თეატრში შესდგა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა კავშირების წევრებთან ერთად.

7 ნოემბერს შესდგა გრანდიოზული დემონსტრაცია და უპატრონო ბავშთა პირველი სახლის გახსნა. (ადს)

საბჭოთა არჩევნებისათვის

თათბირი ცაკთან

გუშინ საღამოს სასახლეში გაიხსნა თათბირი მომავალ საბჭოთა საარჩევნო კამპანიის შესახებ. თათბირზე გამოცხადდა ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების, სამაზრო აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებების გამგეები და საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლნი.

სხდომა გახსნა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ.

დღის წესრიგი

ამხ. ფ. მახარაძის შესავალ სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1. საბჭოთა საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანები. 2. საორგანიზაციო საკითხები და ახალი საარჩევნო ინსტრუქციის განხილვა.

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირი შეუდგა მუშაობას.

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

საბჭოთა არჩევნები,—იწყებს თავის მოხსენებას ამხ. ფ. მახარაძე, დიდი პოლიტიკური საქმეა. საბჭოები წარმოადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოს. აქედან თავისთავად იგულისხმება, თუ რა სერიოზულ ამოცანასთან გვაქვს საქმე, როცა ჩვენს წინაშე სდგას საბჭოთა საარჩევნო კამპანია.

საბჭოები წინად და ეხლა

საბჭოებმა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანომ, თავის განვითარების რამოდენიმე საფეხური განვლო. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში მაშინ, როცა სწარმოებდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის, როცა მწვავედ იდგა საბჭოთა ხელისუფლების ყოფნა არყოფნის საკითხი, საბჭოებს როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს, კისრათ აწვათ განსაკუთრებული ამოცანა.— ეს იყო ბრძოლა საბჭოთა სისტემის, საბჭოთა სახელმწიფოს შესანარჩუნებლად. ეს ამოცანა მათ შეასრულეს. საბჭოთა ხელისუფლება გამარჯვებული გამოვიდა სამოქალაქო ომიდან და ამის შემდეგ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა. თითქოს საბჭოებს გასაკეთებელი არაფერი დარჩათ. აქედან იწყება საბჭოების უმოქმედობის ხანა, რომელიც რამოდენიმე წელიწადს გრძელდება. შეუძლებელი იყო დიდხანს გაგრძელებულიყო მათი ასეთი მოქმედობა, რომელიც საბჭოს უკარგავდა ყოველგვარ მნიშვნელობას. ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიამ, რომელმაც 24 წელს წამოაყენა ლოზუნგი საბჭოების გამოცოცხლების შესახებ ამავე დროს პარტიამ და ხელისუფლებამ გამოიმუშავეს დირექტივები იმის შესახებ, თუ როგორ ამოქმედებულიყვნენ, როგორ უნდა გამოცოცხლებულიყვნენ ჩვენი ძირითადი ორგანოები. აქედან იწყება ახალი ხანა საბჭოების ცხოვრებაში ხანა, როცა საბჭოები ხდებიან ჩვენი ცხოვრების ცენტრათ. დღეს უკვე ჩვენ გვაქვს გამოცდილება, როგორც საბჭოთა არჩევნების ჩატარების, ისე საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების საქმეში. ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოებს დიდი წარმატება აქვთ ადგილებზე, იმდენად დიდი, რომ ისინი უკვე გახდნენ მთელი მუშათა მასის ყურადღების ღირსი.

უკანასკნელი არჩევნები საქართველოში ჩატარდა ამ ორი წლის წინად. ჩვენი ცხოვრება ისეთი ნაბიჯით მიდის წინ, რომ არა თუ ორ წელიწადს, არამედ ორ თვესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ორი წლის განმავლობაში დიდძალი მასალა დაგროვდა საბჭოების მუშაობის ყოველი დარგიდან. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ამ ნამუშევარის შეჯამება, მისი ყოველმხრივი აწონ-დაწონვა, შეფასება და ამის მიხედვით გამოვიტანოთ ჩვენი დასკვნები ჩვენი საბჭოების ღირსების, მათი მიღწევების თუ ნაკლოვანებების შესახებ.

არჩევნების ორი პერიოდი

მიმდინარე საარჩევნო კამპანია ორ პერიოდათ იყოფა, საბჭოების მიერ ანგარიშჩაბარების პერიოდი და მეორე—თვით არჩევნები. ჩვენი ძირითადი ამოცანაა, რომ ამრჩეველთა მასებს აქტიური მონაწილეობა მივაღებინოთ საარჩევნო კამპანიის ამ ორივე პერიოდში. უნდა გავიმსჭვალოთ იმ აზრით, რომ ამ არჩევნებს აქვს უდიდესი პოლიტიკური აღმზრდელობითი მნიშვნელობა. არჩევნებმა უნდა მოგვცეს საბჭოები, რომლებიც გააღრმავებენ და გააფართოვებენ წინა წლებში დაწყებულ მუშაობას. საბჭოების აღმშენებლობითი მუშაობა კი შეუძლებელია, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღო მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, გლეხობა, უნდა დავაინტერესოთ, რომ ისინი რაც შეიძლება მეტი გულის ყურით, მეტი აქტივობით მოეკიდონ ახალი საბჭოს შედგენის საქმეს.

საკმაო არ არის, რომ გლეხობამ, და საერთოდ ამრჩეველთა მასამ მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ არჩევაში,—საჭიროა, რომ მასის ხმა გაისმოდეს აგრეთვე მაშინ, როცა ხდება წარსული ნამუშევარის შეფასება და საბჭოების მომავალი სამუშაო გეგმის გამომუშავება. როცა გლეხობამ იცის საბჭოს წინანდელი მუშაობის შინაარსი, მისი მიღწევები და ნაკლოვანებანი, როცა იგი კრიტიკული თვალით ზომავს და აფასებს წინანდელ ნამუშევარს, როცა წარსული გამოცდილების მიხედვით ითვალისწინებს მომავალი მუშაობის სიძნელეებს და მონაწილეობას ღებულობს მომავალი მუშაობის გეგმის შედგენაში, მაშინ მისი მონაწილეობა საბჭოს შედგენაში უფრო აქტიური და წინდახედულია.

წარსული არჩევნები

უკანასკნელად ჩატარებულ არჩევნებში მასის მონაწილეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. 1927 წელს საქართველოში არჩევნებში მონაწილეობა მიუღია ამრჩეველთა 52,2 პროცენტს. ამრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით ყველაზე მეტი აქტივობა გამოიჩინა უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელებს, შემდეგ სოფლის მასწავლებლებს (71,8), მოსამსახურეებს (62,2 პროც.). მუშებს (60,8 პროც., მოჯამაგირეებს (57,4 პროც.), გლეხებს (54.9 პროც.).

დასავლეთ საქართველოსთან შედარებით. სადაც ამრჩეველთა აქტივობა 49.7 პროცენტს უდრიდა, უპირატესი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც არჩევნებში მონაწილეობა მიუღია ამრჩეველთა მასის 55.6 პროცენტს. რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს, აჭარისტანის აქტივობა უდრიდა 47.4 პროცენტს; სამხრეთ-ოსეთის—58.6 პროც.; აფხაზეთის—48,4 პროც. სქესის მიხედვით ვაჟების მონაწილეობა არჩევნებში შეადგენს 66 პროცენტს, ქალების—37,7 პროც. ასეთია დაახლოვებით ამრჩეველთა აქტივობა სოციალური ჯგუფების, სქესისა და ცალკე კუთხეების მიხედვით. ეს აქტივობა მიმდინარე არჩევნებისთვის უკვე საკმაოთ ვერ ჩაითვლება. ჩვენ უნდა მოვიზიდოთ გაცილებით მეტი რიცხვი ამრჩევლებისა, ვიდრე გასულ საარჩევნო კამპანიის დროს. ერთადერთი საშუალება ამისათვის არის ინტერესის აღძვრა არჩევნებისადმი. ეს კი ძნელი საქმე არაა, რადგან საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული მუშაობა მის მიერ წარმოებული აღმშენებლობა, როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დარგში იმდენათ ფართო და მრავალმხრივია, რომ შეუძლებელია ამით ვერ დავაინტერესოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელნი. ამავე დროს, თუ გვინდა რომ ინტერესი გლეხობის არჩევნებისადმი უფრო გაცხოველებული იქნეს, ჩვენ ვერ დავმალავთ იმ დეფექტებსა და ნაკლს, რომელიც ჩვენს მუშაობას ახასიათებს. ერთი მხრივ ჩვენი მუშაობის, ჩვენი მიღწევების მიმოხილვით და მეორე მხრივ, ჩვენი შეცდომების; ჩვენი ნაკლოვანებების აღნიშვნით შეგვიძლია დავაინტერესოთ ამრჩეველთა მასები და ამ საშუალებით მათ საქმით გავხადოთ ეს დიდი პოლიტიკური ამოცანა—საბჭოთა ორგანოების არჩევა.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ანგარიშის ჩაბარების, საერთოდ, საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს ყველგან ერთი მიდგომა. ყველგან ერთი საზომი არ გამოგვადგება. ყოველ რაიონს სჭირია თავისებური მიდგომა.

წინასწარ შესწავლილი და ზედმიწევნით გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რა აწუხებს ამა თუ იმ რაიონს, ამრჩეველთა ამა თუ იმ კატეგორიას, რა აკლია, რა საჭიროება აქვს მას და ამის მიხედვით უნდა გამომუშავდეს არჩევნების ჩასატარებელი გეგმა. ერთი შაბლონი, ყველგან ერთნაირი მიდგომა ამრჩევლებს გულს აუცრუებს და მათთვის გაუგებარი დარჩება ამ კამპანიის მიზანი და ამოცანები. საარჩევნო რაიონის საჭიროების შესწავლა აუცილებელი პირობაა არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის. იგი უნდა დაედვას საფუძვლად იმ გეგმას, რომელიც შესასრულებლად მიეცემა არჩეულ დეპუტატებს. ამ მხრივ ჩვენ უკვე გამოცდილება გვაქვს. უნდა ვერიდოთ შეცდომების გამეორებას. ამრჩევლებს არ უნდა დავპირდეთ ის, რისი ასრულებაც ჩვენ არ შეგვიძლია. სჯობია ამრჩევლებს ნაკლები დავპირდეთ და, თუ ნივთიერმა სახსარმა საშუალება მოგვცა, მეტი გავაკეთოდ. ეს ასწევს საბჭოებისადმი ნდობას და მათ ავტორიტეტს მასაში.

ფართო გასაქანი საქმიან კრიტიკას

მეორე, არანაკლები ძლიერი საშუალება საარჩევნო კამპანიაში მასების ჩასაბმელად არის კრიტიკა, კრიტიკის თავისუფლება, რომელსაც ჩვენ ვერავითარი გზით ამ საარჩევნო კამპანიაში გვერდს ვერ აუხვევთ. ამ თავითვე უნდა ვიზრუნოთ და ვეცადოთ, რომ საბჭოს საქმიანობის განხილვის დროს კრიტიკას ფართო ადგილი დაეთმოს. რომ იგი იქნეს საქმიანი, დინჯი აწონილ-დაწონილი. ჩვენ გვაქვს წარსულში მაგალითები; როცა იყო ცდები კრიტიკის დახშობისა, ამას უნდა ვერიდოთ მართალია, კრიტიკის ასეთი თავისუფლებით ბევრი საბჭოთა მოწინააღმდეგე ისარგებლებს. მოინდომებს საბჭოებისათვის სახელის გატეხას; მათ კრიტიკას ექნება არასაქმიანი, არამედ გაბოროტებული კრიტიკის ხასიათი, მაგრამ ასეთ შესაძლებლობას ჩვენ მომზადებით უნდა შევხვდეთ დავიცვათ სრული წესრიგი და საშუალება არ მივსცეთ ჩვენ მტრებს ჩაშალონ საარჩევნო კამპანია. ჩვენი მოწინააღმდეგების გამოსვლას რომ ადგილი ექნება, ეს ეჭვს გარეშეა. ამის გაკვეთილს წარსული არჩევნებიც გვაძლევს. შარშანწინ ჩვენში ბევრ ალაგას ჰქონდა ადგილი ანტისაბჭოთა ელემენტების, კულაკების,—მენშევიკების ცდებს, რომ ან ჩაეშალათ ჩვენი არჩევნების კამპანია. ან არჩევნები გამოეყენებიათ თავიანთ სასარგებლოდ. გარეგნულად ეს ელემენტები არ ირაზმებიან საბჭოების წინააღმდეგ, მაგრამ არსებითად ცდილობენ ხელში ჩაიგდონ საბჭოები. ამ მიზნით იწვევდნენ მოჯამაგირეების, ღარიბების კრებებს, აძლევდნენ მათ ათასგვარ დაპირებებს და ზოგ შემთხვევაში ასეთი დაპირებებით მიზანსაც აღწევდნენ. წელს კიდევ უფრო მეტად ექნება ადგილი საბჭოთა მტრების ასეთ ცდებს. რადგან წელს კლასთა ბრძოლამ, ნეპმანური ელემენტებისა და კულაკ გლეხობის შევიწროვების გამო, როგორც სოფლად, ისე ქალაქად მწვავე ხასიათი მიიღო. მათი წინააღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უფრო და უფრო ძლიერდება. ცხადია, ეს თავის გამოხატულებაა ამ არჩევნებშიაც ჰპოვებს. შეიძლება მათ შეცვალონ ტაქტიკა. აშკარად არ გამოვიდნენ არჩევნებში, არც კი გამოცხადნენ საარჩევნო კრებებზე. მაგრამ აქტივობა კი გააძლიერონ: დარაზმონ ნაკლებ გათვითცნობიერებული მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები და აამოქმედონ გლეხობა. საერთოდ,—ჩვენს წინააღმდეგ. სწორედ აქ გვმართებს ჩვენ უდიდესი სიფრთხილე და მდგომარეობის სერიოზული აწონდაწონვა. ანტისაბჭოთა ელემენტების მოსალოდნელ გამოსვლას ჩვენ უფრო მომზადებითა და ორგანიზაციულად უნდა შევხვდეთ, ვიდრე შევხვდით გასულ წელს. ჩვენს განკარგულებაში ჯერ კიდევ საკმაო დროა, რომელიც არ უნდა დავკარგოთ და გამოვიყენოთ იგი მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის დასარაზმავათ. ჩვენ ამ ელემენტებიდან უნდა შევქმნათ ერთი მთლიანი მტკიცე ორგანიზაციული მასა და დაუპირდაპიროთ იგი ყველა ანტისაბჭოთა ელემენტებს. აქაც ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს. როცა ჩვენ გლეხობას დავრაზმავთ და დაუპირდაპირებთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, არ უნდა მოხდეს ის, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეებში აღმოჩნდნენ საშუალო შეძლების გლეხები.

მტრული და მეგობრული კრიტიკა

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის, ვინც საბჭოების მუშაობით უკმაყოფილოა, არ შეიძლება ჩაითვალოს ანტისაბჭოთა ელემენტათ. ჩვენს საბჭოებს ბევრი ნაკლი ახასიათებს. ამ ნაკლის გამო გლეხობაშიც ხშირია უკმაყოფილობა. გლეხის მიერ მხილება ამა თუ იმ ნაკლისა არ უნდა ჩამოერთვათ მათ კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლათ. მაგ. თუ გლეხი საყვედურს გამოსთქვამს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უკანონო გაწერის გამო, ან უსამართლოდ დაბეგვრისათვის, ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. უნდა გავარჩიოთ შეძლებული გლეხის ის უკმაყოფილება, რომელიც ჩვენი სისტემით არის გამოწვეული, იმ უკმაყოფილობისაგან, რომელსაც იწვევს ჩვენი საბჭოების ნაკლი, მისი სიდუხჭირე და უმოქმედობა. ნაკლი, მავნე თვისება, ბიუროკრატიზმი და სხვა, ჩვენ ძირითად ორგანოებს, ისე როგორც ცენტრალურს, ჯერ კიდევ ბევრგან ახასიათებს. ეს საარჩევნო კამპანიაც სწორედ ამ მავნე თვისებებთან ბრძოლისათვის უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ ამრჩევლებს უნდა მივცეთ სრული თავისუფლება სააშკარაოზე გამოიტანონ საბჭოების უარყოფითი მხარეები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს საბჭოებში მომზადებულ შეგნებულ მუშაკთა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა. ხშირად თემაღმასკომის მუშაობას ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთი თავმჯდომარე, რომელსაც დამხმარედ ყავს მდივანი. მოგეხსენებათ, თუ ვინ არიან ხშირად ეს მდივნები. ისინი არიან სოფლის ძველი მწერლები ან ყოფილი ოფიცრები, ან ყოფ. ბოქაულები. ცხადია, რომ ორგანოს, რომელსაც ყავს ასეთი პირები, ნაკლი მრავალი ექნება, და, როცა გლეხი ამ ნაკლზე მიუთითებს, ჩვენ მას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ და მომავლისათვის ვეცადოთ, რომ საბჭოები შევავსოთ აქტიური მომზადებული მუშაკებით; რომ მუშაობა არ დაეკიდოს ერთსა და ორ პირს, რომ არჩეული პირებისაგან შესდგეს ნამდვილი საბჭო სექციებით, რომელნიც იზრუნებენ სოფლის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაზე.

სოფლის საჭირბოროტო საკითხები

ერთი ასეთი საჭირბოროტო საკითხთაგანი ჩვენი სოფლის ცხოვრებაში არის მზრუნველობა წითელ არმიელთა ოჯახებზე. ამ საკითხს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის საინტერესოა გამოირკვეს, ექცევა თუ არა ყურადღება საბჭოს მიერ იმ ოჯახს, რომლის აქტიური წევრი ქვეყნის თავდაცვისთვის არის გაწვეული. იმისდა მიხედვით, თუ როგორია საბჭოს მზრუნველობა წითელ არმიელთა ოჯახზე, შეიძლება შეფასდეს საბჭოს ღირსება.

ერთ-ერთი გარემოება, რომელიც გლეხობაში უკმაყოფილებას ბადებს, არის საბჭოების დამოკიდებულება გლეხობისადმი, როცა საქმე ეხება კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციას. უდავოა, კოლექტიურ მეურნეობათ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში, მაგრამ კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა იმ საშუალებით, როგორც საბჭოს ზოგიერთი ხელმძღვანელნი ფიქრობენ, შეუძლებელია. ალაგ-ალაგ გლეხებს ართმევენ ბაღებს, ბოსტნებს, უჭრიან მიწებს და ასეთი ძალდატანებით ქმნიან საშუალებებს კოლექტიურ მეურნეობისათვის. მეორე მხრით, არ ეხმარებიან ცალკე ინდივიდუალურ მეურნეობათ და მიღებულ საშუალებებს მთლიანად ახმარებენ კოლექტიურ ერთეულებს. ეს სამართლიანად იწვევს უკმაყოფილებას გლეხებს შორის. ყალბი შეხედულებაა გავრცელებული, თითქოს პარტია და ხელისუფლება მხარს უჭერენ მხოლოთ კოლექტიურ მეურნეობას და თავიანთი ყურადღების გარეშე სტოვებენ გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობას. ეს შემცდარი შეხედულება უნდა აღმოიფხვრას და კოლექტიურ მეურნეობასთან ერთად დახმარება მიეცეს ღარიბ და საშუალო გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობათ.

საარჩევნო კამპანიის დროს გლეხს საშუალება უნდა მიეცეს, რომ ყველა აქ ჩამოთვლილ მტკივნეულ საკითხებზე გულახდილათ ილაპარაკოს, და არაფრის გზით არ ჩაეთვალოს მას მამხილებელი კრიტიკა ანტისაბჭოთა გამოსვლათ. მხოლოდ ამ საშუალებით შეგვიძლია მოვიზიდოთ გლეხობის ფართე მასები და როგორც ერთი მთლიანი ძალა დაუპირდაპიროთ იგი კულაკებს და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს.

მეტი სიფრთხილე საბჭოს შედგენის დროს

განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს საარჩევნო ხმის უფლება აყრილთა სიების შედგენის დროს. შარშანწინ მაზრები თითქმის ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ ვის უფრო მეტი ეყოლებოდა საარჩევნო ხმის უფლება აყრილი ელემენტები. თელავის მაზრაში მათი რიცხვი უკვე ამრჩეველთა 11-12 პროცენტს შეადგენდა. ხმის წართმევის დროს დიდი წინდახედულობაა საჭირო. ზოგჯერ ხმის წართმევის დროს პირად ანგარიშებს აქვს ადგილი. ხმის წართმევას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. უსამართლოდ ხმის წართმევა გლეხობაზე მეტათ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

აი, ეს საკითხები უნდა მოგვარდეს ამ საარჩევნო კამპანიის დროს. ამოცანები მეტად რთული და მნიშვნელოვანია და, რამდენადაც ეს ასეა, ამ საარჩევნო კამპანიის ჩატარებას ვერ დავაკისრებთ მარტო ერთ ორგანოს, მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა კოოპერატიულმა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა. წინანდელი არჩევნების დროს ეს ორგანიზაციები ისე იქცეოდნენ, თითქოს არჩევნები მათ არ შეეხებოდა, თითქოს არჩევნები სხვა უცხო ორგანიზაციების საქმე ყოფილიყო. დღეს, ასეთ გულგრილობას არჩევნებისადმი ვერც ერთ ორგანიზაციას, კოოპერატიული იქნება იგი, თუ საზოგადოებრივი, ვერ ვაპატიებთ. ეს არჩევნები ყველა ორგანიზაციებმა თავის საქმეთ უნდა გაიხადონ და შეძლებისდაგვარათ ხელი შეუწყონ მის წარმატებით ჩატარებას.

რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა გავადიდოთ ამრჩეველთა აქტივობა, მათი დაინტერესება საარჩევნო საკითხებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არჩევნებში ქალაქად მონაწილეობა მიიღოს ამრჩევლების ასმა პროცენტმა თუ არა, 95 პროცენტმა მაინც. ასევე უნდა გავადიდოთ სოფლის ამრჩეველთა აქტივობა, განსაკუთრებით, ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობის შორის, რომელნიც ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. ჩვენ ამ აქტივობას მივაღწევთ მაშინ, თუ არ დავივიწყებთ იმ მეთოდებს, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია მოვიზიდოთ ამრჩეველთა ფართო მასები. ეს არის თავისებური მიდგომა ყოველი საარჩევნო რაიონის საჭიროებისადმი, ჩვენი საბჭოების ნაკლოვანებების თავისებური კრიტიკა.

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენებით დამთავრდა თათბირის პირველი სხდომა.

დემონსტრანტების ერთი კოლონა რუსთაველის თეატრთან

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

(საქართველოს პროფსაბჭოს სადირექტივო წერილი)

კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის გეგმა

ნოემბერ-დეკემბერში პროფკავშირთა საბჭოებმა მთელი თავიანთი ყურადღება კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიას უნდა მიაქციონ.

კამპანიის გეგმა ისე უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ 20—25 დეკემბრისთვის კოლექტიური ხელშეკრულებები უკვე იყოს ხელმოწერილი, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში რეგისტრაცია - გატარებული და წარმოებებში გაგზავნილი.

კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების დროს უნდა გაუქმდეს ყველა სხვა კამპანია პროფკავშირული ხაზით, გარდა იმ კამპანიისა, რომლის მიზანსაც შეადგენს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების მასიური დამუშავება. ამ საკითხის გადადება არ შეიძლება, რადგან ამჟამად სწარმოებს ხუთწლიანი გეგმის შედგენა და საჭიროა მუშათა მასის აზრის გამორკვევა გეგმების შესახებ და მათში სათანადო შესწორებების შეტანა.

ბევრ კავშირში უკვე ჩატარებულ იქნა მოქმედ კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება. დარჩა რამოდენიმე კავშირი, სადაც ეს შემოწმება არ ჩაუტარებიათ. შემოწმება უნდა დამთავრდეს და შედეგი წარედგინოს მუშათა კრებებს კოლხელშეკრულებათა პროექტების განხილვის დროს. ამასთან სამეურნეო ორგანიზაციებმა მუშათა კრებებზე უნდა განმარტონ ის მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალეს კოლექტიურ ხელშეკრულებათა ცალკე მუხლების შესრულებას.

არ შესრულების მიზეზებს ანგარიში უნდა გაეწიოს ახალი პროექტის შედგენის დროს. გადათვალიერებულ უნდა იქნან კოლექტიურ ხელშეკრულებათა ის მუხლები, რომლების შესრულებაც ვერ მოხერხდა მათი არა რეალობის გამო. ხელშეკრულებებში დატოვებულ უნდა იქნან რეალურად შესასრულებელი და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის მოსახერხებელი მუხლები. მომავალში კავშირებმა მეტი სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ კოლხელშეკრულებების პირობათა შესრულების საქმეში, მათ სასამართლოს წესით პასუხიც კი უნდა მოსთხოვონ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს. ამ მხრივ კავშირმა შარშან სისუსტე გამოიჩინეს, ისინი გადამწყვეტ ზომებს არ ღებულობდნენ. შედეგად ამას, როგორც შემოწმებამ დაგვანახვა, მოჰყვა ის რომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა ბევრი მუხლი შეუსრულებელი დარჩა.

კოლხელშეკრულებათა კამპანიის წარმატებით ჩატარებისთვის ყოველი კავშირის ცენტრალურმა და მისმა სამაზრო განყოფილებამ კამპანიის გაშლამდე უნდა მოიწვიონ კავშირის აქტივი (საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეები და მდივნები, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების წევრები) და ამ აქტივის თათბირებზე გაითვალისწინონ პრაქტიკული მუშაობა კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების საქმეში.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტების საზოგადო კრებებზე გადატანამდე, უნდა მოხდეს მუშათა მასების ეკონომიურად მომზადება, რათა ხელშეკრულების [illegible] დროს შესაძლებელი გახდეს მუშათა მოთხოვნების შეფარდება ამა თუ იმ სამეურნეო ორგანიზაციის მდგომარეობასთან. მუშათა მასას უნდა გავაცნოთ სათანადო წარმოებისა თუ ტრესტის მდგომარეობა. ამიტომ ყოველ ტრესტში მოწვეულ უნდა იქნას ფართო საწარმოო თათბირები, რომლებსაც წარედგინება სამეურნეო ორგანიზაციების მოხსენებანი წარსული სამეურნეო წლის შედეგებისა და მომავალი წლის პერსპექტივების შესახებ. იმ წარმოებებში, რომელნიც ტრესტში ან რაიმე გაერთიანებაში არ შედიან, სამეურნეო ორგანოების მოხსენებები მოსმენილ უნდა იქნენ ფართო საწარმოო თათბირებზე. ეს მოხსენებები უმთავრესად უნდა ეხებოდნენ მეურნეობის ნამდვილ მდგომარეობას და ყველა სამეურნეო საკითხი ისე უნდა გაშუქდეს მუშების წინაშე, რომ მათთვის ნათელი გახდეს ნამდვილი მდგომარეობა. კონფერენციები 25 ნოემბრამდე უნდა დამთავრდეს, რომლის შემდეგაც გაიმართება კამპანია ხელშეკრულებათა პროექტების განსახილველად მუშათა კრებებზე.

5—10 დეკემბრიდან დაწყებულ უნდა იქნას მოლაპარაკება სამეურნეო ორგანიზაციებთან. მოლაპარაკება წლევანდელს კამპანიაში ხანგრძლივი არ იქნება, რადგან სამეურნეო მუშაკებმა ყოველი შენიშვნა და შესწორება მუშათა კრებებზე უნდა შეიტანონ. ამისათვის საჭიროა, რომ კავშირებმა პროექტები სამეურნეო ორგანოებს წინასწარ გაუგზავნონ, რამოდენიმე დღით ადრე კოლხელშეკრულების განხილვამდე მუშათა კრებებზე.

კავშირების მომზადება

კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩასატარებლად კავშირები უწინარეს ყოვლისა უნდა გაეცნონ სამუშაო ხელფასის მდგომარეობას წარმოებებში (ფაქტიური სამუშაო ხელფასის მოძრაობა, ხელფასის შეფარდება სხვადასხვა ჯგუფების — მონარდეების, დროებით მომუშავეების შორის, სხვადასხვა საამქროების ხელფასის განსხვავება, ჩამორჩენილი ჯგუფების გამორკვევა და სხვ.), აგრეთვე შესწავლილ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების მოძრაობის საკითხი (რამდენად გადიდდა შრომის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით; თუ ადგილი ჰქონდა შრომის ნაყოფიერების შემცირებას ან გადიდება უმნიშვნელო იყო, — უნდა გამოირკვეს ამის მიზეზები). შესწავლილ უნდა იქნას პროდუქციის თვითღირებულების საკითხი (შესრულებულია თუ არა ნავარაუდევი შემცირება, შემცირდა თუ არა სამუშაო ხელფასის წილი პროდუქციის თვითღირებულებაში).

უნდა გადაისინჯოს შრომის, ქირის გასტუმრების არსებული სისტემა მისი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. უნდა გამორკვეულ იქნას გასულ წელს გატარებული ახალი ქსელების და ცნობარების დეფექტები და სხვ.

აგრეთვე საჭიროა შეიკრიბოს იმ კონფლიქტების მასალები, რომლებიც აღიძრა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში ხელშეკრულებათა გატარების ირგვლივ.

ყოველივე ეს საფუძვლად უნდა დაედოს ახალი პროექტის შედგენას და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ახალი მოთხოვნების წარდგენას.

საფაბრიკო - საქარხნო ადგილკომები და კოლხელშეკრულებათა კამპანია

დღემდე კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების სიმძიმე ეკისრებოდა ცენტრალურ გამგეობებს. ქვედა საფეხურის საკავშირო ორგანიზაციები — საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომები განზე იდგნენ ამ საქმიდან და არ ეხმარებოდნენ ცენტრალურ გამგეობებს. ბევრი საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომი არ იცნობდა კოლხელშეკრულებათა ცალკე საკითხებს და ხშირად ამახინჯებდა პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ აღებულ ხაზს. ეს წესი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა გადამჭრელი როლი უნდა ითამაშონ კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების საქმეში, ვინაიდან ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მუშათა მასებთან, იცნობენ მათ მოთხოვნილებებს და განწყობილებებს.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების პასივობა კოლხელშეკრულებათა კამპანიის დროს იმით აიხსნებოდა, რომ კავშირები საკმაოდ არ აწვდიდნენ მათ ინსტრუქციებს. კერძოდ, გასულ წელს, სამუშაო ხელფასის რეფორმის გატარების დროს საქარხნო კომიტეტები სრულებით არ იცნობდნენ არც იმ ამოცანას, რომელსაც რეფორმა ისახავდა, და არც ამ რეფორმის განხორციელების ტეხნიკას. ცენტრალურ გამგეობებს უხდებოდა რეფორმასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხის გადაჭრა. მიმდინარე წელს საჭიროა შეიცვალოს საქარხნო კომიტეტების დამოკიდებულება კოლხელშეკრულებათა კამპანიის მიმართ; საქარხნო კომიტეტები უნდა გადაიქცნენ ცენტრალურ გამგეობათა დირექტივების უშუალო შემსრულებლად. ხოლო ცენტრალურმა გამგეობებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ქვედა საფეხურის ყველა ორგანიზაციას.

ეს გაადვილებს კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარებას, შეამოკლებს კამპანიის ვადას და გააუმჯობესებს ხელმძღვანელობას ცენტრალური გამგეობების მხრივ.

კავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა უნდა ჩაატარონ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საინსტრუქციო თათბირები.

ხელშეკრულებათა პროექტების შედგენა

კოლექტიური ხელშეკრულება ნათელი და გასაგები უნდა იყოს მუშათა მასისათვის. გაურკვეველი და დაუდევრად შედგენილი მუხლები კონფლიქტებს იწვევენ და ნერვიულ განწყობილებას ქმნიან მუშებში. ამ მხრივ კავშირებმა დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ, ვინაიდან ძველი ხელშეკრულებები [illegible] ფორმულების გარკვეულობისა და სისწორის მხრივ.

ახალ ხელშეკრულებათა პროექტების საფუძვლად აღებულ უნდა იქნან ძველი ხელშეკრულებები. ამასთანავე ხელშეკრულებებიდან ამოღებულ უნდა იქნან ის პუნქტები, რომლებიც წარმოადგენენ შრომის კანონთა კოდექსის და შრომის დარგში მომქმედი დადგენილებების ნორმების განმეორებას. ასეთი განმეორება არავისთვის არ არის საჭირო, ვინაიდან მომქმედი კანონმდებლობა კოლხელშეკრულებაში შეტანის გარეშეც ყველასთვის სავალდებულოა. მომქმედი დებულების ნორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნან შეტანილნი კოლექტიურ ხელშეკრულებაში, თუ ისინი კანონთან შედარებით უფრო აუმჯობესებენ მშრომელთა მდგომარეობას. დანარჩენ შემთხვევაში ეს ნორმები არ უნდა იქნან შეტანილნი კოლექტიურ ხელშეკრულებებში. ამრიგად, შესაძლებელი იქნება კოლექტიურ ხელშეკრულებათა გამარტივება.

ხელშეკრულებათა წარსულ პრაქტიკაში ისეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, როდესაც კავშირებს და სამეურნეო ორგანოებს კონფლიქტები მოსდიოდათ ხელშეკრულებათა იმ მუხლების ირგვლივ, რომლებიც წარმოადგენდნენ არსებული კანონმდებლობის განმეორებას, რაც აგვიანებდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას, არსებითად კი არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

იმ დაწესებულებებში, სადაც გატარებულია სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება, კოლექტიური ხელშეკრულებების დადება საჭირო არაა. კოლექტიური ხელშეკრულებების ნაცვლად იქ უნდა დაიდოს შეთანხმებები უფლებრივი და ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის საკითხებზე.

კოლექტიურ ხელშეკრულების პროექტის შედგენის დროს საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნან საქარხნო კომიტეტების შესწორებები, აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნას შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობის მდიდარი მასალა; ამ მასალიდან განსაკუთრებით სჩანს, თუ სახელდობრ, რომელი მუხლები უნდა შეიცვალოს, შეივსოს, ან სხვანაირად ჩამოყალიბდეს.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტების მასიური განხილვა

ხელშეკრულებათა პროექტების მასიური განხილვის დროს უწინარეს ყოვლისა უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ კოლექტიური ხელშეკრულება არის მძლავრი საშუალება მასების აღსაზრდელად, მათ დასაინტერესებლად, ამა თუ იმ წარმოების სამეურნეო მდგომარეობით. მასიურმა განხილვამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს კოლხელშეკრულებათა კამპანიაში. სანამ ხელშეკრულებათა პროექტები გადატანილი იქნებოდნენ მუშათა საერთო კრებებზე, საჭიროა მათი დამუშავება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში.

გასულ წელს ხელშეკრულებათა მასიური განხილვის საქმეში შეცდომებს ჰქონდა ადგილი. ბევრი კრება საქმიან ხასიათს არ ატარებდა. ასე, მაგალითად, მეღვინეთა, მეტყავეთა და სხვ. კავშირებში იმის ნაცვლად, რომ საერთო კრებები მოეწვიათ ყოველ ცალკე წარმოებაში, იწვევდნენ რამოდენიმე წარმოების საერთო კრებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა კოლექტიური ხელშეკრულების საქმიან დამუშავებაზე. იყო შემთხვევები, როდესაც მუშათა მთელი ჯგუფი მონაწილეობას ვერ იღებდა ხელშეკრულების დამუშავებაში. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ კავშირები ჩქარობდნენ და არ იწვევდნენ მუშების ყველა წყებას. მსხვილ წარმოებებშიაც კოლექტიური ხელშეკრულებების დამუშავება დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობდა, არ იწვევდნენ საამქრო კრებებს. მიმდინარე წელს ხელშეკრულებების მასიური დამუშავება ისე უნდა ჩატარდეს, რომ აღარ განმეორდეს გასულ წელს დაშვებული შეცდომები. ხელშეკრულებათა პროექტები უნდა დასმულ იქნას ყოველი წარმოების მუშათა საერთო კრების დღის წესრიგში. მოწვეულ უნდა იქნას მუშათა ყველა წყება, ხოლო მსხვილ წარმოებებში ხელშეკრულებათა პროექტები უნდა დამუშავებულ იქნეს საამქრო კრებებზედაც.

ის ხელშეკრულებები, რომლებიც რესპუბლიკანური მასშტაბით უნდა იქნეს დადებული, დამუშავებულ უნდა იქნას არა მარტო თბილისის, არამედ აგრეთვე მაზრების ყველა წარმოებაში.

თვით ხელშეკრულებათა განხილვა უნდა გაუმჯობესდეს გასულ წელთან შედარებით. გასულ წელს ხელშეკრულებათა პროექტებს კითხულობდნენ კრებებზე და ბოლოს იხსნებოდა კამათი ყველა საკითხის ირგვლივ. ასეთი სისტემა არ შეიძლება ჩაითვალოს საქმიან დამუშავებად. ამის ნაცვლად უნდა დაწესდეს ყოველი საკითხის ცალკე განხილვა და ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ შემდგომ საკითხზე გადასვლა.

საჭიროა ყურადღება მუშათა ცალკე ჯგუფების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, არც ერთი წინადადება, რომელსაც წამოაყენებს მუშა ხელშეკრულების პროექტის განხილვის დროს უყურადღებოთ არ უნდა იქნეს დატოვებული. თუ ეს მოთხოვნა მისაღებია და განსახორციელებელია და სამეურნეო ორგანიზაციას ძალუძს მისი ასრულება, საჭიროა მისი მიღება და ხელშეკრულების პროექტში შეტანა.

რაც შეეხება დაუსაბუთებელ, გადამეტებულ ან მეურნეობის ძალღონისათვის შეუფერებელ მოთხოვნებს, სამეურნეო ორგანოებმა კავშირების დახმარებით უნდა მისცენ სათანადო ახსნა-განმარტება, დაამტკიცონ ამ მოთხოვნათა უსაფუძვლობა, რის შემდეგ პირდაპირ კი არ უნდა უარჰყონ, არამედ კენჭი უნდა უყარონ მათ.

დღემდე სამეურნეო მუშაკები მონაწილეობას არ იღებდნენ საერთო კრებებზე და არ ესწრებოდნენ მათ. თუ ესწრებოდნენ, მსჯელობაში მონაწილეობას არ იღებდნენ. მიმდინარე წელს სამეურნეო მუშაკების ასეთი დამოკიდებულება საერთოკრებებზე კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტების განხილვისადმი ძირიანად უნდა შეიცვალოს. თუ დღემდე კავშირების წარმომადგენლებს უხდებოდათ პასუხის გაცემა მუშების ყველა შეკითხვაზე (მაგალითად სამუშაო ხელფასის საკითხზე: რატომ ამდენად დიდდება სამუშაო ხელფასი, და არა უფრო), მიმდინარე წელს მუშების ყველა მოთხოვნაზე და შეკითხვაზე პასუხი უნდა გასცეს სამეურნეო ორგანიზაციის წარმომადგენელმა (ტრესტის ხელმძღვანელმა, წარმოების დირექტორმა). კავშირები არ უნდა გამოდიოდნენ სამეურნეო მუშაკების როლში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფკავშირის ორგანიზაციები არ უნდა დაეხმარონ სამეურნეო მუშაკებს მუშათა ცალკე ჯგუფების მოთხოვნების უსაფუძვლობის ახსნა-განმარტების საქმეში.

უნდა შეიცვალოს აგრეთვე სამეურნეო ორგანოების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტებში შესწორებათა შეტანის პრაქტიკა. დღემდე ასეთი შესწორებები პროექტში შეჰქონდათ კავშირის და სამეურნეო ორგანოს მოლაპარაკების დროს, მას შემდეგ, რაც საერთო კრება განიხილავდა პროექტს. მიმდინარე წელს სამეურნეო მუშაკებმა საერთო კრებაზე უნდა წარმოადგინონ ის შესწორებები, რომლების შეტანასაც აპირებენ პროექტში, უნდა დაასაბუთონ თავიანთი წინადადებები და დაუმტკიცონ მუშათა მასას, რომ ეს წინადადებები მიზანშეწონილი და მისაღებია. სამეურნეო ორგანოებმა საერთო კრებების გარეშე არავითარი შესწორება არ უნდა წამოაყენონ. ეს თვალსაჩინოდ შეამცირებს იმ გაჭიანურებას, რომელსაც დღემდე ჰქონდა ადგილი ხელშეკრულებათა დადების დროს.

პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლების სამეურნეო მუშაკების როლში გამოსვლა არანორმალურად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფორგანიზაციები უფრო კრიტიკულად უნდა უდგებოდნენ მუშათა ცალკე ჯგუფების უსაფუძვლო მოთხოვნებს, პროფკავშირები არ უნდა აჰყვნენ მუშების ასეთ მოთხოვნებს. პროფკავშირებმა კი არ უნდა მიიღონ ყველაფერი ის, რასაც წამოაყენებენ ცალკე ჯგუფები, არამედ ისინი უარყოფითად უნდა შეხვდნენ მუშების ყველა ისეთ მოთხოვნას, რომელიც განუხორციელებელია და მძიმე ტვირთად დააწვება მეურნეობას. გასულ წელს ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, რომ ცალკე პროფკავშირები გაურჩევლად უჭერდნენ მხარს მუშათა ცალკე ჯგუფების მიერ წამოყენებულ ყველა მოთხოვნილებებს.

შრომის ხელფასის გადიდების პერსპექტივები მომავალ წლისათვის

შრომის ხელფასის ზრდის პოლიტიკაში კავშირები უნდა გამოდიოდნენ ჩვენი მეურნეობის მდგომარეობიდან, ჩვენი მიზანია მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ეს შესაძლოა მხოლოდ იმ საშუალებების ფარგლებში, რომლებიც ჩვენ გვაქვს. სამეურნეო შესაძლებლობათა გარეშე სამუშაო ხელფასის გადიდება წარმოუდგენელია.

სამუშაო ხელფასის ზრდა შეთანხმებული უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერების ზრდასთან, ვინაიდან უკანასკნელი წარმოადგენს როგორც სამუშაო ხელფასის გადიდების, ისე ჩვენი მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების და გაშლის ერთად ერთ წყაროს. სხვა წყაროებს მუშათა სახელმწიფოს არ მოეპოვება.

შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელიც უსწრებს სამუშაო ხელფასის ზრდას, ქმნის საშუალებათა რეალურ გადიდების შესაძლებლობას, როგორც თვით სამუშაო ხელფასის ზრდის უზრუნველსაყოფად, ისე აგრეთვე წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის. ამიტომ ჩვენი პრაქტიკული ამოცანა უნდა იქნეს ის, რომ უზრუნველვჰყოთ შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა, ვიდრე სამუშაო ხელფასის.

წარსულ 27—28 სამეურნეო წლის დასაწყისში ნავარაუდევი იყო შრომის ნაყოფიერების ზრდა 17 პროცენტით, ხოლო სამუშაო ხელფასის—7 პროცენტით. საბჭოთა კავშირში ეს დირექტივა ნაწილობრივ იქნა შესრულებული, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 14 პროცენტით, ხოლო სამუშაო ხელფასი 10—11 პროცენტით. საქართველოში მდგომარეობა უფრო ნაკლებ დამაკმაყოფილებელია. შრომის ნაყოფიერების 17 პროცენტით ზრდის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ნაყოფიერების დაცემას 8 პროცენტით. ნომინალური სამუშაო ხელფასი კი გაიზარდა.

წარმოების ცალკე დარგებში 27—28 სამეურნეო წელს სამუშაო ხელფასი 26—27 წელთან შედარებით გაიზარდა შემდეგი რაოდენობით: თამბაქოს წარმოებაში—15 პროც., ლითონის—14 პროცენტით, ტყავეულობის—11 პროცენტით, ფეხსაცმელების—17 პროც., ნაბდეულობის—13 პროც., ბამბის ქსოვილთა წარმოებაში—27 პროცენტით, მაუდის—39 პროცენტით, საპნის—20 პროც., ავეჯის ფაბრიკაში—11 პროცენტით, მარელისის გრეხილ-ავეჯის ფაბრიკაში—37 პროც., ბორჯომის სატკეჩე ქარხანაში—17 პროც., პოლიგრაფიულ წარმოებაში—11 პროც., აბრეშუმის—25 პროც., ქვანახშირის მრეწველობაში—8 პროცენტით და სხვა.

სამუშაო ხელფასის ასეთი ზრდის დროს შრომის ნაყოფიერება ზოგიერთ დარგში (ხე-ტყის, ქვანახშირის, აბრეშუმის) დაეცა, ხოლო ზოგიერთში თუმცა შრომის ნაყოფიერება იზრდება, მაგრამ უფრო ნაკლებათ, ვინემ სამუშაო ხელფასი.

შრომის ნაყოფიერების დაცემა და მისი არასაკმაო ზრდა, როგორც ეს საქართველოს პროფსაბჭომ გამოარკვია, გამოწვეულია სამეურნეო მუშაობაში არსებულ დეფექტებით (ნედლეულით არარეგულიალური მომარაგება, არასაკმაოდ დატვირთვა და სხვ.) სამეურნეო ორგანოების მიერ იმ ორგანიზაციულ ტეხნიკურ ღონისძიებების არასაკმაო გატარებით, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ დასახული შრომის ნაყოფიერების ზრდა, და აგრეთვე შრომის დისციპლინის სისუსტით.

ამგვარად გასულ წელს საქართველოში შრომის ნაყოფიერება ჩამორჩა სამუშაო ხელფასის ზრდას, რაც ჩვენს ფინანსიურად სუსტ წარმოებებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს და ზღუდავს სამუშაო ხელფასის ზრდის შესაძლებლობას მომავალ სამეურნეო წლისათვის. ამიტომ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დღის წესრიგში არ შეიძლება დასმულ იქნეს საკითხი, სამუშაო ხელფასის საერთო მექანიკური ზრდის შესახებ ყველა წარმოებაში. საკითხი შეიძლება მხოლოდ დაისვას მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფების დაწინაურების შესახებ თვითეულ წარმოებაში, და აგრეთვე სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ იმ წარმოებებში, რომელნიც სხვებთან შედარებით სამუშაო ხელფასის რაოდენობის მხრივ ჩამორჩენილი არიან.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება უნდა ჩატარდეს სამუშაო ხელფასის აწევის საფუძველზე იმ მუშებისათვის, რომელნიც წარმოების ძირითად დარგებში მუშაობენ, რაც შეეხება ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ ჯგუფებს, მათთვის ხელფასის მომატება უნდა ჩატარდეს არა მექანიკური გადიდების გზით, კოლექტიურ ხელშეკრულების საშუალებით, არამედ ისე, რომ მათი ხელფასის ზრდა დაკავშირებულ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდასთან, ერთი წლის განმავლობაში ნარდად მომუშავე მუშები შრომის ნაყოფიერების ამაღლების საშუალებით მიიღებენ უფრო მეტს სამუშაო ხელფასს, ასეთი წესით შესაძლებელი გახდება როგორც სამუშაო ხელფასის ზრდა, ისე ზრდა შრომის ნაყოფიერებისა.

შარშანდელმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთი წესი (სანარდო მუშაობის შემოღება) ხელს უწყობს სამუშაო ხელფასის მნიშვნელოვნად აწევას. ასე, მაგალითად, თამბაქოს ქარხნებში კოლექტიური ხელშეკრულებით სამუშაო ხელფასი 5 პროცენტამდე იქნა აწეული, ხოლო ნამდვილად კი წლის ბოლოს, თავისთავად, ხელფასმა აიწია 12 პროცენტამდე. ბორჯომის ტკეჩის ქარხანაში, ხელფასი გადიდდა 10 პროცენტამდე, ნამდვილად კი, აიწია 17 პროცენტამდე და სხვ.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ერთდროული ზრდა შრომის ნაყოფიერებისა და სანარდო მუშაობის წესით სამუშაო ხელფასისა, სამეურნეო ხაზით უნდა გატარებულ იქნას საორგანიზაციო-ტეხნიკური ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინის გაძლიერებას, გაცდენილი დღეების შემცირებას და მუშათა შრომის ინტენსივობის გადიდებას.

მაგრამ შრომის ნაყოფიერების აწევაში მთავარი როლი უნდა ითამაშოს საორგანიზაციო-ტეხნიკურ და რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებამ, აგრეთვე საწარმოო პროცესების სწორ ნიადაგზე დაყენებამ (ნედლეულისა და დამხმარე მასალების თავის დროზე მიწოდებამ, დაზგების სათანადოთ შენახვამ, დაზგების თავის დროზე შეკეთებამ, ახალი დაზგების დადგმამ და სხვ.). ამიტომ სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა დაამუშაონ ეს საკითხი. კავშირები ამ საქმეში მაქსიმალურად უნდა დაეხმარონ სამეურნეო ორგანიზაციებს, მასიური ეკონომიური მუშაობის გაძლიერების გზით. კოლექტიურ ხელშეკრულებათა მასიურად განხილვის დროს მუშების წინაშე უნდა დაისვას შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანა, როგორც ჩვენი მრეწველობის გაფართოვების, ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ერთად-ერთი საშუალება.

მუშათა ჩამორჩენილი ჯგუფების სამუშაო ხელფასის აწევასთან ერთად, და მუშათა დანარჩენი ჯგუფებისათვის სანარდო სამუშაოების წესით ხელფასის ამაღლებასთან ერთად, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ რეალური სამუშაო ხელფასის აწევას (მისი მყიდველობითი უნარიანობის აწევას). მიმდინარე წელს ჩვენ ვამჩნევთ საბიუჯეტო შენაკრების ღირებულების ცოტაოდენ რყევას პირველი საჭიროების საგნებზე, უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების აწევის გამო. უნდა მიღებულ იქნას ზომები, რომ მუშათა კოოპერაციის საშუალებით მუშებს რეგულიარულად მივაწოდოთ პირველი საჭიროების საგნები, კოოპერატიულ ორგანიზაციებში დამზადების საქმის გაუმჯობესების გზით, კავშირებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კოოპერაციის მუშაობაში და უნდა მიაღწიონ იმას, რომ კოოპერაციის გზით დაკმაყოფილებულ იქნას მუშათა ყოფა-ცხოვრებითი ყოველი საჭიროება.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ბ. მაჩაიძე.

ს. პ. კ. ს. სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგე ს. ბოლდაგრელიძე

(დასასრული იქნება)

პარტიაში

ღარიბთა ჯგუფების საქმიანობის შემოწმება

საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს

საბჭოების გადარჩევის მომავალ კამპანიას აქვს მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, ვინაიდან ის სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში ტარდება.

კულაკები მიმართავენ ახალ ცდებს აქტიური წინააღმდეგობის გასაწევად: ისინი ხელოვნურად ადიდებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს, მიმართავენ ტერორს საზოგადოებრივი მუშაკების წინააღმდეგ, ილაშქრებენ კოლმეურნეობათა მოწყობის წინააღმდეგ და იყენებენ რელიგიურ და სხვა ყალბ შეხედულებებს, რათა ჩაშალონ პარტიის ღონისძიებანი და მიიმხრონ საშუალო გლეხობის ცალკე ფენები. ამ ნიადაგზე კულაკები შეეცდებიან გადარჩევის პროცესში გააძლიერონ თავიანთი გავლენა სოფლად და გაიყვანონ საბჭოებში თავიანთი დამქაშები.

კულაკების ამ ცდებს უნდა დაუპირისპირდეს ორგანიზაციული დარაზმვა მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის, რომელნიც წარმოადგენენ მუშათა კლასის დასაყრდენს სოფლად; გადარჩევის კამპანია უნდა ჩატარდეს სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის ლოზუნგით.

უკანასკნელ დროს ღარიბ გლეხობის შორის წარმოებულ მუშაობაში არის ერთგვარი მიღწევები, მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმაოდ და სუსტად უნდა ჩაითვალოს.

ამ მუშაობაში საფუძვლიანი გარდატეხისათვის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილების თანახმად ნოემბერ-დეკემბერში უნდა მოეწყოს ღარიბი გლეხობის ჯგუფთა შემოწმება.

შემოწმება უნდა ჩატარდეს ცენტრალური გაზეთების და ადგილობრივი კედლის გაზეთების ფურცლებზე პარტორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით; ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნას სოფლის აქტივი, საშეფო საზოგადოებანი, კოოპერატიული, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციები.

ამ შემოწმებამ უნდა გამოარკვიოს:

1. „ღარიბი გლეხობის, კერძოდ მოჯამაგირეების მონაწილეობა საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების და სხვა მუშაობაში, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სწორად ტარდება კლასობრივი ხაზი ხსენებულ ორგანიზაციების მუშაობაში.

2. ღარიბთა ჯგუფების მუშაობა კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის განვითარების დარგში და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების გასატარებლად სოფლის მეურნეობს განვითარებისათვის.

3. ღარიბთა ჯგუფების მონაწილეობა კულტურულ მშენებლობაში (მასიური კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, სასკოლო მშენებლობა, სასოფლო - სამეურნეო განათლება).

4. ღარიბთა ჯგუფების მნიშვნელობა თვითკრიტიკის ფართოდ განვითარების საქმეში, აპარატის გაწმენდაში გახრწნილი და კლასობრივად უცხო ელემენტისაგან, საბჭოების სექციების მუშაობის გაუმჯობესებაში და სხვ.

5. ღარიბთა ჯგუფების როლი აქტივისტ მოჯამაგირეებისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის სახელმწიფო აპარატში დაწინაურების საქმეში და საბჭოთა მუშაობაში ღარიბი გლეხობის ჩაბმის დარგში.

6. პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ღარიბი გლეხობის დასარაზმავად და მათი ყოველდღიური საქმიანობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, აგრეთვე კომკავშირის მონაწილეობა ამ მუშაობაში“.

ღარიბთა ჯგუფების დათვალიერებასთან ერთად უნდა ჩატარდეს ღარიბთა ჯგუფების სათემო, სამაზრო და საოლქო კონფერენციები მუშაობაში მიღებული გამოცდილების ურთიერთ გაცვლისა და საბჭოების მომავალი გადარჩევისათვის მომზადების მიზნით. ამ კონფერენციების გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველჰყონ საბჭოების მუშაობის შემდგომი გაცხოველება სოფლის სოციალისტური ელემენტების განმტკიცების და ღარიბი გლეხობის ინტერესების სრული დაცვის საქმეში.

კონფერენციების დადგენილებანი სავსებით უნდა იქნან მხედველობაში მიღებულნი საბჭოების დეპუტატებისათვის მისაცემ ნაკაზის შედგენისას.

ცეკა დიდ მნიშვნელობას აძლევს შემოწმების ჩატარებას და ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს მაქსიმალურად განავითარონ ეს მუშაობა იმ მიზნით, რათა გაუმჯობესებულ იქნას მთელი მუშაობა სოფლად და განმტკიცებულ იქნას პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოთა მომავალ არჩევნებში.

არჩევნები უნდა გადაიქცეს ძლიერ შეტევად ჩვენს კლასობრივ მტერზე: კრებებზე თავს კი არ უნდა ვიცავდეთ კულაკისაგან, არამედ ისე უნდა დავრაზმოთ ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირენი და შევაკავშიროთ მათ ირგვლივ საშუალო გლეხობის ძირითადი მასა, რომ თავდაცვის ნაცვლად მოეწყოს ახალი შეტევა კულაკის წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **ღოღობერიძე**

სოფლად მუშაობის განყოფილების გამგე **არუთინოვი.**

რა ნაკლი გვაქვს ღარიბთა შორის მუშაობაში

(წერილი კახეთიდან)

ღარიბთა შორის მუშაობაში საგრძნობ შეცდომებს უშვებდა ქვედა პარტორგანიზ.-ები. ეს აიხსნება იმით, რომ ღარიბთა შორის მუშაობა მათთვის ჯერ კიდევ შედარებით ახალი საქმეა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ღარიბთა ჯგუფებმა, რომლებიც დაარსებულ იქნა თემსაბჭოებთან, მიითვისეს საბჭოს ფუნქციები, მათ თავის სხდომებზე საბოლოო დადგენილებებიც კი გამოჰქონდათ. ზოგან უფრო მეტ შეცდომებსაც იდენდნენ, მაგალითად კარდენახის თემსაბჭოსთან არსებული ღარიბთა ჯგუფი იხილავს საკითხს საფონდო მარნების გაქირავების შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია: „დაევალოს გლეხკომს, რათა აღნიშნული საფონდო მარნები გააქირავოს პირველ რიგში დაწესებულებებზე, შემდეგ კი ღარიბებს გლეხობაზე. თემაღმასკომის დადგენილება დამტკიცდეს“ ასევე „ამტკიცებს“ ჯგუფი თემაღმასკომის დადგენილებას საბავშო სახლის აგების შესახებ. პარტიის დირექტივის ამგვარ დამახინჯებას მრავალ სხვა თემებშიაც შეხვდებით.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ზემდგომ პარტ-ორგანიზაციების მიერ ფხიზელი ყურადღება არ აქვს მიქცეული ამ საქმეს. არ ტარდება მიცემულ დირექტივების შესრულების შემოწმება, არ იწყობა ღარიბთა ჯგუფების სხდომები პარტკომის ინსტრუქტორთა თანდასწრებით და სხვ. სოფლის ცხოვრება აყენებს უამრავ საკითხს, რომლის სწორი გადაჭრა მოითხოვს მოჯამაგირეების და ღარიბთა დარაზმვას და მათ შეკავშირებას საშუალო გლეხობასთან, მოკლე ხანში ასეთი საკითხები იყო პურის დამზადება და თესვის კამპანია (თესლეულობის, კრედიტების, მანქანა-იარაღების განაწილება და სხვა).

ამ კამპანიებში კლასიური ხაზის დასაცავად საჭირო იყო ყველა საკითხი ღარიბ გლეხთა კრებებზე გარჩეულიყო. სამწუხაროდ ბევრ ადგილას ეს ასე არ მოხდა, რითაც ისარგებლა შეძლებულმა კულაკურმა ელემენტმა.

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი გადახრა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ორგანიზაციაში: არის შემთხვევა, როდესაც საბჭოს წევრები, ზოგჯერ პარტ-ამხანაგებიც, კულაკების გავლენაში ექცევიან და დიდათ კმაყოფილი რჩებიან კულაკის „გულკეთილობით“. მაგალითისათვის შეგვიძლიან მოვიყვანოთ რამდენიმე შემთხვევა: ს. ყვარელში სცხოვრობს ცნობილი კულაკი აბულაძე, რომლის შემოსავლის წყაროსაც ფულის გასესხება და სოფლის ნაწარმოებით ვაჭრობა შეადგენს. ეს გაიძვერა კულაკი ხელისუფლების გულის მოსაგებად და ნდობის დამსახურებისათვის ღარიბ გლეხებს სრულიად უსარგებლოდ აძლევს სესხს. როდესაც თემსაბჭოში დაისვა საკითხი აბულაძისათვის მამულის ჩამორთმევის შესახებ, აქ მას მისმა „გულკეთილობა“-მ დიდი დახმარება აღმოუჩინა: საბჭოს მთელი რიგი წევრები, მათ შორის პარტიულებიც, მამულის ჩამორთმევის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ იმ მოტივით, რომ: „აბულაძეს მამულიდან იმდენი შემოსავალი არა აქვს რამდენადაც ის ღარიბებს და ჩვენს კოოპერატიულ ორგანიზაციებს ხელს უმართავსო“. ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი ს. შილდაში და ზოგიერთ სხვა თემშიაც.

ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს კულაკების იერიშების სხვა ფაქტებიც. ახმეტის თემში კოლექტივისათვის გამოყოფილი იყო განსაზღვრული ადგილი, რომელიც მარგილებით იქნა შემოფარგლული. ერთ მშვენიერ დღეს რამდენიმე გლეხი კულაკის მეთაურობით მივიდა გამოყოფილ მამულში და მარგილები სულ ამოთხარა. სოფ. მაშიანში კულაკებმა მიიმხრეს ერთი კომუნისტი და მისი დახმარებით უდანაშაულოდ დააპატიმრებინეს კოოპერატივში მომუშავე ამხანაგი (შემდეგში ეს საქმე გამოირკვა, ტყუილ უბრალოდ დაპატიმრებული მუშა კი განთავისუფლდა, მის მაგიერ ჩაჯდა კულაკი); ასეთივე წინააღმდეგობებს ვხვდებით კოლექტივების დაარსების დროსაც, რადგან მიწადმოწყობის ჩატარებისას კოლმეურნეობათა მიწებში ხშირად კულაკების მამულიც ჰყვება.

კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების მიერ მოტანილ იერიშების მოსაგერიებლად გვმართებს ფხიზელი მუშაობა ვაწარმოოთ ღარიბთა შორის, ღრმად შევაფასოთ და თავის დროზე აულოთ ალღო კულაკის ყოველ ნაბიჯს, სათანადოთ მოვამზადოთ და გავაცნოთ ღარიბ გლეხობას სოფლად მუშაობის ძირითადი საკითხები და ამით შევასუსტოთ კულაკების წინააღმდეგობა. აგრეთვე საჭიროა ზემდგომ ორგანიზაციებმა გააძლიერონ თავისი ხელმძღვანელობა ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციების მიმართ და მისცენ მათ დირექტივები ყოველგვარ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

მხოლოდ ამგვარი მუშაობით შევძლებთ ღარიბების დარაზმვას და მათ მჭიდროთ შეკავშირებას საშუალო გლეხობასთან კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქრ. კოხტაშვილი.

მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

ახალციხე, 5 ნოემბერი. 3 ნოემბრეს შესდგა პარტორგანიზაციის დახურული კრება კომკავშირის აქტივთან ერთად. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ივანოვ-კავკასიელმა** შემდეგ თემაზე: — „მემარჯვენე გადახრის შესახებ პარტიაში“.

მიღებულ რეზოლიუციაში საერთო კრება აღნიშნავს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ხაზის სისწორეს და აცხადებს, რომ პარტიის ბრძოლაში გადახრის წინააღმდეგ, ახალციხის პარტორგანიზაცია პირველ რიგებში იდგომება. (ადს)

თბ. კომიტეტის პლენუმი

კამათი ამხ. ასრიევის მოხსენების გარშემო

პლენუმის გუშინდელი სხდომა დაიწყო კამათით ამხ. ასრიევის მოხსენების ირგვლივ.

ამხ. პევცოვი—ეხება ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობას და საჭიროდ სთვლის დიდ ქუჩებში და მოედნებზე, ტრამვაის გასაჩერებელ ადგილებთან მოეწყოს თავშესაფარები წვიმისა და მზისგან თავდასაცავად.

ამხ. ოგანოვი—ეხება მუშათა ახალ სახლების საკითხებს. „ექვსი თვეა,—ამბობს ორატორი,—ახალი ბინები მოგვცეს, ქირის შესახებ კი არავინ რამეს გვეუბნება, მუშები ამით უკმაყოფილონი არიან, ისინი ფიქრობენ, რომ დაგროვილი ქირა ერთდროულად გადახდებათ, რაც მათთვის მეტად საძნელო იქნება.

შეგვპირდნენ ახალ სახლებში ორთქლის გათბობას მოვაწყობთო, კედლებიც დახვრიტეს, მაგრამ ჯერ თურმე ორთქლის ქვაბიც არ აქვთ გამოწერილი. ამ საკითხების მოგვარებას აღმასკომმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. თავდგირიძემ, მონტინმა, ვარლამოვმა, ოლინმა, კონოვალოვმა, მარიამიძემ, ვ. ბოლქვაძემ, ლ. სუხიშვილმა და სხვ. დასასრულ დაბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ასრიევმა.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე—კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აზარაშვილმა.

როგორ მუშაობს ა. ლ. კ. კ. თბ. ორგანიზაცია

უკანასკნელ ხანებში,—ამბობს მომხსენებელი,—საგრძნობლად შემცირდა ავადმყოფური მოვლენები კომკავშირში. ორგანიზაციიდან ნებაყოფლობითი და მექანიკური გასვლის შემთხვევები თანდათანობით მცირდება. 1926 წ. ორგანიზაციიდან გავიდა 1337 კაცი, 1927 წ.—537, 1928 წელში კი 436.

ეს დადებითი მოვლენა ამტკიცებს იმას, რომ კომკავშირმა შესძლო თავის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დაახლოება მშრომელ ახალგაზრდობის მოთხოვნილებებთან.

მოზარდთა ჯავშანი წარმოებაში ჩვენ გადამეტებით შევავსეთ, გვქონდა 544 ადგილი, მიღებით კი მივაღებინეთ 553 კაცი.

ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა ძალის მოსამზადებლად ჩვენ გვაქვს ორი ფორმა: საფაბრ. საქ. სკოლები და საზრიგადო მოწაფეობა. საფაბრიკო საქარხნო სკოლების ნაწილი (მაგ. ამხ. კამოს სახელობის სკოლა) არ იყო დაკავშირებული წარმოებასთან, რის გამოც ის ვერ იძლეოდა სათანადო პრაქტიკის მქონე მუშა-ძალას. კომკავშირის თბილისის კომიტეტმა დასვა საკითხი ასეთი სკოლების რეორგანიზაციის შესახებ და კიდევაც გადასწყვიტა იგი სათანადო ორგანოების საშუალებით. ამჟამად საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში სწავლობს 628 მოზარდი, ინდ. და საზრიგადო მოწაფედ კი 435.

კომკავშირის ორგანიზაციებმა ჩაატარეს კონკურსები მოწაფეებზე, საუკეთესო მწარმოებლებზე, ოსტატზე, რომელიც ყველაზედ უკეთ ასწავლის მოწაფეს და სხვ. ამ კონკურსებმა და ბიუროების უკანასკნელმა გადარჩევამ გამოარკვია, რომ ჩვენ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევთ ახალგაზრდობის გამომგონებლობას და მათ მიერ შემოტანილ წინადადებათა განხორციელებას.

დაწესებულებათა უჯრედები თავის ძირითად ამოცანას—ბიუროკრატიზმთან ბრძოლას—საკმაო წარმატებით ასრულებენ. „მსუბუქმა კავალერიამ“ ერთი თვის განმავლობაში 179 საქმე განიხილა. „მსუბუქ კავალერიის“ მიერ მოხდენილი „თავდასხმით“ გამოირკვა, რომ „ზაკტპის“ მაღაზიებში დეფიციტიან საქონელს აძლევდნენ ნაცნობ მეგობრებს, რკ. გზის მუშფაკში პროტექციით მიიღეს 4 მსმენელი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ხელმძღვანელობის სისტემა ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებას. მომავლისათვის საჭიროა აღმოფხვრათ ცირკულიარებით კავშირი და სხდომების სიხშირე.

სოფლად გაუმჯობესდა ა. ლ. კ. კ. უჯრედების მონაწილეობა სამეურნეო ცხოვრებაში. გვაქვს რასაკვირველია დეფექტებიც: ზოგ ადგილას კომკავშირელებმა უარი სთქვეს კოლმეურნეობებში შესვლაზე (საგარეჯო). ისინი ეხმარებოდნენ კულაკებს და სხ.

თბილისის ორგანიზაცია ერთი წლის განმავლობაში 11.852-დან 18.445 კ.-დე გაიზარდა, დუშეთის ორგანიზაციის გამოკლებით ზრდა 3.520 კაცს უდრის. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ განვახორციელეთ ლოზუნგი: „მუშა ახალგაზრდობის 100 პროც. კომკავშირში“, ამ საქმეს სათანადო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ.

პარტბირთვი 12,3 პროც.-დან ა. წ. 1 აპრილისათვის 15,1 პროცენტამდე ავიდა. ასე, გადაცილებულთა პროცენტი 28,6-დან 16,1-დე დაეცა.

ჩვენ გვმართებს გადამწყვეტი ზომები მივიღოთ აქტივის მოსამზადებლად, აგრეთვე უნდა ვიზრუნოთ კომკავშირელთა მასებში კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გასაძლიერებლად.

სამხედრო მუშაობის დარგში ჩვენ დღემდე ძლიერ გატაცებული ვიყავით ლაშქრობათა მოწყობით, საყოველთაო სამხედრო სწავლის მოწესრიგება კი ვერ შევსძელით. მომავალი წლიდან ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ.

პიონერებისთვის ჩვენ მოვაწყვეთ ბანაკები, სადაც 1290 პიონერი იყო გაგზავნილი, ასეთი ბანაკების მოწყობა თბილისისათვის პირველია.

ამხ. აზარაშვილის მოხსენების ირგვლივ ილაპარაკეს ამხ. ოსიპოვმა, პრეობრაჟენსკიმ, ვარლამოვმა, კიპრიზოვმა. კამათის გაგრძელება და დარჩენილი საკითხის განხილვა დღევანდელი სხდომისათვის გადაიდო.

სოფლის ექიმის შენიშვნები

(წერილი ქუთაისის მაზრიდან)

ამასწინად ქუთაისში ჩატარდა მაზრის ექიმთა კონფერენცია.

ეტყობოდა კონფერენციის პროგრამა ნაჩქარევად იყო შედგენილი. ამის გამო პირველმნიშვნელოვანი საკითხები საბჭოთა მედიცინისა, კონფერენციაზე ან სულ არ იყო დასმული და გაშუქებული, ან და ძალიან მკრთალად. მაგ., არ იყო საარშიაქტო საკითხი, არაფერი იყო სოციალურ სნეულებებთან ბრძოლისა და ამ ბრძოლაში იმ გზის შესახებ, რომელსაც ჯანმრთელობის განყოფილება აქამდე ატარებდა და შემდეგშიაც ფიქრობს გატარებას ტუბ. და ვენდისპანსერების მოქმედების მოხსენება ამისთვის საკმარისი არ არის. არაფერი თქმულა ჩვენს მაზრაში სულით ავადმყოფთა მდგომარეობისა და მათი პატრონობის შესახებ, თუმცა ეს საკითხი ერთობ საჭირბოროტო საკითხთაგანია ჩვენში; არაფერი თქმულა ჰელმინტოლოგიური მუშაობისა და ნაწლავების ჭიებთან ბრძოლის შესახებ, თუმცა ჩვენს მაზრაში ასეთ დაავადებას დიდი ადგილი უკავია და უკვე სოციალური უბედურების ხასიათს ღებულობს. არაფერი თქმულა ბავშთა კონსულტაციის მოწყობის აუცილებლობის შესახებ, ჩვენგან დაწყებულ და წარმოებულ პროფილაქტიური განზრახვა და მისი გაფართოვება-გაღრმავების აუცილებლობის შესახებ და სხვა. ერთი სიტყვით, ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება ერთობ მკრთალი და შეკვეცილი გამოვიდა და ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, თითქოს ამ შვიდი წლის ნაშენები და სიამაყით ნაკეთები, საბჭოთა მედიცინის ქვაკუთხედი, სანიტარულ-პროფილაქტიური მოღვაწეობა ახლა უკვე საჭიროდ აღარ არის ცნობილი და უკუგდებულია. ტყვილა კი არ უკითხავს ზოგიერთ სოფლელ ამხანაგებს: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, გავაგრძელოთ ისევ ძველი მუშაობა სანიტარულ-პროფილაქტიური განზრახვის გაძლიერებით, თუ თავი დავანებოთო. მე მგონია ჯანმრთელობის განყოფილებას ცალკე ცირკულიარი დასჭირდება ამის განსამარტავად.

ამ პროგრამის შეკვეცამ გამოიწვია ის, რომ სოფლის ექიმებმაც თავიანთ მოხსენებებში ეს საჭირო საკითხები ან სულ არ გააშუქეს, ან ვერ გააშუქეს და კონფერენციის ყურადღების გარეშე დასტოვეს. ამისავე მიზეზი იყო, რომ ბევრ თემის ექიმს მოხსენება სულაც არ გაუკეთებია და კონფერენციის და ჯანმრთელობის განყოფილებასაც თავისი მტკივნეული საკითხები ვერ უთხრა, ვერ გააგებინა და ერთნაირის უკმაყოფილო გრძნობით დაბრუნდა უკან.

მაგრამ რაც ითქვა, იმანაც ჩვენი ცხოვრების ბევრი რამ მტკივნეული და ანორმალური მხარე გამოარკვია.

გამომჟღავნდა, რომ ჩვენი სოფლის ექიმების უფლებრივი მდგომარეობა მიუხედავად მმართველი პარტიის და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების განკარგულებისა, გაუმჯობესების მაგივრად, გაუარესდა და თუ ამას წინააღმდეგ დროზე არ მივიღეთ ზომები, კიდევ უფრო გაუარესდება. ამის მიზეზი ზოგიერთი თემაღმასკომების თავმჯდომარეების თავგასულობაა. გამოირკვა, რომ ზოგიერთ თემებში თავმჯდომარეები, განდიდების სურვილით არიან შეპყრობილნი, რომ მათ თავი დამოუკიდებელ სამთავროს გამგე-პატრონად ჰყავთ წარმოდგენილი და ფიქრობენ, რომ ყველა და ყველაფერი მათ უნდა ემორჩილებოდეს და მათ სურვილებზე მიდიოდეს. ისინი წმინდა საექიმო საქმეშიც კი ერევიან ხოლმე. ამისი მაგალითიც დაასახელეს, გურნის თემაღმასკომის თავმჯდომარე **ი. გოჩოლაშვილი**. აი მისი „მიწერილობის“ ასლიც. „კაკო, (ექიმის სახელია), ავადმყოფი ენახეთ და ოქმი შევუდგინეთ და **ჩემის აზრით სასიკვდილო არა უშავს. მხარეები მორიგდენ და თქვენი მოწმობა კი სასიკვდილო არის.** ამით შეიძლება საწყალ იმ ქალს, რომელმაც დასჭრა ის (ბოზი) შეიძლება მაინც მოსდევან რამე და **გთხოვ შესცვალე მოწმობა. ასე რომ გამოაკლე ის სიტყვა სასიკვდილო და შეამჩატე რაც შეიძლება.** თქვენი ილიკო. 6 აგვისტო, 1927 წ.“.

აი მისი მეორე ეპისტოლეც: „სხვა კაკო, ერთ რამეს გთხოვ, რომელიც **საქმის თანახმად შეუძლებელია,** მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია. ეს ბაგრატი დარსაძე იყო მორიგე **მაჯული** და ვერ გამოცხადდა სასამართლოში სხვადასხვა მიზეზების გამო, ამიტომ **მისთვის არავითარი არ არის საპატიო მიზეზი ექიმის მოწმობის მეტი.** ამიტომ **გთხოვ მისცეთ ასეთი მოწმობა, რომ ის 23 აგვისტოს, 1927 წ. და 24—25, იყო ავად და თქვენ ექიმობდით,** თუ შესაძლებელი იქნება ნუ დამამადლი **რითაც მას ეპატიება ათი მანეთი.** სალამი. ილიკო“.

როდესაც ექიმმა მისდა საუბედუროდ ეს ვერ შეასრულა, თუ არ შეუსრულა, ისეთი პარობები შეიქნა, რომ უკანასკნელი იძულებული გახდა თემი მიეტოვებინა და სხვა პუნქტზე გადასულიყო.

კიდევ უარესი ამბავი მომხდარა ბაღდადში. აქ თემის აღმასკომის თავმჯდომარესაც თავი ეტყობა დამოუკიდებელ მთავრად წარმოუდგენია და თემებში დარიგებული სამაზრო აღმასკომისა და მისი ჯანმრთელობის განყოფილების ინსტრუქცია სოფლის პუნქტების ექიმების მუშაობის წესრიგის შესახებ გაუუქმებია და თავისი წესები შემოუღია. წინადელი ინსტრუქციით ექიმს ევალებოდა დილის 9-დან 12 საათამდე ამბულატორიაში მომსვლელი ავადმყოფების მიღება, მაგრამ უეცარ შემთხვევაში: მოწამვლის, სისხლის დენის, უბედური შემთხვევის და მშობიარობის დროს, ექიმი ვალდებული იყო პუნქტი მიეტოვებინა და გაჭირვებულთა დასახმარებლად დაუყოვნებლივ წასულიყო. აი ეს არ მოსწონებია თემაღმასკომის თავმჯდომარეს და ამაზე თავისი ვეტო დაუდვია. ექიმიც იძულებული გახდარა ეს შეესრულებინა და როდესაც შემდეგ, მასთან მახლობელ სოფლიდან გულგახეთქილი ხალხი მოვარდნილა: არიქა, გვიშველეთ, მშობიარობის გამო ქალი იღუპებაო, ხელფეხშეკრული ექიმი თემაღმასკ. თავმჯდომარეს უმორჩილესად სთხოვს, განმიმარტე ამ შემთხვევაში როგორ მოვიქცე, ნებას მომცემ გავყვე მთხოვნელებს სოფელში, თუ არაო. აღმასკომის თავმჯდომარე აღმასკომში არ აღმოჩნდა. მას ძებნა დაუწყეს, როგორც იყო ნახეს, როგორც იყო ნებართვის მიცემა ინება. ექიმიც წავიდა, მაგრამ საჭირო აღარ ყოფილა, დედაკაცი ამდენი ძალღონის მქონეც არ აღმოჩნდა და მანამდე დაუკრავს სამუდამოდ თავი.

იგივე თავმჯდომარე ექიმს სასტიკ განკარგულებას აძლევს. გინდა თუ არა დეზინტერიანი ავადმყოფი პუნქტზე მოათავსე და უმკურნალე, და როდესაც ექიმის განმარტებით, რომ პუნქტი საამისოდ მოწყობილი არ არის და მომვლელი პერსონალი არა გვყავს, არ გასჭრა, ავადმყოფი მიიღეს, მაგრამ მთელი მომსვლელი ავადმყოფი დაფრთხენ და სიარული შესწყვიტეს.

ცხუნკურში თავმჯდომარე ექიმს „სთხოვს“ მის (თავმჯდომარის) ახლობელ ბებია ქალს სამსახურში გამოცხადება ერთი თვით ადრე დაუდასტუროს. როდესაც ექიმი ამაზე არ თანხმდება, მას ყველგან ლანძღავს და აგინებს, ექიმი აქაც თემს სტოვებს და სხვაგან გადადის.

ასეთივე ამბავი იყო ამ სამი წლის წინეთ ლაზირშიც. აღმასკომის თავმჯდომარემ პუნქტის ექიმს თავისი დაუზღვეველი „ნათესავა“ ქალისათვის დაზღვეულთა ანგარიშზე წამლის გამოწერა „სთხოვა“. ექიმმა „შეგნება“ ვერ გამოიჩინა და თავმჯდომარეს „თხოვნა“ ვერ შეუსრულა, რასაც ძალიან გრძელი და არასასიამოვნო ისტორია მოჰყვა, და ის შედეგი გამოიღო, რომ ენერგიული და საქმის მცოდნე ექიმი არა თუ თემს, ქუთაისის მაზრასაც მოსცილდა.

გამოირკვა აგრეთვე, რომ არც 1927 წ. 18 ივნისის დეკრეტი ტარდება ცხოვრებაში. ამ დეკრეტით მიმოსვლის საშუალება და ბინა ექიმს თემმა უნდა მისცეს. ბინა ბევრგან ისეთია, რომ ექიმს თავზე აწვიმს და ქარი ყოველ მხრით დანავარდობს. ცხენი კი ჯერ-ჯერობით ექიმის კუთვნილებას შეადგენს. თემი მხოლოდ მის საკვებს იძლევა, მაგრამ ხარჯი ამისათვის იმდენია, რომ მარტო ნახევარ თვეს ყოფნის ცხენს, დანაკლისი ექიმმა თავისი ჯიბით უნდა შეავსოს. ცხენს, ექიმს გარდა არც მომვლელი ყავს ვინმე და ამიტომ ექიმი იძულებულია: ავადმყოფები მიიღოს, ბინაზე წასვლის დროს ცხენს უნაგირი დაადგას. მოსვლისას მოხადოს, დაწმინდოს, დაასუფთაოს, საკვები მისცეს, წყალი დაალევინოს, საჭიროების დროს დასაჭედათ წაიყვანოს და სხვა.

მე მგონია, ამას დროზე ყურადღების მიქცევა და გამოსწორება უნდა. უნდა განემარტოს ყველას, რომ მმართველი პარტიისა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დირექტივა სოფლის ამ კულტურულ მუშაკებს მეტი სიფრთხილით და თავაზიანობით მოეპყრან, რათა მათი ძალები ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის განსამტკიცებლად და სიბნელე-ცრუმორწმუნეობის დასათრგუნავად იქნეს გამოყენებული.

ეტყობა სოფლად ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლებისათვის ეს ჯერ კიდევ გაუგებარი ყოფილა და ამას ბოლო უნდა მოეღოს.

დამსწრე ექიმი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ა.-კავკასიაში გასაღებულია 14.121.375 მანეთის ობლიგაციები

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 3 ნოემბრისთვის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მოწერა ჩამოყალიბებული იყო აზერბეიჯანში—4.996.990 მანეთზე და საქართველოში — 7.263.890 მანეთზე. ამასთანავე ახალქალაქის, ბორჩალოს, შორაპნის და ოზურგეთის მაზრებიდან და სამხრეთ ოსეთიდან მიღებული არ არის უკანასკნელი ცნობები.

სომხეთიდან ცნობების მიღება გვიანდება. უკანასკნელ ცნობის თანახმად, 23 ოქტომბრისთვის ხელის მოწერა სომხეთში ჩამოყალიბებული იყო — 1.860.495 მანეთზე.

ახალი საჰაერო ხაზი ამიერ-კავკასიაში

თბილისში ჩამოვიდა სამოქალაქო ავიაციის მთავარი ინსპექტორი ამხ. **ა. ზარზარი**, რომელიც თავმჯდომარეობდა სამოქალაქო ავიაციის საბჭოს მიერ ამიერ-კავკასიაში ახალი საჰაერო ხაზის გამოსაკვლევად გამოყოფილ სპეციალურ კომისიას. კომისიამ დაათვალიერა საჰაერო ხაზის ახალი ვარიანტი შემდეგი გზით — თბილისი — ქუთაისი—ზუგდიდი — სოხუმი — სოჭა და ტიხორეცკაია. აღნიშნულ ხაზზე მიმოფრენა გაიხსნება იმ ვარაუდით, რომ მოსკოვიდან გამოსული აეროპლანი ერთ დღეში იქნეს თბილისში.

კომისიამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა. კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ ამხ. ზარზარმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

— კომისია თავის მუშაობას დიდის სიფრთხილით აწარმოებდა. გამოკვლევის დროს შეგროვილი მასალები ადასტურებენ, რომ მოსკოვიდან ამიერ-კავკასიის იმ პუნქტებამდე, რომლებიც შეტანილია საფრენ ხაზში, შესაძლებელია ყოველდღიური მიმოფრენა მთელი წლის განმავლობაში. საბოლოოდ მიღებული ვარიანტით მოსკოვიდან გამოსული აეროპლანი როსტოვში ჩამოსვლის შემდეგ სად. ტიხორეცკაიადან გადაუხვევს შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და შემდეგ დაიწყება ამიერ-კავკასიის ხაზი —სოჭა — სოხუმი — ქუთაისი — თბილისი — განჯა და ბაქო. ბაქოში ეს ხაზი შეუერთდება მოსკოვ-სპარსეთის ხაზს, რომელიც ბაქოდან პეხლევამდე გრძელდება.

როსტოვიდან თბილისამდე ახალი საჰაერო ხაზი განსაკუთრებით ლამაზ ადგილებზე გაივლის. ეს გარემოება ამ ხაზს აძლევს მსოფლიო მნიშვნელობას. ამის გამო ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ხაზით მიმოფრენის მოწყობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ამიერ-კავკასიაში.

ახალი ხაზით მიმოფრენა დაიწყება 1929 წლის დასაწყისიდან. ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში იწარმოებს აეროდრომების მოწყობა და დასაშვები პუნქტების გამზადება. მთელი ხაზის მანძილზე მოწყობილი იქნება საუკეთესო აეროდრომები, სადაც შენახული იქნება აეროპლანებისათვის საჭირო ყველა სათადარიგო მასალები.

ამხ. სამოილოვიჩი და სტრაუბე თბილისში ჩამოვლენ 14 ნოემბერს

საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, „კრასინ“-ის და „მალიგინი“-ს ექსპედიციის მონაწილენი ორ ჯგუფად გაემგზავრენ საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში საანგარიშო მოხსენებების გასაკეთებლად.

ერთი ჯგუფი მოგზაურობს ამხ. ჩუხნოვსკის მეთაურობით, მეორე—პროფ. სამოილოვიჩის და ამხ. სტრაუბეს მეთაურობით.

ვინაიდან ამიერ-კავკასია და კერძოთ თბილისი არ იყო შეტანილი მოგზაურობის გეგმაში, ამიტომ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა აღძრა შუამდგომლობა საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის წინაშე, რომ თბილისს სტუმრებოდა ერთ-ერთი ჯგუფი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა მიიღო ცნობა, რომ ამიერ-კავკასიას ესტუმრება პროფესორ სამოილოვიჩის და სტრაუბეს ჯგუფი, რომელიც დღეს ჩამოვა ბაქოში, სადაც დარჩება რამდენიმე დღეს და შემდეგ გამოემგზავრება თბილისში.

შემდგარია „კრასინელები“-ს შეხვედრის მომწყობი კომისია ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით, კომისიაში შედიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პროფსაბჭოს, ამიერ კავკ. და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმების წარმომადგენლები.

გუშინ ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგა ხსენებულ კომისიის სხდომა, რომელზედაც გამომუშავებული იქნა საზეიმო შეხვედრის გეგმა.

კომისიის ცნობით „კრასინელები“ თბილისში მოვლენ 14 ნოემბერს.

სად. ყარაია-ნაზარლოში პროფ. სამოილოვიჩის მატარებელს შეხვდებიან აეროპლანები, რომლებიც მოაცილებენ მატარებელს თბილისამდე.

სადგ. განჯაში პროფ. სამოილოვიჩის შესახვედრად გაიგზავნება კომისიის სამი წევრი.

სადგ. თბილისში საპატიო სტუმრებს შეხვდება კომისიის მთელი შემადგენლობა, პროფკავშირების, მუშათა ორგანიზაციების, სამხედრო ნაწილების და თავდაცვა-ავიაქიმის დელეგაციები.

სახ. ოპერის თეატრში შესდგება თბილისის საბჭოს გაფართოებული სხდომა თავდაცვა-ავიაქიმის და პროფკავშირების აქტივთან ერთად. სხდომაზე მოსმენილ იქნება მისალმებები და შემდეგ ამხ. სტრაუბეს და პროფ. სამოილოვიჩის მოხსენებები ექსპედიციის მუშაობის შესახებ.

ჩამოსვლის მეორე დღეს დილით პროფ. სამოილოვიჩი პლეხანოვის სახელობის კლუბში გააკეთებს მოხსენებას ექსპედიციის მუშაობაზე. ამავე დღეს საღამოთი სახ. ოპერის თეატრში შესდგება პროფ. სამოილოვიჩის და ამხ. სტრაუბეს ფასიანი, საჯარო ლექცია.

თბილისიდან პროფ. სამოილოვიჩის და ამხ. სტრაუბეს ჯგუფი გაემგზავრება ბათომში.

მბეჭდავთა კავშირის მე-7 ყრილობა

8 ნოემბრის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი პოლიგრაფიული ტრესტის მდგომარეობისა და მისი განვითარების შესახებ გაკეთებული მოხსენების ირგვლივ. კამათში გამოსული ორატორები საჭიროდ სცნობენ პოლიგრაფიული სამრეწველო ერთეულების გაერთიანებას და ე. წ. ტიპიური წარმოების მოწყობას. მათ საჭიროდ მიაჩნიათ აგრეთვე, რომ დაარსდეს ჟურნალ-გაზეთების დასაბეჭდი წარმოება ცალკე და ყველა ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა თავმოყრილი იქნეს ასეთ წარმოებაში. შემდეგ ორატორები საჭიროდ სთვლიდენ სტამბების მოწყობილობათა განახლებას და ახალი მოწყობილობის შეძენას. ორატორებს დაუშვებლად მიაჩნიათ თბილისისათვის კიდევ ერთი საროტაციო მანქანის შეძენა, როდესაც არსებული საროტაციო მანქანები დატვირთული არ არიან.

მომხსენებლის—ამხ. ხარაზიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ მორიგი მოხსენებით გამოვიდა ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატთან არსებულ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ლ. ალნიაშვილი**. თავის მოხსენებაში ამხ. ალნიაშვილმა აღნიშნა, თუ რა მდგომარეობაშია ბეჭდვითი სიტყვის საქმე მთელ ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში. მომხსენებელმა მოიყვანა ცნობები სხვადასხვა გამომცემლობათა და საწარმოთა მდგომარეობის შესახებ.

9 ნოემბრის უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები ყველა მოსმენილ მოხსენებათა გარშემო, რის შემდეგაც არჩეულ იქნა კავშირის ახალი ცენტრალური გამგეობა 17 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით. ცენტრალურ გამგეობაში გავიდნენ: ამხ. **ნ. ნიკიტინი, ა. ფანცულაია, ლ. გულუმიანი, ა. მინასბეკოვი, შეპიტინი** (ბათომიდან) **ი. ნაცვლიშვილი, ზარატიადი** (სოხუმიდან), **მ. წულაძე** (ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციიდან), **არჩვაძე, გრიცენკო, თ. აზალაძე, ბერუაშვილი, მ. უთმელიძე, შახნაზაროვი, სპირანდი, მეტრეველი და გრიგორიევი.**

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა 3 წევრი და 2 კანდიდატი. საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაზე დასასწრებათ აირჩიეს 7 დელეგატი, ხოლო საკავშირო პროფკავშირთა ყრილობაზე—6 დელეგატი.

თათბირი ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ

საქართველოს პროფსაბჭო 14 ნოემბრისათვის თბილისში იწვევს რესპუბლიკაურ თათბირს ახალგაზრდათა შორის მუშაობის საკითხებზე.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

პროფორგანიზაციების მორიგი ამოცანები წარმოების სამეურნეო ცხოვრებისა და თვითკრიტიკის დარგში (მომხს. ამხ. მაჩაიძე).

მუშაობა ახალგაზრდათა შორის საქართველოს პროფესიონალურ ორგანიზაციებში (მომხს. ამხ. დავიდოვი).

პროფტექნიკური განათლების მდგომარეობა და მისი მომავალი პერსპექტივები ქვეყნის სამეურნეო განვითარების ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით (მომხს. ამხ. ცხაკაია და ელბაქიანი).

ახალგაზრდათა სექციების მუშაობის შესახებ (მომხს. ამხ. მხითაროვი).

თათბირზე გამოწვეულია 20 კაცი მაზრებიდან და 12 თბილისის წარმოებებიდან.

საქ. სახსკომსაბჭოში

ოზურგეთის მაზრის სას.-სამ. მშენებლობისათვის გადადებული 200.000 მ. გამოყენების შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა სთხოვოს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის განკარგულება ამიერ-კავკ. სას.-სამ. ბანკისადმი, რათა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით გაღებულ იქნეს 200.000 მან., რაც გრძელვადიანი სესხის სახით ოზურგეთის მაზრის სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის არის გადადებული.

ხსენებულ 200.000 მანეთიდან 100 ათასი მანეთი გადადებულია ოზურგეთის მაზრაში საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობათ. ეს თანხა გაცემული იქნება ამ მეურნეობათა საწარმოო გეგმის წარმოდგენის შემდეგ, რომლის შემუშავება დავალებული აქვს კომისიას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, სასოფლო სამეურნეო ბანკის, ოზურგეთის აღმასკომის, და „საქართველოს ჩაი“-ს წარმომადგენლების შემადგენლობით.

დანარჩენი 100.000 მანეთი მიეცემა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს გრძელვადიანი კრედიტის სახით შემდეგი საჭიროებისათვის: 10.700 მან. ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობასთან სანიმუშო გამქირავებელი პუნქტის მოსაწყობათ, რომლის ხელმძღვანელობა გარდა საკრედიტო ამხანაგობისა დაეკისრა ადგილობრივ აგროდახმარებას; 15.300 მან. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაძენად; 30.000 მან. მუშა-საქონლის შესაძენად; 19000 მანეთი სუბტროპიკულ მცენარეების პლანტაციების გასაშენებლად: მანდარინის კულტურის გასაშენებლად—13.000 მანეთი, ბამბუკის კულტურისათვის—6.000 მან. (თითო ჰექტარი მანდარინის გასაშენებლად გაცემული იქნება 700 მან. და ბამბუკის 430 მან.). ამ კულტურებისათვის კრედიტების გაღების დროს უპირატესობა მიეცემა კოლექტიურ მეურნეობას; 100.000 მან. ოზურგეთის სასოფლო-სამეურნეო საკულტურო ამხ-თან, ჯიშიან ღორების სამეშენეოს მოსაწყობათ; 5.000 მანეთი მეფუტკრეთა მიერ ინვენტარის შესაძენად. სესხი გაცემული იქნება ინვენტარის ღირებულების 70 პროცენტის რაოდენობით. ხელმძღვანელობა ინვენტარის მიზანშეწონილად გამოყენებისათვის დაეკისრა ადგილობრივ ორგანიზაციას; 10.000 მან., რომელიც ნავარაუდევია ჩაის პლანტაციებისათვის. გამოყენებულ იქნება იმ მიზნისათვის, რომლის გამორკვევა დაევალა მიწსახკომს, სასოფლო-სამ. ბანკს და ოზურგეთის აღმასკომს სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

სესხების გაცემა, მათი ვადების და პროცენტების რაოდენობის განსაზღვრა იწარმოებს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით არსებულ წესების მიხედვით.

მასთან სხდომამ დაადგინა წინადადება მიეცეს ოზურგეთის მაზრის აღმასკომს კრედიტების მიღების ორი თვის შემდეგ წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს მოხსენება კრედიტების გამოყენების შესახებ.

სამხედრო წვევამდე მზადება

მიმდინარე სამსწავლო წელში ტეხნიკუმების, საბჭოთა პარტსკოლების და მუშფაკების მსმენელები სამხედრო წვევამდე მზადებას გაივლიან თავთავიანთ სასწავლებლებში და არ იქნებიან გაწვეულნი საერთო წვევამდე მზადებაზე.

ტეხნიკუმების, საბჭოთა პარტსკოლების და მუშფაკების ორი უკანასკნელ კურსის სტუდენტები მიმდინარე წლიდან ვალდებულნი არიან გაიარონ სამხედრო - წვევამდე მზადება. მათი წვევამდე მზადება გასტანს ორ წელიწადს. მზადებას პირველ წელს დათმობილი აქვს 80 საათი, მეორე წელს—40 საათი.

მოსწავლეთა სამხედრო მზადების მიზანია—ნამდვილი, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის გაადვილება. მოსწავლეთაგან სამხედრო საქმის პროპაგანდისტთა მომზადება და უმაღლეს წვევამდე მზადების გაადვილება მათთვის. ვინც შემდეგ შევა უმაღლეს სასწავლებელში.

წვევამდე მზადების პროგრამაში შეტანილია ახალი განყოფილება—საბჭოთა კავშირის მზადება თავდაცვისათვის.

სამოქალაქო სასწავლებლებთან მოეწყობა სამხედრო კაბინეტი, რომლებიც უზრუნველყოფილ იქნებიან ყოველი საჭირო ხელსაწყოებით.

მოსწავლეთა სამხედრო მზადებას მიეცემა სათანადო განხრა სკოლის ხასიათის მიხედვით, როგორიც არის საარტილერიო, სამხედრო-სანიტარული, პროპაგანდისტული, საინჟინერო და სხვა.

სამხედრო საქმის მასწავლებლებათ მოწვეულნი არიან სპეციალისტები წითელი ჯარის საკადრო ნაწილებიდან.

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

ბაქო-ბათომის ნავთსადენის გაყვანა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. მილების ერთმანეთზე შედუღება ბათომ-ხაშურს შუა უკვე დამთავრებულია 98 პროცენტით.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მტკიცედ არის შედუღებული ერთმანეთთან მილები, ჩატარდა სპეციალური გამოცდა, რომელმაც დადებითი შედეგები გამოიღო.

ეხლა დაწყებულია შედუღებულ მილების გაფისვა, შეღებვა და მათი ჩაშვება მიწაში.

ამ მუშაობის ჩატარების შემდეგ მოხდება ნავთსადენის მთელი ხაზის გამოცდა (ხაშურიდან ბათომამდე). ნავთსადენის მშენებლები იმედოვნებენ, რომ ეს გამოცდა ჩქარის ტემპით ჩატარდება.

ფიქრობენ, რომ ნავთის გადაქაჩვა დაიწყება თვენახევარში.

მანგლისის კეთილმოწყობა

თბილისის აღმასკომში შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა მანგლისის კეთილმოწყობის და მისი სააგარაკო საზღვრების გამორკვევის საკითხი.

ამჟამად მანგლისის სააგარაკო საზღვრები არ არის გამორკვეული, რის გამო გლეხები ესახლებიან საგარაკო ადგილებში და აწყობენ მეურნეობას. ასეთი მდგომარეობა საფრთხეს უქადის მანგლისის მომავალს. გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, თათბირმა, დაადგინა: ვინაიდან მანგლისი თავის კლიმატიური თვისებებით და მდებარეობით ახლო ხანში გადაიქცევა საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის კურორტად, აკრძალული იქნეს ზომები ფიჭვის ტყეებში და აგარაკების ლობლად დასახლება.

თათბირმა აგრეთვე დაადგინა მიღებულ იქნეს ზომები ფიჭვის ტყეებში და აგარაკების გვერდით მოსახლე გლეხების მოწყობით ახალ მიწებზე.

რაც შეეხება სახნავ მიწებს, რომლებიც შეჭრილია საგარაკო ტყეებში, ეს მიწები დარჩება გლეხების განკარგულებაში, მანამდე, ვიდრე ეს ადგილები გამოყენებული იქნებოდეს აგარაკის საჭიროებისათვის.

თათბირს საჭიროდ მიაჩნია დაჩქარებული იქნეს მანგლისის საგარაკო საზღვრების გამორკვევა, რაც ხელს შეუწყობს მის კეთილმოწყობის საქმეს.

თათბირმა აგრეთვე დაადგინა მიღებული იქნეს ზომები იმ წიწვიანი ტყეების დასაცავად, რომლებიც მოყოლილია გლეხებისათვის გადაცემულ მიწების ფარგლებში. თათბირის დადგენილებით ამ ტყეებში ხეების მოჭრა შეიძლება მხოლოდ საკურორტო ქვე-განყოფილების ნებართვით.

ამავე განყოფილების ნებართვის გარეშე აკრძალულია აგარაკის შიგნით და მის მახლობლად ახალი შენობების აგება.

თათბირს საჭიროდ მიაჩნია მანგლისზე გავრცელებული იქნეს დანარჩენ საკურორტო ადგილებისათვის გამოცემული და გამოსაცემი სავალდებულო დადგენილებები.

დასასრულ თათბირმა დაავალა საკურორტო ქვე-განყოფილებას შეიმუშაოს მანგლისის კეთილმოწყობის გეგმა.

სამრეწველო საქონლის შემოტანა ამიერ-კავკასიაში

ამ.-კავკ. საგეგმო კომისიამ მიიღო ამიერ-კავკასიაში სამრეწველო და სასურსათო საქონლის შემოტანის საორიენტაციო გეგმა 1928—29 წლისათვის. გეგმის მიხედვით სულ შემოტანილი უნდა იქნეს 352.824.800 მანეთის საქონელი. ცალკე საქონლიდან განზრახულია შემოზიდული იქნეს: მანუფაქტურა:—96.389.500 მანეთის, კალოშები — 3.804.000 მან., ტყავეულობა — 3.300.000 მან., ფეხსაცმლები — 9.950.000 მან., სილიკატები — 5.355.000 მან., ასანთი— 2.260.000 მან., სას.-სამეურნეო მანქანები — 8 310.000 მან., შაქარი—35.755.000 მან. და მარილი—1.775.000 მანეთის.

1927—28 წელთან შედარებით სამრეწველო და სასურსათო საქონლის შემოტანის ზრდა გამოიხატება 169 პროცენტში.

შარდსაწვეთების გადანერგვა სწორ ნაწლავში

პროფ. გ. მუხაძის მოხსენება

ამიერ-კავკასიის საექიმო საზოგადოების უკანასკნელ სხდომაზე პროფ. **მუხაძემ** გააკეთა მოხსენება შარდსაწვეთების გადანერგვის შესახებ სწორ ნაწლავში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შარდსაწვეთების გადანერგვა საჭირო ხდება უმთავრესად მშობიარობით გამოწვეული გართულებების დროს. ეს გართულება გამოიხატება იმაში, რომ ქალს მძიმე მშობიარობის დროს. მეტადრე მაშინ, როდესაც იგი სამეანო (საბებიო) დახმარებას მოკლებულია, დაერთვის საშოს და შარდბუშტის დაზიანება, რომელიც თავდება შარდბუშტის კედლის გახევით. ასეთ ავადმყოფს შარდის შეკავება არ შეუძლია და შარდი უნებურად და მუდმივად გამოდის დაზიანებული ადგილიდან.

ჩვენში ამგვარი გართულება არაა იშვიათი (მომხსენებლისათვის ამ 18 წლის განმავლობაში მიუმართავს 50 ასეთ ავადმყოფს). ეს გარემოება აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ მოსახლეობა წარსულში ხშირად გაურბოდა საექიმო დახმარებას და მეორე იმით, რომ ეს დახმარება ჩვენი ქვეყნის ტოპოგრაფიული და კლიმატიური პირობების გამო (მთიანი ადგილები, უგზოობა და სხვა) მიუწვდომელი იყო.

გარდა ამისა აღნიშნული ოპერაცია კეთდება შარდბუშტის თანდაყოლილ სიმახინჯის (ექტოპიის) დროს, როდესაც შარდბუშტის წინაკედელი ღიაა და შარდი გამუდმებით სდის. ამჟამად ამ ოპერაციას მივმართავთ შარდბუშტის და აგრეთვე საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეების (კიბოს) დროს.

ამ ოპერაციის ტექნიკურ დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთის დასტაქრებმა (ტიხოვმა, გრამატიკატიმ და სხვ.).

ოპერაცია მდგომარეობს იმაში, რომ შარდსაწვეთები ბუშტში შესვლის ადგილას იკვეთება და ინერგება სწორ ნაწლავში და ამგვარად თირკმელებიდან გამოყოფილი შარდი ჩადის ნაწლავში და იქ გროვდება განავალთან ერთად. ასეთ მოვლენას ნორმალურად ადგილი აქვს ზოგიერთ ცხოველებში და ფრინველებში.

ამ ოპერაციის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ნაწლავიდან ადვილად შეიჭრებიან ბაქტერიები გადანერგილი შარდსაწვეთში და აქედან თირკმელებში და უკანასკნელის დაავადებას იწვევენ, თუმცა ასეთ გართულებას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც ავადმყოფი შარდს ვერ იკავებს. იდეალურ ოპერაციად უნდა ჩაითვალოს ნაწლავიდან ხელოვნური ახალი შარდბუშტის შექმნა ამ ოპერაციის ტექნიკა ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა დამუშავებული. იგი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე შარდსაწვეთების გადანერგვა ნაწლავში.

რუსეთში შარდსაწვეთების გადანერგვა გაკეთებულია სულ 400-დე. ოპერაციის შემდეგ სიკვდილიანობის პროცენტი უდრის 30—50 დე.

ჩვენში ეს ოპერაცია 15-ჯერ გაუკეთებია მომხსენებელს. აქედან 9 ავადმყოფი განკურნებულა და ჩვეულებრივ ცხოვრებას და მუშაობას დაბრუნებია.

დასკვნაში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ ოპერაციას უკიდურეს შემთხვევაში უნდა მივმართოთ, ე. ი. მაშინ, როდესაც ნაცადი იყო სხვა ყველა უფრო მარტივი ოპერაციები, როგორიც მაგ. შარდბუშტის დაზიანებული კედლის (ფისტულის) გაკერვა და დადებითი შედეგი არ ყოფილა მიღებული.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 50 ავადმყოფიდან აღნიშნული ოპერაცია გაუკეთდა მხოლოდ 15-ს, ხოლო დანარჩენებს ან მარტივი წესით დაეხურათ შარდბუშტის ფისტულა ან ავადმყოფები არც ერთ ოპერაციაზე არ დათანხმდნენ.

მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ექ. **ვეხელოვზოროვმა**, რომელმაც კრებას გააცნო ექ. გრ. **ნერსესოვის** მიერ გაკეთებული 3 ასეთი ოპერაცია, ექ. **გოგოლოვმა**, ექ. **ერისთავმა**, **პონდოევმა** და სხვა.

მისალმება ტომსკის უნივერსიტეტს

პროფ. **მუხაძის** წინადადებით სხდომამ გადასწყვიტა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს ტომსკის უნივერსიტეტს მისი 40 წლის თავის შესრულების გამო. ამ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა პროფ. ტიხოვი, რომელმაც დიდი დამსახურება მიუძღვის ხსენებული ოპერაციის ტექნიკის დამუშავებაში.

შემდეგ მოსმენილი იქნა ექ. **ხვოროსტუმოვის** მოხსენება: „კოლოიდების ფერმენტაციული მოქმედება ბაქტერიებზე“.

წითელი ჯვრის სამდღიური

მშრომელი ქალი და ქვეყნის თავდაცვა

სამხედრო-სანიტარო მუშაობა მომავალ ომში, თავის ფორმების მრავამხრივობით და ასპარეზის სიფართოვით, მოითხოვს განსაკუთრებულ მომზადებას, როგორც საომარ ასპარეზის უახლოეს ზურგის, ისე ღრმა ზურგის მოვლა-პატრონობისათვის. ქიმიურ დაცვის დროს მეტად დიდი შრომაა საჭირო მშვიდობიან მოსახლეობის დასაცავად და მისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენა როგორც ჩვენი, ისე მოპირდაპირის ლტოლვილებისათვის, მოითხოვს შესაფერისად მომზადებულ კადრებს. წითელ ჯვარს განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრება ამ კადრების მომზადების დარგში. ეს კადრები კი პირველ ყოვლისა მშრომელ ქალების რიგებიდან უნდა შეიქმნან

წითელი ჯვრის საზოგადოების დღევანდელი მთავარი მიზანია მოსახლეობის სამხედრო სასანიტარო ცოდნით აღჭურვა, ანუ მისი გასამხედროება. ის ინტერესი, რომელსაც მშრომელი ქალები იჩენენ გასამხედროების საქმისადმი, წითელი ჯვრის ორგანიზაციების მიერ სათანადოთ გათვალისწინებული და გამოყენებული უნდა იქნეს. პირველი დახმარების წრეების მთავარი მასა უნდა შესდგებოდეს მშრომელ ქალებისაგან ქალაქათ და სოფლად. ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში. წითელ ჯვრის ორგანიზაციებს მუშა, გლეხ ქალთა მოზიდვის საქმეში სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ ქალთა განყოფილებებმა და კომკავშირმა.

მაგრამ ქალის მუშაობა მხოლოდ სანიტარულ დარგში მონაწილეობით არ განისაზღვრება. ჩვენ ვიცით, რომ მებრძოლ ჯარს მრავალი სხვადასხვა მოთხოვნილება აქვს. ომის დროს არის ისეთი სამხედრო-სამეურნეო ხასიათის თანამდებობანი, რომლებსაც წარსულ იმპერიალისტურ ომში ბრძოლის ასპარეზისათვის ვარგისი მამაკაცნი ასრულებდნენ. ამ თანამდებობებზე სავსებით შეიძლება გამოვიყენოთ ქალის შრომა. შესაფერ მომზადების შემდეგ ქალს თავისუფლად შეეძლება სხვადასხვა კვალიფიკაციის გამგეების, მათი თანაშემწეების, მეკუჭნავეების და სხვა თანამდებობების შესრულება, ჰოსპიტალებში, ლაზარეთებში, საკუჭნაოებში, თეთრეულის საწყობებში, სამზარეულოებში და ბოლოს სამხედრო-სამეურნეო საქმის ანგარიშ-წარმოებაში.

მომავალი ომის დროს დიდი მუშაობა იქნება შესასრულებელი ლტოლვილთა და ლტოლვილ ბავშვთა უზრუნველსაყოფად. ლტოლვილობას მეტად ფართო ხასიათი შეიძლება ექნეს. მათზე მზრუნველობის საქმე საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოვალეობას შეადგენს და მოითხოვს ლტოლვილთა თავშესაფარებზე და სხვ. შეფობას, არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება შეფობას სამხედრო ტყვეებზე და სამხედრო დროის ემიგრანტებზე. რამდენად უკეთესი იქნება ჩვენი მზრუნველობა მტრულად განწყობილ სახელმწიფოს ტყვეებზე, შედარებით ჩვენი მებრძოლთა მდგომარეობასთან უცხოელთა ტყვეობაში, იმდენად დიდი იქნება პროპაგანდა ჩვენს სასარგებლოდ. ეს საქმეც წითელი ჯვრის მოვალეობა არის და ამ საქმეში ფართო დახმარება უნდა აღმოუჩინონ მას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებებმა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა ზემოხსენებულ ორგანიზაციებმა წითელ ჯვართან შეთანხმებით უნდა გამონახონ სახსრები და საშუალებანი ქალთა ფართო მასების შეფობის საქმეში ჩასაბმელად.

ვ. ფ.

გუშინ, 9 ნოემბერს, დაიწყო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამდღიური.

წითელი ჯვრის მიზნების პოპულარიზაციის მიზნით ქალაქის ცალკე რაიონებზე მიმაგრებული არიან სპეციალური ლექტორები მოხსენებების ჩასატარებლად. ამასთანავე მუშათა კლუბებში ტარდება ციკლი ლექციებისა სოციალურ სენების და მათთან ბრძოლის მეთოდების შესახებ. ამ ლექციებზე გამოყენებული იქნება კინო-ლენტები და დიაპოზიტივები. დაიდგმება აგრეთვე სანიტარული ხასიათის პიესები.

სამდღიურის ჩასატარებლად გამოყენებულია რადიო.

გუშინ მთელს ქალაქში დაიწყო ყულაბებით ფულის შეგროვება.

საჯევახოს რკ. გზ. ხიდის გახსნა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ოთხშაბათს, 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავზე მოხდა ახლად აგებული საჯევახოს რკინის გზის ხიდის საზეიმო გახსნა.

ხიდის გახსნაზე თბილისიდან გაემგზავრენ: გზათა სახ. კომისარიატის ამ.-კავკ. რწმუნებულის მოადგილე **ა. მ. ხაჩიევი**, ა.-კ. რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **გ. დ. ქავთარაძე**, ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშრის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ნ. უსტიაშვილი**, ა.-კ. რკ. გზების გამგეობის წევრები **ა. ლევაშოვი, გ. ასლანოვი**, გზის ცალკე განყოფილებათა უფროსები და საქართველოს ლითონის მრეწველობის ტრესტის დელეგაცია.

სამტრედიაში

სამტრედიაში თბილისელ სტუმრებს შეხვდენ ადგილობრივი ხელისუფლების პროფ. ორგანიზაციების წარმომადგენლები და ხიდის მშენებლები.

თბილისიდან ჩასულმა ამხანაგებმა მონაწილეობა მიიღეს ოქტომბრის რევოლიუციის — თერთმეტი წლის თავზე გამართულ მიტინგზე, რომლის დამთავრების შემდეგ მთელი მიტინგი სპეციალური მატარებლით გაემგზავრა ხიდზე.

ნაშუადღევის 1-2 საათისათვის ახლად აგებულ ხიდთან თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა. დროშებით და სამხედრო ორკესტრით. ზეიმზე დასასწრებლად მახლობელ სოფლებიდან ჩამოვიდა დიდძალი გლეხობა.

ხიდის გამოცდა

მიტინგის გახსნამდე მოხდა ხიდის დინამიური გამოცდა. გამოცდას ხელმძღვანელობდა ინჟ. **ლორენცი**.

გამოცდისათვის გამოყოფილი იყო სპეციალური მატარებელი ოთხი მძლავრი ორთქლმავლისა და ოცამდე ვაგონის შემადგენლობით.

ხიდის სტატიკური გამოცდა ჯერ კიდევ საამშენებლო სამუშაოების დამთავრებისას იყო ჩატარებული და მან ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. დინამიურ გამოცდის მიზანი მდგომარეობდა იმის გამორკვევაში, თუ რამდენად მჭიდროდ არის აგებული ხიდი თანამედროვე მძიმე მატარებლების გასატარებლად. გამოცდისათვის ყველაფერი მზად არის საგამოცდო ხელსაწყოები დადგმულია თავის ადგილზე, ტეხნიკოსები ფხიზლად ადევნებენ მათ თვალს და ელიან თუ როდის დაიძვრება მატარებელი.

გაისმა ორთქლმავლის საყვირის ხმა და მატარებელი შევიდა ხიდზე. მატარებელი ნელა მიიზლაზნება. მისი სისწრაფე მხოლოდ ხუთ კილომეტრს უდრის საათში. მეორედ გავლის დროს სისწრაფე გადიდებულ იქნა 25 კილომეტრამდე. მესამეთ მატარებელი 50 კილომეტრის სისწრაფეს ანვითარებს საათში. ხიდის გამოცდა დამთავრდა. სპეციალისტების სიტყვით, ხიდის გამოცდამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო.

მიტინგები

ხიდის გამოცდის დამთავრებასთანავე გაიმართა მიტინგი. სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **ხაჩიევი** (ამიერ-კავკ. მთავრობის სახელით), ამხ. **ქავთარაძე**, ინჟ. **გნედოვსკი** (ხიდის მშენებელი), რკინისგზელთა პროფკავშირის სამტრედიის საუბნო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. **ჩიჩუა**, ამხ. **უსტიაშვილი** (საგზაო კომიტეტის სახელით), ამხ. **კოქლამაზაშვილი** და მელითონე-მუშა ამხ. **პოლიზოვი**.

ხიდის გახსნის გამო ხიდის მშენებლებმა მიიღეს ამხ. **შ. ელიავას** მისასალმებელი დეპეშა.

დეპეშა ამხ. რუძუტაკს

ამხ. ხაჩიევის ხელის მოწერით საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და გზათა სახ. კომისარს ამხ. **ი. ე. რუძუტაკს** ხიდის გახსნის გამო გაეგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მუშებისა და გლეხების ხელისუფლების 11 წლის არსებობის დღეს გაიხსნა ახალი რკინისგზის ხიდი მდ. რიონზე“.

ასეთივე დეპეშები გაეგზავნა: ამხ. **შ. ელიავას, ლ. ქართველიშვილს** და მოსკოვში ამ.-კავ. რკინისგზების გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. **ვ. პოზდეევს**.

* * *

საჯევახოს ძველი რკინისგზის ხიდი, რომელიც აშენებულია თითქმის ერთი საუკუნის წინ, დაძველების გამო გამოუსადეგარი აღმოჩნდა მატარებლების რაოდენობისა და სიმძიმის გადიდების გამო.

ახალი ხიდის აგება დაიწყო 1926 წლის აპრილში.

ხიდის ფერმები აწყობილი და დადგმულია საქართველოს ლითონის ტრესტის ძალებით.

ხიდის შენებაზე მუშაობდა 200—500 მუშა. საამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ინჟ. **გნედოვსკი**. საქ. ს. მ. უ.-ს ბითონ-ტრესტის ინჟ. **გრიბანოვი**

საჯევახოს ძველი რკინისგზის ხიდი გადაეცა საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს.

ა. კ—ძე.

აგურის ქარხნის მექანიზაცია

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ღრმა-ღელეში აგურის ქარხნების მექანიზაციის გეგმა. მექანიზაციის შემდეგ ღრმა-ღელეში არსებული ქარხნები წლიურად დაამზადებენ საუკეთესო ღირსების 10.000 ცალ აგურს.

საგურე მიწის მოთხრა და მოზიდვა იწარმოებს მექანიკურად. ქარხნები იმუშავებენ ტყიბულის ქვა-ნახშირით.

საგეგმო კომისიამ დაადგინა აგურის ქარხნების მექანიზაციასთან დაკავშირებით, მოსკოვში გაიგზავნოს 6 მუშა იქაურ მექანიკურ ქარხნების მუშაობასთან გასაცნობათ

გარდა ამისა, ღრმა-ღელეს აგურის ქარხნების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ მოსკოვიდან მოწვეული იქნება ერთი სპეციალისტი.

გლეხთა ცენტრალურ სახლში

საქართველოს გლეხთა ცენტრალურ სახლში გასულ თვეში ჩამოსულ გლეხთა რაოდენობა უდრიდა სულ 1.279 სულს. ამავე ხნის განმავლობაში ჩამოსულ გლეხებს უფასო სადილები მიეცათ 416-ჯერ, საექიმო დახმარება აღმოეჩინათ 134 კაცს, იურიდიული რჩევა-დარიგება მიეცა 62, ფულადი დახმარება აღმოეჩინა 18 გლეხს, სახლში უფასოთ ღამე გაათია 979 გლეხმა, სახლთან მოწყობილ აბანოთი უფასოთ ისარგებლა ყველა ჩამოსულმა გლეხმა. გლეხებისათვის უფასოთ მოწყობილი იქნა 21 საუბარი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, კინო-სურათის ჩვენება მოეწყო 13-ჯერ. გარდა ამისა ჩამოსულ გლეხებისაგან 2-ჯერ მოეწყო ექსკურსია მათთვის საინტერესო წარმოება-დაწესებულებების დასათვალიერებლად.

სასამართლო

მიწის გარშემო

საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულომ ამხ. შომახიას თავმჯდომარეობით გაარჩია სოფელ ტადარისის (ახალციხის მაზრა) მცხოვრებ **გრიგოლ და ნიკოლოზ ივანესძე კამსაძეების** საკასაციო საჩივარი ახალციხის მაზრის სასამართლოს განაჩენზე.

საქმის შინაარსი ასეთია: კამსაძეები ერთ ნაკვეთ მიწაზე ედავებოდნენ სოფელ ტადარისის მცხოვრებს ქვრივ **სოფიო სპიტარს**, რომელთანაც ხშირად ჰქონდათ უკმაყოფილება ამ ნიადაგზე.

უკანასკნელად სადაო მიწაზე სიმინდი დათესა ქვრივმა სოფიო სპიტარმა. სიმინდი უკვე ამოვიდა. ჯეჯილმა შემოსა სადავო მიწა.

მაისის წვიმიანი დღე იყო, სოფიოს ძმები **სერგო და გიორგი ბახტაძეები** თავის საძოვრისაკენ მიდიოდნენ. მიუახლოვდნენ სიმინდით დათესილ ყანას და ნახეს ასეთი სურათი: მათი დის ყანას შესეოდნენ კამსაძეები, რომლებიც ხელახლა ხნავდნენ ჯეჯილს და სთესავდნენ სიმინდს. მუშაობდნენ „დაკაპიწებულნი“: ალექსი კამსაძე, მისი ცოლი თებრონე, ძმა რაჟდენი და სხვები.

სერგო ბახტაძე ააღელვა კამსაძეების ასეთმა თვითნებურმა საქციელმა და მრისხანე კილოთი საყვედური უთხრა ალექსი კამსაძეს: „არა გრცხვენიათ! რას სჩადიხართ! რად ანადგურებთ ქვრივ-ობლების ნაშრომსო“.

— მიწა ჩვენია და ჩვენ უნდა მოვხნათ,— უპასუხებს კამსაძის ცოლი თებრონე.

გალანძღეს ერთმანეთი ბახტაძეებმა და კამსაძეებმა.

ბახტაძეებმა, როცა შეატყვეს რომ მდგომარეობა რთულდებოდა და რიცხვით სჭარბობდნენ კამსაძეები, ამჯობინეს მათი დატოვება და ხელისუფლებისათვის შეტყობინება.

გაიარეს თუ არა რამოდენიმე მანძილი. მათ თავს დაესხნენ ალექსის ძმები გრიგოლ და **ნიკოლოზ კამსაძეები**, რომლებიც თოხებით იყვნენ „შეიარაღებულნი“. გრიგოლ კამსაძემ სერგო ბახტაძეს ისე მაგრად სთხლიშა თოხი თავში, რომ უკანასკნელმა სისხლში გასვრილი უგრძნობლად დაეცა მიწაზე. წაქცეულ ბახტაძეს დაუწყო თოხით ცემა მეორე ძმამ ნიკოლოზ კამსაძემ.

მძიმედ დაშავებული ბახტაძე კამსაძეებმა მიატოვეს და გაიქცნენ.

ბახტაძე სიკვდილს გადარჩა, მაგრამ მან სამუდამოდ დაჰკარგა შრომის უნარი.

ახალციხის მაზრის სასამართლომ გრიგოლ კამსაძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, ხოლო მის ძმას ნიკოლოზ კამსაძეს —1 წლით.

უზენაესმა სასამართლომ უშედეგოდ დასტოვა კამსაძეების საჩივარი და დაამტკიცა ახალციხის მაზრის სასამართლოს განაჩენი.

უარს ამბობს ამნისტიაზე

თელავის უბნის სახალხო სასამართლომ ამა წლის მაისში მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის გაასამართლა ადგილობრივი მცხოვრებლები ბაბე დანელოვი და გიგლა წიქარაძე.

გასულ წელს მოქ. ბაბე დანელოვმა წიქარაძეს მიჰყიდა ვითომ მარტო ერთი ფიცრული სახლი, მაგრამ ნამდვილად კი ზედ მიაყოლა სახნავ-სათესი მიწა და საეზოვე.

პირობების თანახმად დანელოვს წიქარაძისაგან უნდა მიეღო 800 მანეთი. მიიღო ბეთ 200 მანეთი და უცდიდა დანარჩენის მიღებას, მაგრამ აღარ დასცალდა.

ხელისუფლებამ გაიგო ეს ამბავი და პასუხისგებაში მისცა ორივე, როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი.

ორივეს მიესაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა, გაყიდული მიწა გადაირიცხა სახაზინო ფონდში, ხოლო დანელოვს დაევალა ბეთ აღებული 200 მანეთის გადახდა ადგილობრივ თემაღმასკომის სასარგებლოდ.

მსჯავრდადებულთ შეეფარდა გასული წლის ამნისტია და პატიმრობისაგან განთავისუფლებულ იქნენ.

მათ ეს განაჩენი გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში, რომელიც ამნისტიის შეფარდების შემდეგ ზედმეტად სცნო საქმის განხილვა და საქმე ისევ უკან დაუბრუნდა თელავის უბნის სასამართლოს.

დანელოვმა უარი სთქვა ამნისტიაზე და ხელახლა საჩივარი აღძრა უზენაეს სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის შესახებ.

უზენაესი სასამართლო ამ დღეებში განიხილავს საქმეს.

ზერ.

ქრონიკა

უცხოეთის კონსულების მილოცვა

ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავის გამო 7 ნოემბერს თბილისის კონსულთა კორპუსის წარმომადგენლებმა იახლეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობასთან ამხ. **კარკლინი** და სთხოვეს მას გადასცეს მათი მილოცვა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის და საქართველოს მთავრობებს. (ადს).

პურის ქარხნის გახსნა ბაქოში

ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე 7 ნოემბერს, ბაქოში გაიხსნა პურის ქარხანა, რომელიც პირველია ამიერ-კავკასიაში.

ქარხნის გახსნის გამო ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **მიხა ცხაკაიამ** ბაქოს ცენტრალურ მუშათა კოოპერატივს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

— ვწუხვარ, რომ პირადათ არ შემიძლია დავესწრო ამიერ-კავკასიის პირველ პურის ქარხნის გახსნას ბაქოში. ვულოცავ ბაქოს პროლეტარიატს ამ ახალ გამარჯვებას სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე.

იაპონელი ჩაის მრეწველების გამგზავრება

საქართველოში ჩამოსული იაპონიის პარლამენტის წევრი და იაპონიის ჩაის მრეწველთა ცენტრალური ასოციაციის თავმჯდომარე **ბ. მაცუურა** და იმავე ასოციაციის მდივანი **ა. საიგო.** გაემგზავრნენ ოდესაში, სადაც ისინი გაეცნობიან „ცენტროსოიუზის" ჩაის საწონ ფაბრიკის მუშაობას.

იაპონელი სტუმრები გაეცნენ საზ-ბა „საქართველოს ჩაის" პლანტაციების მდგომარეობას ჩაქვში და სალიბაურში. გამგზავრების წინ მათ გადასცეს საზ-ბა „საქართველოს ჩაის" წარმომადგენელს ამხ. **სუგავს,** რომ მათი სურვილია დამყარებული იქნეს მჭიდრო ურთიერთობა საზ-ბა „საქართველოს ჩაის"-ა და იაპონიის ჩაის ასოციაციას შორის.

ფოთის საცივარის ამუშავება

მიუხედავათ იმისა, რომ ფოთის საცივარისათვის გამოწერილ მანქანების მიღებას დააგვიანდა ორი თვით, საცივარის მუშების, ტეხნიკურ და ადმინისტრატიულ მუშაკების ენერგიული მუშაობის წყალობით 7 ნოემბერს შესაძლებელი გახდა საცივარის ნაწილობრივი ამუშავება. პირველი საექსპორტო ტვირთის მიღება დაიწყება 20 ნოემბერს. საცივარი იმუშავებს აბჰესის ენერგიით.

ცემენტი

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს გამოკვლევით, მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში მოთხოვნილება ცემენტზე მთელ საქართველოში განისაზღვრება 429.000 კასრით. ცემენტის შემოზიდვა საქართველოში დაევალა „გრუზგოსტორგ"-ს.

ფართალი სამკერვალო მრეწველობისთვის

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ საქართველოს სამკერვალო მრეწველობისთვის გამოყო 184.400 მანეთის ბამბეული ფართალი, 231.000 მანეთის შალის ქსოვილები და 64.400 მან. სელის ფართალი. ფართალი სამკერვალო მრეწველობას ეძლევა ტანსაცმელის დასამზადებლად, ხოლო შეკერილი ტანისამოსი სარეალიზაციოთ გადაეცემა სამომხმარებლო კოოპერაციას.

ურწმუნოთა კავშირში

დღეს, საღამოს 7 ს. ს. ს. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარმმართველობის შენობაში შესდგება ურწმუნოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება შემდეგი საკითხები 1) სკოლებში ანტირელიგიური მუშაობის შესახებ, 2) პროპაგანდისტთა კადრის მომზადება, 3) სრ. საქარ. ურწმუნოთა კავშირის ყრილობის მოწვევის შესახებ და 4) წესდების განხილვა.

თბილისის აღმასკომში

— **ორთაჭალაში მოწყობილი** საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა გადატანილი იქნება დუშეთში. ორთაჭალაში კი მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

— **ტრამვაის ახალი ტარიფი.** ტრამვაის დირექცია ამეამად ამუშავებს ტრამვაის ახალ ტარიფს.

სხვადასხვა

— **ყოფ. წითელ-არმიელთა** და პარტიზანთათვის სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის სესხად დასარიგებლად სას.-სამ. ბანკმა გადასდო 4.300 მან.

ხელოვნების ქრონიკა

საღამო ხელოვანთა სასახლეში

ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავის აღსანიშნავად, დღეს, საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში შესდგება სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საზეიმო სხდომა, რომელზედაც ამხ. **შ. დუდუჩავა** წაიკითხავს მოხსენებას: „ხელოვნება ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე". მოხსენების შემდეგ პოეტები და მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს.

მოზარდ - მაყურებელთა თეატრი

მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სეზონი გაიხსნება კვირას, 11 ნოემბერს. სახელმწიფო ოპერის თეატრში დღის 1-ლ საათზე 1-ლ აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება საცაის პიესა: „ფრიც ბაუერი". თარგმანი კ კალაძის. დადგმა რეჟისორ **ალ. თაყაიშვილის,** დეკორაციები — **გ. გოცირიძის.**

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება მე-8 აბონემენტის პირველი წარმოდგენა—„პიკის ქალი".

— **„ანზორი".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ანზორ".

შემთხვევები

დაჭრა

— 8 ნოემბერს ოგანეზ სააკისძე ნავასარდოვმა დანით დასჭრა საშა გაბოს ასული ბაბიზოვა (მცხ. შიოაქის შესახვ. № 18). ნავასარდოვი დაპატიმრებულია.

— შაქრო ესტატესძე ლაფანაშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა ზეგლარ არტემის ძე ბალიევი და უკახასჭელის ცოლი—ეკატერინე. დაჭრილებს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

— ვლადიმერ არჩილის ძე ტატიშვილმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა ალექსანდრე ლაზარეს ძე აკოფოვი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

გვამის პოვნა

საბჭოთა ქუჩაზე იპოვნეს ახლად დაბადებულ ბავშვის გვამი. გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დაპატიმრა: მიშა სიმონის ძე პეტროსოვი, ისმაილ აბგაროღლი, ივანე გრიგოლის ძე ომაროვი, ლიბარიოლ ლევანის ძე სირანიანცი, გიორგი გიორგის ძე ბერძენიშვილი და გიორგი ივანეს ძე ბარსოვი.

ყალბი საბუთებით

სისხლის სამართლის მილიციამ პასუხისგებაში მისცა მირიან სილოვანის ძე ებრაელიძე, რომელმაც ყალბი საბუთების შედგენის საშუალებით მიითვისა სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებულ სამეცნიერო ტეხნიკური წრის ფულები.

თვითმკვლელობის განზრახვა

მელანია მიხეილის ასულმა ჩიხლაძემ (მცხ. ფრეილინის ქ. № 9) იოდით მოიწამლა თავი. ჩიხლაძის ქალი გადაგზავნეს საავადმყოფოში.

— სარა ალექსანდრეს ასულმა ჭკუასელმა (მცხ. კლარა ცეტკინის ქ. № 101) იოდით მოიწამლა თავი. ჭკუასელი სიკვდილს გადაარჩინეს.

— მარია ანდრიას ასულმა მაჩიკოვამ რომანიულ ნიადაგზე სულემის ხსნარით მოიწამლა თავი.

უბედური შემთხვევა

ივანე ჯანაშვილს, რომელიც მატარებლით კახეთში მიდიოდა, ფეხი დაუსხლტა კიბეზე და ვაგონიდან გადმოვარდა. ჯანაშვილი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

გაფლანგვა

— დაპატიმრებულია მანგლისის სატყეო რაიონის გამგის თანაშემწე გიორგი იაკობის ძე ნოდია, რომელმაც მიითვისა სახაზინო ფული.

ხანძარი

გუშინ, დღისით, ცეცხლი გაუჩნდა ვასილ ხუნწარიას ბოსელს. (უნივერსიტეტის ქ. № 8). დაიწვა 500 მანეთის თივა.

ქურდობა

გაქურდეს აბრამ სოლოვეიჩიკის ბინა (საპიორის ქ. № 46), მოპარულია 300 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ივანე მდივანის ბინა (სასამართლოს ქუჩა № 43), წაიღეს 200 მანეთის ნივთები;—ბარბარე მირზოევის ბინიდან (პლეხანოვის პროსპ. № 27) მოიპარეს 250 მანეთის ტანსაცმელი,—გაქურდეს დ. ბერაძის სასადილო (საბჭოთა ქ. № 74); მოპარულია 275 მანეთის ნივთები.

ფიზკულტურა და სპორტი

გადარბენა

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიურომ 8 ნოემბერს ჩაატარა ფიზკულტურელების მასიური გადარბენა გაზ. „მუშა"-ს და „რაბოჩაია პრავდა"-ს ჯილდოზე.

გადარბენაში სულ მონაწილეობა მიიღო — 160 კაცმა. გადასარბენი იყო 4,5 კილომეტრი (პროფკავშირების სტადიონიდან, რომელიც ვაკეში შენდება, პროფსაბჭოს შენობამდე)

პირველი მოვიდა **მალიშკოვი** (მჭედავთა კავშირი), რომელმაც დისტანცია დაფარა — 16 წუთსა და 18 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა **ლავრენტიევი** (თვითმმრომელთა კავშირი)—16 წუთი და 18 წამი, მესამეზე — **ყანჩაველი** (რკინისგზელი)— 16 წ. და 19 8 წ., მეოთხეზე — **პაცკევიჩი** (გემო-კვების მუშაკთა კავშირი)—19 წ. და 16,22 წ. და მეხუთე ადგილზე—**ანიშჩუკი** (გემო-კვების მუშაკთა კავშირი).

სულ დისტანცია დაამთავრა 141 კაცმა.

ცალკე კავშირებიდან კოლექტიური პირველობა აიღო რკინისგზელთა კავშირმა, რომელმაც მოაგროვა 55 ქულა; მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირი (46 ქულა),. მესამეზე—გემო-კვების მუშაკთა კავშირი (43 ქულა). მეოთხეზე — მჭედავთა კავშირი (37 ქულა) და მეხუთეზე—მელითონეთა კავშირი (30 ქულა).

გადარბენაში გამარჯვებულ კოლექტივს მიეცემა გაზეთ „მუშა"-ს და „რაბოჩაია პრავდა"-ს გარდამავალი ჯილდო. პირველი ხუთი გამარჯვებული ფიზკულტურელი კი ჯილდოთ მიიღებს აღნიშნულ გაზეთებს ერთი წლის ვადით.

ამხ. მალიშკოვი

რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა მასიურ გადარბენაზე 8 ნოემბერს

ცილობა მსუბუქ მძლეოსნობაში

ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავის აღსანიშნავად ფიზკულტურის თბილისის საბჭო და პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიურო 10, 11, 17 და 18 ნოემბერს აწყობენ ინდივიდუალურ ცილობას მსუბუქ მძლეოსნობაში ქალაქისა და პროფკავშირების პირველობაზე.

ცილობაში შეტანილია ფიზკულტურის შემდეგი დარგები: ვაჟებისათვის — რბენა 100, 200, 300, 400, 1.500 და 5.000 მეტრზე; ბადროს და შუბის ტყორცნა; ხტომა ადგილიდან და გამორბენით სიგრძეზე, სიმაღლეზე და ხტომა ჭოკით. ქალებისათვის: რბენა 60, 100, 500, 800 და 1.000 მეტრზე; ბადროს, შუბის და ბურთის ტყორცნა; ხტომა ადგილიდან და გამორბენით სიმაღლეზე და სიგრძეზე.

ცილობის ჩასატარებლად მთავარ მსაჯად გამოყოფილია ნ. ამბოკაძე.

ფიზკულტურის წრეების ბიუროების გადარჩევა

10 ნოემბრიდან ყველა პროფკავშირებში იწყება ფიზკულტურის წრეების ბიუროების გადარჩევა, რაც უნდა დამთავრდეს 20 ნოემბრისათვის.

რკინისგზეზე

ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე

მიმდინარე წელს თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს გაიყვანოს მეორე კაბელი ზაჰესის დიდუბის ქვესადგურიდან ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ სახელოსნოებამდე.

ღერძის გატეხა

7 ნოემბერს სადგ. ფოთიდან გასვლის დროს მატარებელ № 107-ს ერთ-ერთ ვაგონს გაუტყდა ღერძი. ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან. მასთან ერთად გადავარდა მატარებლის ბოლოში მიბმული ორთქლმავალი.

ხაზი დაზიანდა 300 მეტრის მანძილზე. მოძრაობა ეიბათ-ფოთას შუა შეწყვეტილი იყო 6 საათის განმავლობაში.

მატარებლების დაჯახება

7 ნოემბერს სადგ. ზაზალიში შედიოდა სახარგო მატარებელი № 205, სადგურის მორიგე რჩაევმა შეცდომით გასცა განკარგულება, რათა მატარებელი მიეღოთ ხაზზე, რომელიც უკვე დაკავებული იყო მატარებელ № 22-ით. მოხდა დაჯახება.

ორთავე მატარებლის შემადგენლობიდან დაიმტვრა 14 ვაგონი და დაზიანდა ერთი ორთქლმავალი.

მოძრაობა შეწყვეტილი იყო 2 საათის განმავლობაში.

1927 წ. 10 პროც. სესხის მოგებათა ტირაჟი*)

ათას მანეთიანი მოგებანი

ობლ. №	სერ. №	ობლ. №	სერ. №	ობლ. №	სერ. №	ობლ. №	სერ. №	ობლ. №	სერ. №	ობლ. №	სერ. №
005.413	12	043.489	05	076.336	08	103.016	02	148.921	03	170.141	03
010.135	11	043.964	20	077.210	18	104.528	20	149.225	13	178.693	10
016.266	15	044.867	07	077.629	07	105.793	14	150.780	12	178.933	13
019.020	03	045.014	17	077.973	06	106.448	11	154.588	20	184.056	04
025.079	17	048.514	20	078.696	19	109.649	05	154.606	17	185.023	12
027.285	06	060.995	19	089.723	09	113.679	07	155.700	07	187.135	02
034.155	13	065.271	05	090.112	01	113.863	05	155.886	16	188.169	18
034.429	13	067.869	06	093.020	19	119.524	15	157.279	09	189.562	10
034.671	02	069.201	18	095.519	15	124.977	01	158.522	01	189.719	11
034.726	19	071.696	08	096.473	06	135.680	09	165.677	20	196.259	12
037.836	13	072.480	16	097.711	06	144.169	06	169.630	01	197.063	19
039.537	15	074.203	06	097.761	04	144.974	13	169.774	18		

5.000 მან. მოგებანი

010.823 19 018.017 08 065.892 13 096.257 12 131.574 07
011.328 02 053.761 03 092.349 10 114.216 12 193.452 05

10.000 მან. მოგებანი

009.027 07 026.490 10 061.937 02 158.084 16 161.106 09

25.000 მან. მოგებანი

037.041 16 035.818 01

50.000 მან. მოგება

193.914 13

---

*) დასასრული.

მეცნიერება და ტეხნიკა

ამერიკის ახალი დირიჟაბლი

შეერთებული შტატების მთავრობას, როგორც ჩანს, არ სურს არ ჩამორჩეს გერმანელებსა და ინგლისელებს და გადასწყვიტა შეუდგეს უზარმაზარი დირიჟაბლის აგებას სამხედრო ფლოტისათვის. ამერიკელებს განზრახვა აქვთ არ უღალატონ თავის ტრადიციებს და აგონ დირიჟაბლი, რომელიც სიდიდით გადააჭარბებს „გრაფ ცეპპელინსაც" და „P C 100", რომელსაც ინგლისელები აგებენ. შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ უკვე დასდვა ხელშეკრულება ორი უდიდესი დირიჟაბლის აგების შესახებ ამერიკის ცეპპელინების სააღმშენებლო კომპანიასთან—„გუდგორ ცეპპელინ კორპორეიშენ"-თან (აკრონი, ოგაიოს შტატი). ორივე საჰაერო გემი დაჯდება 15 მილიონამდე მანეთი. ერთი ცეპპელინის აგება დასრულებული იქნება 15 თვეში ხელშეკრულების დადების დღიდან, მეორე—30 თვეში.

ახალი დირიჟაბლი თავისი სიდიდით ავიაციის ნამდვილი საოცრება იქნება, დირიჟაბლის კორპუსის სიგრძე იქნება 240 მეტრი, ე. ი. თითქმის ნახევარი ასეული მეტრით მეტი თანამედროვე უდიდესი ოკეანო გემის სიგრძეზე, მისი მოცულობა თითქმის 200.000 კუბ. მეტრს უდრის („გრაფ ცეპპელინის მოცულობა 105.000 კუბ. მეტრია, „P C 100"-ის კი—150.000 კუბ. მეტრი). ფრენის რადიუსი —16.000 კილომეტრს („გრაფ ცეპპელინის"—9.000-ს). ე. ი. ახალ ამერიკულ დირიჟაბლს შეუჩერებლად შეუძლია გაიაროს მანძილი ნიუ-იორკი—მოსკოვი—ნიუ-იორკი. ამერიკული დირიჟაბლის მოტორების საერთო სიმძლავრე უდრის 5.000 ცხ. ძალას.

მოგვყავს შედარებითი ცნობებს ახალ ამერიკულ დირიჟაბლისა და „გრაფ ცეპპელინის" შესახებ:

	ამერიკული დირიჟაბლი	„გრაფი ცეპპელინი".
კორპუსის სიგრძე	243 მეტრი	204 მეტრი
დიამეტრი	40 „	32 „
მოცულობა	195 კუბ. მეტრ.	105 კუბ. მეტ.
სიმაღლე	45 მეტრი	36 „
შეუძლია დაიტიოს ტვირთი	25 ტონა	15 ტონა.
მოტორების რიცხვი	8	5
მოტორების სიმძლავრე	5.000 ცხ. ძალა	2000 ცხ. ძალა
მაქსიმალური სისწრაფე	130 კილ. საათში	160 კილ. ს.
ფრენის რადიუსი	16.000 კილ.	9.000 კილ. ს.

საავიაციო გამოფენა ლონდონში

1929 წ. ივლისში ლონდონში გაიხსნება საერთაშორისო საავიაციო გამოფენა.

ახალი ტიპის აეროპლანი

გერმანელმა ინჟენერმა **რუდოლფ კიუნცელმა** გამოიგონა ახალი ტიპის საფრენი აპარატი, რომელსაც, სპეციალისტების აზრით, დიდი მომავალი აქვს. კიუნცელის აეროპლანის მთავარი განსხვავება თანამედროვე აეროპლანიდან იმაში გამოიხატება, რომ აეროპლანის პროპელერები (საჰაერო ხრახნილები) მოთავსებულია ვიწრო გვირაბში, რომელიც გადის აეროპლანის კორპუსში და ფრთებში, რის გამო მნიშვნელოვნად დიდდება პროპელერის სასარგებლო მოქმედება და მოტორების გამოყენება. სპეციალისტები ამბობენ, რომ კიუნცელის აეროპლანით შეიძლება 750—800 კილომეტრის გავლა საათში.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 10 ნოემბერი

დღეს, 10 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; მუსიკალური ანტრაქტი; რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე; ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე. ტრანსლიაცია სახელმწიფო ოპერიდან.

შრომის ბირჟაში

დღეს, 10 ნოემბერს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს: **მედსექციიდან** — შუშანიკა ალგიტიანს, ოლღა იუნანოვს, ოლღა ვასიუკს, ლიდა აფრიკიანს; **მშენებელთა სექციიდან** — ვართან ვახრატიანცს, ტიგრან ვართანოვს, **კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან** — ნინო ვაშაკიძეს, გიორგი ყანდარელს, იური ერმოლაევს, ანტონინა კალოდკოს, ორეშკოვს, თამარ ზუმბაძეს, არშაკ ტონიანცს, ეკატერინე ბახტაძეს, ოლღა რაზმაძეს, ილია კარდანახიშვილს, გულაკ ბერიძეს, ვასილ ტომაშევსკის, მიხეილ გორდეზიანს, საკ ნერსესიანს, ეპიფანე სულაძეს, ნიკოლოზ მოსიევს; **გონებრივ მუშაკთა სექციიდან** — თამარა ავეტისოვს, მარიამ წულუკიძეს, აპოლონ კეშელავას, პარასკევა დგებუაძეს, იოსებ სანოვიჩს, ნიკოლოზ ბუთთელიას, ვირაბოვს, ალიხანოვს, დანდუროვს, ბეჟაუროვს, თარხნიშვილს, არტემ ოსიპოვს, სულაკველიძეს, თამარა რცხილაძეს, ოგანეს მიკირტუმოვს, შავერდოვს, იჩქიტაძეს, ალექსანდრე მერაბოვს, იოსებ შანიძეს, თამარა თოფურიას, შოთა ჩიგოგიძეს, კონსტანტინე ნაჭყეპიას, ელენა ანდრიაშვილს, თამარა კაპანაძეს, ამირაჯიბს, ალექ. ვახვახიშვილს, ჯაკრიშვილს, ხაზარაძეს, მარგალიტაძეს და გაბაშვილს.

პარტიული კალენდარი

ლენრაიონის მშრომელ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ შაბათს, 10 ნოემბერს, საღამოს სრულ 5 საათზე, პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში შესდგება კოოპერატიულ კურსების (ქართული ჯგუფის) მსმენელთა პირველი მეცადინეობა.

სახ. უნივერსიტეტს კომკავშირის ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს, დილის 9 საათზე მოწვეულია უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის 1-ლი კონფერენცია; დელეგატებს ევალებათ დასწრება დაუგვიანებლივ.

კვირას 11 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სილოვან ხუნდაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. რასაც აუწყებს საზოგადოებას განსვენებულის ოჯახი. 2-1 4791

გულმოკლულნი დედა ანა, მამა არჩილი ჭუმბურიძეები, კოლია ქაჯაია, ბიძია ლომინი, მამიდა მაშო, დეიდა მარო, ბიძია კონსტანტინე, ბიძაშვილი გუგულა, დეიდაშვილები ჭუმბურიძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარი

თამარ (თანიკო) არჩილის ას. ჭუმბურიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას 11 ნოემბერს 3 ნახ. ს. ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4811

ელიჩკა, ორაგველიძე, კლეოპატრა კალანდაძე, კატო ვაშალომიძე. ნინო ჩიჩუა და ქსენია გრებეშნიკოვა ცხარე ცრემლით დასტირიან მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარი

პატარა ოთიკოს

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს 3 საათ. გამოსვენება ბელინსკის ქ. № 28. 4812

კვირას, ნოემბრის 11-ს ნაშუადღევს 1-ლ საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე ძვირფასი

ლიზა გამსახურდიას

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი რასაც მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს გულმოკლულნი: შვილები: ალექსანდრე, ბიქტორ, კონსტანტინე, მატო, სონია, რძლები: პელაგია, ნადია, თამარ და სიძე სვიმონ ხაინდრავა. 4809

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები თეო და გალაქტიონი, ბებია ფედოსია, ბაბუა პავლე ცინცაძეები, დეიდა თამარა და ბიძა არკადი აბაშმაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა/წ 7 ნოემბერს, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი

პატარა ოთიკო (კარლო)

რომლის დაკრძალვა მოხდება თბილისში, ვერის ახალ სასაფლაოზე, 10 ნოემბერს, დღის 3 საათზე, გამოსვენება ბელინსკის ქ. № 28 4813

ბიცოლა ვასასი თავისი შვილებით: მარიკო აბაშმაძე და ქეთო ურუშაძისა და სიძე ბარნაბ ურუშაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

პატარა ოთარიკო (კარლო) ცინცაძის

უდროოდ გარდაცვალებას (შ)

ღრმად დამწუხრებული ბაბუა რაჟდენ, ბებია ეკატერინე, დეიდები: თამარა, შურა, ეფენია, მარგალიტა და ზინა, ბიძები არკადი, ტოგო და მიშა აბაშმაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი

პატარა ოთარიკო (კარლო) ცინცაძის

უეცრად გარდაცვალებას. (შ)

დამწუხრებული მშობლები ლევან დიმიტრის ძე და ეფროსიმე ალექსის ასული ჭანტურიები შვილებით: ნადია, ხუტა და შოთათი აუწყებენ საზოგადოებას უფროსი საიმედო ქალიშვილის

თინა ლევანის ასული ჭანტურიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ახალსენაკში, კვირას, 11 ნოემბერს. 6. 1808

ზუგდიდის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 ნოემბერს, ღამის 12 საათზე გარდაიცვალა ამავე კოოპერატივის თანამშრომელი და ძველი მუშაკი

ალექსანდრე თეიმურაზის ძე მეუნარგია

რომლის დაკრძალვა მოხდება 10 ამა ნოემბერს, ოქტომბრის თემში ზუგდიდის მაზრა. 6. 1803

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა, შვილები: ვასილი და გრიგოლ კახიძეები, ქალი ანასტასია ზაალიშვილისა, რძლები: თამარი და ნინო კახიძეებისა, დები: ბარბალე ბოსტაშვილისა, ქეთევან ბოსტაშვილისა, ნენე ნაცვლიშვილისა თავიანთ შვილებით, სიძე გიორგი ზაალიშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 7 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

მაქსიმე გრიგოლის ძე კახიძე

დაკრძალვა 10 ნოემბერს ს. კარდანახში. 4818

მუდმივ მწუხარებაში მყოფნი დედა ესმა, მამა იოსები, ძმები სავლე და დათიკო, რძლები, მაშო და ლუბა, დები მარიამი, სონა და ლუბა, ძმისწულები გოგია, ალიკო, ელიკო ნათელა, სოსიკო აბულაძენი და სიძე ამბროსი ებანოიძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს, 10 ნოემბერს ს. კიცხში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი, სახალხო მასწავლებლის

თამარ იოსების ასულის აბულაძის

ხსოვნის აღსანიშნავად (ე)

კიცხის (შორაპნის მაზრა) თემის დაწესებულება-ორგანიზაციები აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს 10 ნოემბერს, ს. კიცხში დაღუპულ საზოგადოებრივ მუშაკის, მასწავლებლის

თამარ იოსების ასულ აბულაძის

ხსოვნის აღსანიშნავად შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი (ე)

დედა სოფიო გიორგობიანისა მეუღლე მიტო ენუქიძე აუწყებენ ნათესავთ, რომ მათი დაუვიწყარი

ოლია ივანეს ასულ გიორგობიანი-ენუქიძის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 11 ნოემბერს, დღის 1-ლ საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4815

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი

(1928|29 წლის სეზონი)

დღეს, 10 ნოემბერს მე-8 აბონემენტის 1 წარმოდ. ქ. გ. დერჟინსკაიას-მონაწ. **პიკის ქალი,** 11-ს (აბონემენტის გარეშე) **ლაკმე,** 13-ს მეორე აბონემენტის პირველი წარმოდგენა ქ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **პიკის ქალი,** 14-ს მესამე აბონემენტის პირველი წარმოდგევა— **ლაკმე** ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა.

ყველა საააბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია თეატრის სალაროში საერთო წესით გასასყიდათ. დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება. 6. 1806

რუსთაველის სახელმწიფო თეატრი

2—1 6. 1800

სამშაბათს, 13 ნოემბერს, უკანასკნელი ღია წარმოდგენა

„ანზორ" ალ. შანშიაშვილის.

დადგმა ალ. ახმეტელის. მუსიკა ი. გოკიელის.

კონსტრუქცია ირ. გამრეკელის. დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები თეატრის სალაროში დილ. 11—3 ს. ¢ საღ. 6—10 საათ.

ანონსი: 18 და 20 ნოემბერს, პრემიერა — „ხოჭოების დოლი" მეორე საბონემენტო წარმოდგენისათვის. მე-3 გადასახადის უკანასკნელი ვადა—16 ნოემბრამდე—რის შემდეგ გაუნაღდებელი აბონემენტები გაყიდული იქნება.

საქ. სახვაჭრობა

აცხადებს, რომ

დონბასის ქვა-ნახშირის ტრესტის

(„დონუგოლი"-ს)

წარმომადგენლობა საქართველოში

აღებული აქვს **სახვაჭრობას**

რომელსაც უნდა მიმართონ **შეკვეთებზე**

თბილისი, კეცხოველის ქუჩა № 5.

ტელეფონი № 7—71.

6. 1788 2—2

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. მილორავა

აცხადებს, რომ 16 ნოემბერს დღის 12 საათზე, ქუთაისში გოგებაშვილის ქუჩის მეექვსე შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მაქსიმე ნიკოლოზის-ძე კუბლაშვილის უფლებას ნახევარი ქონებაზე—ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლის, დახურულის კრამიტით, რომლის ზევით და ქვევით სართული შესდგება ხუთ-ხუთი საცხოვრებელი ოთახიდან. სამზარეულო, საკუჭნაო ოთახით და ფეხსადგილით, შუშაბანდით, მესამე სართული დაბალია და შესდგება ორი თვალი სარდაფიდან, ქვედა სართულს აქვს ღია აივანი, ზედას კი—შუშაბანდი. შეფასებულია 800 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, სილოვან სოფრომაძის ძიების დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. 6. 1802

განთიადი	**უკრაზია** 1 და 2 სერია ერთად
არფასტო	საუკეთესო სურათი
სოლეი	**ჩემი შვილი** რეჟ. ჩერვიაკოვი. მთავარ როლში ანა სტენ, დ. ვ. მიჩურინი
პალასი	საზღვარგარეთის ორიგინალური კომედია **თქვენ დათხოვნილი ხართ**
აპოლო	ოსი ოსვალდი საუკეთესო ბოევიკში **მისი კაპრიზი**
მინიონი	**მოსამსახურე ყველაფრისათვის** ბეტი ბალფურის მონაწილეობით
დარბაზი	**კაცი № 14**
პროლეტარი აგლაბარი	**გოროტმოქმედების დალი** უკანასკნელი 5 და 6 სერია

სახქინმრეწვის კინოთეატრები

0—5

იყიდება სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული, მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—1 „კომუნისტ"-ს მთავარი კანტორა.

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

მოზარდ მაყურებელთა სახელ. თეატრი

აცხადებს

შრომის სკოლების გამგეთა საყურადღებოთ, რომ იმათ, რომელთაც არ მიუღიათ მათი სკოლის ბავშვებისათვის საწარმოდგენო **აბონემენტები** უნდა მიმართონ თეატრის დირექტორს—ელიზბარ პოლუმორდვინოვს, განათ. კომისარიატი ოთახი № 29.

4794 2—2

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი

სიფილისი, ვენერიული ¢ კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,

მიღება დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ.

ლოგოპედი

ა. ა. პაიჭაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 13.2

13—1 6. 1809

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8-64

შაბათს, 10-ს და კვირას, 11 ნოემბერს,

დიდი სანახაობანი

ფართო მრავალმხრივი პროგრამით 3 განყოფ.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

კვირას, 11 ნოემბერს, დღის სანახაობანი

ბავშვთათვის

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. ბავშვები უფასოდ. დაწვრილებით აფიშებში! წაიკითხეთ!!

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი, მმართველი მ. ი. ტადე.

6. 1799 2—1.

კვირას, ნოემბერს 11, დილის 10 საათზე

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში

(რუსთველის პროსპ. № 34)

დანიშნულია

გაზეთზე ხელის მომწერის შემკრებ აგენტების **კრება**

დასწრება სავალდებულოა.

2—1 მთავარი კანტორა.

ქალ. თბილისის ყველა საბინაო საიჯარო კოოპამხანაგობების თათბირის დადგენილების თანახმად,

საქართველოს საბინაო კავშირი

მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ, რომლებიც საბინაო-საიჯარო ამხანაგობების სახლებში ბინადრობენ და აქვთ ბინის ქირის დავალიანება, რათა ასეთიები დაფარონ არა უგვიანეს ა. წ. 20 ნოემბრისა.

იმ პირთ მიმართ, რომლებიც ამ ვადამდე ბინის ქირის დავალიანებას არ დაფარავენ, დაუყონებლივ აღძრული იქნება სარჩელი და მათი გვარები გამოქვეყნებული იქნება ადგილობრივ ყველა გაზეთებში.

6. 1807 საქართველოს საბინაო კავშირი.

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 6.

თვალის ექიმი

მ ა ლ ა ე ვ ი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90.

6. 4 25—1

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. / საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესაწგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

25—1 6. 5

სამტრედიის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის 19 ნოემბერს, დილის 10 საათზე, სამტრედიის მუშათა კლუბის დარბაზში

დანიშნულია

წევრთა მორიგი წლიური კრება,

შემდეგი კითხვების განსახილველად:

1) 1927—28 წლის მოქმედების ანგარიშის განხილვა გამგეობის მოხსენებითურთ.

2) განხილვა და დამტკიცება 1928—29 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა.

3) არჩევა საბჭოს 3 დეპუტატის (წესდ. § 56), გამგეობის 1 წევრისა (წესდ. § 66) და სარევიზიო კომისიის სამი წევრის და მათი კანდიდატების (წესდ. § 89). თუ ამ დანიშნულ დღეს არ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რიცხვი, მაშინ მეორე კრება შესდგება 26 ნოემბერს ზემო აღნიშნულ ადგილსა და საათზე; ყოველივე გადაწყვეტილება ამ უკანასკნელ კრებაზე იქნება კანონიერი, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს (წესდ. § 47).

6. 1805 გამგეობა.

ექიმი

ტერ-ოვაკიმოვი

დაბრუნდა ¢ განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი. (ფსიხოტერაპია)

ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ჟორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

დაკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 239 ავქსენტი გერსამიას სახელზე, ჩ. გ. 4817

დაკარგა: ქორწინების მოწმობა კატო თავბერიძის სახელზე, ჩ. გ. 4816

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 15854 რაჟდენ ჭედლიანის სახელზე ჩ. გ. 4810

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხო ბარათი № 1847 გიორგი მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4807

დაკარგა: განათლების მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 17061 შალვა ვიქტორის ძე მოსიძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 19092 სოფიო ჩაჩხიანის სახელზე, ჩ. გ. 4808

თბ. ელექტრო ანაგებთა სამმართველო

(„ტელას-"ი)

ამით აცხადებს, რომ „თემქა"-სთან (თბილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა, სამხედრო ქ. № 4) შეთანხმებით ყველა სამუშაოები ბინებში ელექტრო-გაყვანილობის მოწყობის და ელექტრო მოტორების დაყენების ირგვლივ გადაცემულია „თემქა"-ზე, სადაც უნდა მიმართოს ყველა დაინტერესებულმა პირმა და დაწესებულებამ.

სამმართველოს დირექტორი — ბირიუკოვი.

6. 1810 საქმეთა მმართველი — გრომაშვილი.

ექიმი

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.

ელსმენი—11—78. 6. 25—2

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12 ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35

25—1

სასამართლოს აღმასრულებელი თელავის უბნისა

გ. ზ. ყარასაშვილი

აცხადებს, რომ 14 ნოემბერს, ა. წ. ქ. თელავში, შუადღის 12 საათზე მუშელა გეურქას-ძე მერაბოვის ეზოში, **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება მისი—მერაბოვის სახლი, შემდგარი ორი ძველი ქვითკირის ოთახისაგან, ფურნით, სათონით და საჩეხით, დასაკმაყოფილებლად „ზაკგოსტორგის" ვალისა 128 მან. 26 კაპ. და %% და ხარჯებისა, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა № 6708. აღნიშნული სახლი არის შეფასებული 500 მან., რომელ ფასიდანაც დაიწყება ვაჭრობა და მოხდება თანახმად 311—313 მუხ. სამოქ. საშ. საპრ. კოდექ. 1 ნოემბერს 1928 წელსა. 6. 1801

ჩამოვიდა და დღეიდან ღიაა ყოველდღე

დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე

„ჟოკეი კლუბის" (ყ. არტოს) ბაღში

საბჭოთა კავშირში უდიდესი

მოძრავი სამეცნიერო-საჩვენებელი

სამხეცე „ცხოველთა სამეფო" ნატურალისტ ზოოლოგის გ. ი. გოიკოსს ხელმძღვ-ბით

დიდძალი ყოველგვარი ზღვისა და ხმელეთის მხეცები, ფრინველები, მაიმუნები, ქვეწარმავლები.

მხეცების კვება საღამოს 9 საათზე. 6. 1777

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ცამ ოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.